



სსსრ კავშირი



I

საქართველოს საკავშირეო

თბილისი—1978



ԲԻՇԿՈՍ
ԴԵՆՆԵՇ



ԵՇԷԺԻՄԻՆՈՅ ԵՇՈՆԻՅՈՒՆԻ Գ . ՕՆԻՆԻՆԻ .






ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს
თმით. IV ს. სიონის საპატრიარქო ტაძარი

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.



ალსაუდრების დღეს

კურთხეულ იყავ



დადგა დრო, როცა საქართველოს უძველეს, მადლმოხალ ეკლესიას მიეცა საშუალება, გამოეშვა თავისი შურნალი. ისეთი მღაღარი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე, დამოუკიდებელი, სამოციქულო ეკლესია, როგორც ჩვენია, წარმოუდგენელია ბეჭდვითი ორგანოს გარეშე.

ბოლო ათეული წლების განმავლობაში საქართველოში აღარ გამოდიოდა საეკლესიო შურნალი, მაგრამ ფიქრი და ზრუნვა მასზე არასდროს შეწყვეტილა.

დღეს კი, ვმადლობთ უფალსა ჩვენსა, განმგებელსა და მწყობელს, რომ გვიკურთხა ამ ოცნების განხორციელება.

მე მინდა მოკლედ მოვახსენო ჩვენს საყვარელ სამწყსო. ჩვენს მკითხველებს, თუ რა მიზნებს ისახავს ეს შურნალი.

უპირველესად ყოვლისა, თვით სახელწოდება: „ჯვარი ვაზისა“ უკვე მეტყველებს იმაზე, რომ შურნალი უმთავრესად შეეხება ჩვენს ეკლესიასა და იმ ერის სულიერ ცხოვრებას, რომელიც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ეზიარა ქრისტეს მოძღვრებას და რომელსაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა უბოძა ჯვარი ვაზისა, როგორც სიმბოლო ძლიერისა და სულიერი ამაღლებისა. ამ ჯვარმა უმძიმეს საუკუნეებში გამოატარა ჩვენი ქვეყანა, რამეთუ ცნება „ქრისტიანისა“ და „ქართველისა“, თავისი უფალი ღმერთისა და მშობელა მიწის ერთგული, მუსულმანურ, თუ მაზდეანურ სამყაროში მოქცეული მცირე, სულით ძლიერი ერისათვის სინონიმებად იყო ქცეული.

ქრისტეს ჯვარმა საქართველო დაღუპვისაგან გადაარჩინა... ჯვარი ვაზისა უწმიდესი სიმბოლოა ჩვენი ერის მიერ განვლილი დიდი, სახელოვანი გზისა... მისი რწმენისა და სასიკეთისა...

მრავალი უძვირფასესი საგანძური ჩაკარგულა ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ისტორიაში... ბევრი ცეცხლს დაუწვავს, ბევრი წყალს წაუღია... ჯვარი ვაზისა კი გადაარჩინა... სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო... იგი ხომ საქართველოს მფარველია.

შურნალს, როგორც წესი, ექნება ოფიციალური ნაწილი, სადაც გამოქვეყნდება საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილებანი. ადგილი დაეთმობა მიწერ-მოწერას სხვა ეკლესიების პატრიარქებთან და მამათმთავრებთან.

სადღვისმეტყველო განყოფილებაში, რომელიც შურნალში უსათუოდ ფართო ადგილს დაიჭერს, ჩვენ შევეხებით დოგმატური და ძირითადი ღვთისმეტყველების მთავარ საკითხებს: ღმერთა, წმიდა სამება, ზეციური ძალების სამყარო, რწმენა და ადამიანი, ძალა და მატერია, პატრილოგია, ასკეტიზმი, წმიდა მამათა ცხოვრებანი და სხვა...

ჩვენი მიზანია, აუფხსნათ მკითხველს, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის სულიერ მოღვაწეობას, რა საშუალებანი არსებობს ღმერთსა და ადამიანს შორის სულიერი კავშირის დამყარებისათვის.

შურნალში ფართო ადგილი დაეთმობა ქართული ეკლესიის ისტორიას, მისი მდიდარი ტრადიციების გაშუქებას, ერისა და ისტორიის ღირსშესანიშნავ საკითხებს.

თბილისის სიონი.
... თაყვანი ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა.



1977 წ. 25 დეკემბერი. მცხეთა, სვეტიცხოველი.
ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი საქართველოს
ახალ პატრიარქს ილია II გადასცემს მიტრას. მარჯვნივ
მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი.





სვეტიცხოველი. პატრიარქის პირველი დღე. პირველი წირვა.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასრუნავია მშვიდობის საკითხი. მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევების ხანაში კაცობრიობამ დააგროვა ისეთი სრულყოფილი და საშიში იარაღი, რომელსაც შეუძლია მოსპოს სიცოცხლე დედამიწაზე. განა შეიძლება ასეთ შემთხვევაში, ეკლესია მხოლოდ მაყურებლის როლში იყოს და არ აღიმადლოს ხმა მშვიდობის დასაცავად?

ისე როგორც ქართველი ერი, ქართული ეკლესიაც მუდამ მშვიდობის სადარაჯოზე იდგა. ასე იქნება მომავალშიც და ყოველივე ეს ასახავს პპოვებს ჩვენს შურნალში.

შურნალი ფართოდ გააშუქებს ეკუმენურ საკითხებს — საქართველოს ეკლესიის კავშირს მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიებთან.

ყურადღება დაეთმობა საკითხებს, რომლითაც დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოება: იქნება ეს ძველი ქართული ენის სწავლება, ძეგლების დაცვა და რესტავრაცია, ძველი ქართული საგალობლების აღდგენა, ფრესკული მხატვრობა, თუ სხვა მრავალი...

საქართველოს საპატრიარქო მადლობის გრძნობით მიიღებს ჩვენი მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს.

მე ღვთისაგან მონიჭებული მადლით ვლოცავ ჩვენს ახალ ეურნალს და შევხსოვ უფალს: — „ჯვარმა ვაზისამ“ შეასრულოს ის მისია, რომელიც მას ეკისრება.

განსაკუთრებული ღვთაებრივი სიყვარულით ვლოცავ ჩვენს მკითხველს, ღვთივდაცულ ჩვენს ქართველ ერს და ვუსურვებ მას სულიერ და ფიზიკურ ძლიერებას.


„აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი“ ამინ!


ი ლ ი ა II-სრულნიად საპართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



მცხეთა. სვეტიცხოველი XI ს.

„...მიწა, რომელზედაც ღმერთი, ადგილი წმიდა არს“.





„აცხოვნე, ღმერთო, ერი
შენი და აკურთხე სამკვიდ-
რებელი შენი“

კ უ რ თ ხ ე უ ლ ი ყ ა ზ

⊙ მომილონია ჩვენი წმიდა, უძველესი, სამოციქულო ეკლესიისათვის უურნალის გამოხელა. ეს უთუოდ დიდა მოგვინა ჩვენს ცხოვრებაში. მსგავსი უურნალი ყველა ქრისტიანულ ეკლესიას აქვს. იგი უხათუოდ ესაჭიროება საქართველოს უძველეს და მაცხოვარივით პარად ჭაბუკ ეკლესიასაც. ყოველი მორწმუნე ქართველი ქართული ეკლესიით ცხოვრებს და სულიერად საზრდობს. უურნალი მათ პერიოდულად კიდევ უფრო მეტად მიაწვდის ამ საზრდოს, უფრო დაწვრილებით გააცნობს ეკლესიის ცხოვრებას, უფრო ადვილად მიიტანს მორწმუნეთა გულებთან ქრისტიანულ სათნოებას, ქველმოქმედებას, კეთილმოღვაწეობას, ყოველივე სიკეთეს, აღამადლებს მორწმუნეთა გონებას ღვთის უფრო ღრმად შემეცნებით, რომლისა ნაყოფი ღვთის სათნო ზნეობრივი სრულყოფა და რომელიც არის იდეალი თითოეული ქრისტიანისა.

გუონდღელი ეპისკოპოსი იოანე

⊙ საქართველო უპირველესად ვაზის ქვეყანაა. მისი სიყვარული ათასწლეულთა სიღრმიდან იწყება. ვაზი და ქართველი კაცი ისეთივე განურყელი ცნებებია, როგორც ქრისტიანობა და საქართველო. ამ დალოცვილი სის ნაყოფისგან დამზადებულ სასმელზე ბრძანა უფალმა საიდუმლო სერობაზე — განზავების და კურთხევის შემდეგ: „სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი, ახლისა აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული, მისატყვებელად ცოდვითა“...

„ვაზო, შევიღვივო ნაზარდითი“, — ღვინვებს ქართველი კაცი, ვინ იცის, როდის დაწყებულ სიცოცხლის საგალობელს... ვენახს ამგავსა დედა ნათლისა, — ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობელი მეფე დემეტრემ, ძემან დიდებულისა, დიდისა ღვთისისა, ოდეს უძღვნა მას მარადიული სილამაზისა და განახლების უბრწყინველესი საგალობელი, შედევრი ქართული სულას სიწმიდისა და სიფაქისისა, დიდებისა და ძლიერების გამოვლინებისა, მაღლისა, რომელიც ელვარე ჩუქურთმებად ანთია ჩვენს წმიდათა-წმიდა ტამრებზე.

და ბუნებრივია, რომ წინა საუკუნეთა

მიღმა დალოცვილ ვაზის ხისაგან უკურთხა ღმერთმა თავის მიერ შეყვარებულ უსაკველ ვრს ჯვარი ესე — სიმბოლო მშვენიერებისა, მძლეველი ბოროტებისა.

საღმრთო გარდმოცემის თანახმად ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობელმა წარმოგზავნა წმიდა და უბიწო ქალწული ნინო თავის წილსხედრი ქვეყნის განსამტკიცებლად, განსანათებლად იმ ერისა, რომლის მიწაში პირველი საუკუნიდან იმყოფება კვართი უფლისა და სადაც ნათობს ნათელი პირველთა განმანათლებლთა დიდებულთა ათოთრემტოვანთა — ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისა. მას შემდეგ არასოდეს მიდრეკილა ჩვენი ხალხი ჭეშმარიტების ჭეშმარიტი სიყვარულისაგან.

ჯვარმა და ვაზმა გადარჩინა საქართველო, ჯვრისა და ვაზის სიყვარულმა მოგვიყვანა დღემდე და ვით უკვდავი და ძლიერია ჩვენი ერი, ესეა სიყვარულიცა ჯვრისა და ვაზის მამულისა. იმედია, რომ ახალი უურნალი „ჯვარი ვაზისა“ — სრულიად გაამართლებს თავის წმიდა დანიშნულებას.

ეპისკოპოსი თადეოზი

სახელმწიფო და ეკლესია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უძველესი, თითქმის ორიათასი წლის ტრადიციის მქონე ეკლესიაა. მან მთელი თავისი არსებით მიიღო უფლის — იესო ქრისტეს სჯული, მიიღო მოციქულთა და წმიდა მამათა გადმოცემები და ყოველივე ამას ინახავს და უფრთხილდება, როგორც საუნჯეს. იგი, ამგვარად, ხელმძღვანელობს მსოფლიო და ადგილობრივი კრებების კანონებით.

325 წელს საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. V საუკუნის შუა წლებში, მიიღო რა დამოუკიდებლობა ანტიოქიის უძველესი ეკლესიისაგან, ქართული ეკლესია გახდა ავტოკეფალური. ამგვარ საუკუნეში ქართული ეკლესიის არქიეპისკოპოსს მიენიჭა „კათოლიკოსის“ ტიტული, რაც ბერძნულიდან თარგმანში ნიშნავს: საყოველთაოს, მსოფლიოს. ეს ტიტული მიუთითებს იმაზე, რომ ყველა ქართველი, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, სულიერად მორჩილებს ქართული ეკლესიის მამათმთავარს.

XI საუკუნის დასაწყისში, 1012 წლიდან ქართული ეკლესიის მამათმთავარს მიენიჭა პატრიარქის ტიტული და ამ წლიდან დღემდე ის ატარებს „უწმიდესისა და უნეტარესის“, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსის წოდებას.

ამჟამად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მართავს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდი.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრულია ურთიერთშინაგან საქმეში ჩაურევლობის პრინციპით. საბჭოთა მთავრობის 1918 წლის 23 იანვრის დეკრეტის თანახმად, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, სკოლა — ეკლესიისაგან. ხოლო 1977 წლის 16 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დებულება რესპუბლიკაში არსებულ რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ.

გბეჭდავთ რამდენიმე პარაგრაფს ამ დებულებიდან:

3. რელიგიური საზოგადოება არის ერთი და იგივე კულტის სარწმუნოებრივი, მიმართულების, ან განსტოების 18 წლის ასაკს მიღწეულ მორწმუნე მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება არანაკლებ 20 პირის შემადგენლობით, რომლებიც გაერთიანდნენ, რათა ერთობლივად დაიკმაყოფილონ თავიანთი რელიგიური მოთხოვნილებანი.

მორწმუნე მოქალაქეებს, რომლებსაც მცირერიცხოვნობის გამო არ შეუძლიათ შექმნან რელიგიუ-

რი საზოგადოება, უფლება ეძლევათ შექმნან მორწმუნეთა ჯგუფი.

რელიგიურ საზოგადოებებს უფლება აქვთ შეიძინონ რელიგიური კულტის საგნები, საეკლესიო ნივთები, სატრანსპორტო საშუალებანი, იჯარით აილონ, ააშენონ, ან იყიდონ ნაგებობანი თავიანთი საჭიროებისათვის კანონით დადგენილი წესით.

5. რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისათვის მისი დამფუძნებელნი არანაკლებ 20 კაცის შემადგენლობით უშუამდგომლობას რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისა და სამლოცველო შენობის (ეკლესიის, მეჩეთის, სინაგოგის და ა. შ.) გახსნის შესახებ გზავნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მორწმუნეთაგან მიღებულ უშუამდგომლობას თავისი დასკვნით გაუგზავნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

10. რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მორწმუნეებს, რომლებმაც შეადგინეს რელიგიური საზოგადოება, შეუძლიათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიიღონ უფასო სარგებლობაში სპეციალური სამლოცველო შენობა, იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წესის შესაბამისად, რომელსაც რელიგიური საზოგადოება დაუდებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სრულყოფილიან წარმომადგენელს.

გარდა ამისა, მორწმუნეებს, რომლებმაც შეადგინეს რელიგიური საზოგადოება, ან მორწმუნეთა ჯგუფს სალოცავად შეკრებისათვის შეუძლიათ ისარგებლონ, აგრეთვე, სხვა შენობებით, რომელთაც მათ იჯარით მისცემენ ცალკეული პირები, ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. ამ შენობებზე ვრცელდება ყველა ის წესი, რასაც ითვალისწინებს ეს დებულება სამლოცველო შენობის თაობაზე. ხელშეკრულებებს ასეთი შენობებით სარგებლობის უფლების შესახებ დადებენ ცალკეული მორწმუნეები თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით. გარდა ამისა, ეს შენობები უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარულ წესებს.

თითოეულ რელიგიურ საზოგადოებას, ან მორწმუნეთა ჯგუფს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთი სამლოცველო შენობით.

20. რელიგიური საზოგადოებებსა და მორწმუნე-

თა ჯგუფებს შეუძლიათ მოიწვიონ რელიგიური ყრილობები და თათბირები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს ნებართვით.

კრებებზე, ყრილობებზე, თათბირებზე არჩეული რელიგიური ცენტრები, სასულიერო სამმართველოები და სხვა რელიგიური ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ მხოლოდ მორწმუნეთა გაერთიანებების რელიგიურ (კანონიკურ) საქმიანობას. მათი შენახვის ხარჯებს შეადგენს სახსრები, რომელთაც რელიგიური გაერთიანებები გადარიცხავენ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე.

რელიგიურ ცენტრებს, საეპარქიო სამმართველოებს უფლება აქვთ აწარმოონ საეკლესიო ნივთები, რელიგიური კულტის საგნები და მიჰყიდონ ისინი მორწმუნეთა საზოგადოებებს; აგრეთვე, შეიძინონ სატრანსპორტო საშუალებანი, იჯარით აიღონ, ააშენონ და იყიდონ ნაგებობანი თავიანთი საჭიროებისათვის კანონით დადგენილი წესით.

21. რელიგიური საზოგადოებებისა და ჯგუფების, აგრეთვე, რელიგიური ყრილობების აღმასრულებელ ორგანოებს, საეპარქიო სამმართველოებს შეუძლიათ ისარგებლონ შტამპებით, ბეჭდებითა და ბლანკებით, რომლებზეც აღნიშნულია მათი დასახელება მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური ჩასიათის საქმეებზე. ეს შტამპები, ბეჭდები და ბლანკები არ შეიძლება შეიცავდეს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის დადგენილ ემბლემებსა და ლოზუნგებს.

22. კულტის შესრულებისათვის აუცილებელია ქონება, რომელიც ხელშეკრულებით გადაცემულია რელიგიურ საზოგადოებაში შემავალ მორწმუნეთათვის, ასევე მათ მიერ ახლადშექმნილი, ან კულტის საჭიროებისათვის შეწირული ქონება, ნაციონალიზებულია. იგი აღირიცხება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და მორწმუნეთა სარგებლობაშია.

ბის რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და მორწმუნეთა სარგებლობაშია.

23. სადგომები, რომლებიც სპეციალურად დარაჯის საცხოვრებელს წარმოადგენს და სამლოცველო შენობის ფარგლებში, ან სამლოცველო შენობის მახლობლად მდებარეობს, სხვა საკულტო ქონებასთან ერთად ხელშეკრულებით გადაეცემა მორწმუნეთ უფასო სარგებლობაში.

ეკლესიის მდგომარეობა განსაზღვრულია სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციებით. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში ნათქვამია:

„საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სინდისის თავისუფლება, ან უფლება აღიარებდნენ ნებისმიერ რელიგიას, ან არ აღიარებდნენ არავითარ რელიგიას, არ ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს, ან ეწეოდნენ ათეისტურ პროპაგანდას. შუღლისა და სიძულვილის გაღვივება რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებით აკრძალულია. საქართველოს სსრ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან.“


საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის კანონი მიღებულია 1978 წლის 15 აპრილს.

ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთშორის კავშირის ანხორციელებს სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭო. თბილისში, სოხუმსა და ბათუმში იმყოფებიან საბჭოს რწმუნებულები, რომლებიც, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე რელიგიური მოღვაწეობის მხრივ თვალს ადევნებენ სახელმწიფოებრივი და საკულტო კანონიერების დაცვას.

ყოველივე ეს ხელს უწყობს ერისა და სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობას.



საქართველოს ეკლესიის XII აღვითობრივი კრება



1977 წლის 23 დეკემბერს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის XII აღვითობრივი კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს ეკლესიის ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი.

კრებას დაესწრო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია, მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქ პიმენის მეთაურობით, რომელმაც წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა.

კრებას დაესწრნენ, აგრეთვე, საზღვარგარეთის ეკლესიის წარმომადგენლები: არქიმანდრიტი გრიგორიოსი ალექსანდრიიდან და არქიმანდრიტი ნაუმი ბულგარეთიდან.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეკლესიის მღვდელთმთავრები და დელეგატები ყველა მოქმედი ეპარქიიდან — სულ 47 დელეგატი.

მიიღეს მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი.

შესრულდა სავერბოებელი პარაკლისი, რის შემდეგაც კრება შეუდგა მუშაობას.

წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე აღსასვლელად კრებამ კენჭი უყარა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას კანდიდატურას.

მიტროპოლიტი ილია ერთხმად იქნა არჩეულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

**მიმართვა
საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
სრულიად საქართველოს
XII საეკლესიო კრებისადმი**


საქართველოს წმიდა ეკლესიის ღვთის მომადლებული მღვდელთმთავარი, ღირსნი მამანი და მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანეთა წარმომადგენელნი შევიკრიბებით სიონის საპატრიარქო ტაძარში, რათა ავირჩიოთ მამათმთავარი საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა.

ჩვენ კმაყოფილების გრძნობით აღვსილნი, მადლობას აღვავლენთ ღვთის წინაშე იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია, მთელი თავისი საქმიანობით მუდამ არსებით მხარდაჭერას იჩენდა საბჭოთა საქართველოს მთავრობისადმი. სამაგალითოდ დიდი სამამულო ომის გახსენებაც კმარა. ამ ომში საქართველოს წმიდა ეკლესია ყოველივე შესაძლებელს აკეთებდა კაცობრიობის მტერზე გამარჯვებისათვის.

XII საეკლესიო კრებას შეუძლია დაბეჭითებით დაარწმუნოს საქართველოს მრავლობა, რომ ჩვენი სამოციქულო ეკლესია კვლავაც შეიტანს თავის სათანადო წვლილს შვედილობის დაცვისა და სამშობლოს კეთილდღეობის სადარაჯოზე.

XII საეკლესიო კრებას სწამს: ღვთისაგან მომადლებული სასოება და ენერჯია წარუძღვება წინ ჩვენს ეკლესიას და მის ახლად არჩეულ მამათმთავარს იმ მიზნისაკენ, რომლის შესრულებაშიაც მას მუდამ ეხმარებოდა საქართველოს მთავრობა. ამ დახმარების იმედი ეკლესიას მომავალშიც ექნება. ჩვენ კი იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რომელიც საქართველოს მთავრობას ქართველი ერის წინაშე აკისრია, მუდამ აღვავლენთ ლოცვას მისი კეთილდღეობისათვის.

კრების თავმჯდომარე: **ილია**
მიტროპოლიტი ცხუმ-აფხაზეთისა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე



უწმიდესი ილია და მისი ნათლია, მონოზონი ზოილე

**გიორგისა
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ისა**

მისი უწმიდესობა და უნეტარესობა **ილია**, ერში ირაკლი გიორგის ძე ლუღუშაური — შიოლაშვილი, დაიბადა 1933 წელს ძაუგში (ახლანდელი ორჯონიკიძე) კეთილმორწმუნე ქრისტიანულ ოჯახში.

მისი მშობლები ყაზბეგის რაიონის მკვიდრნი იყვნენ:

მამა — გიორგი სიმონის ძე ლუღუშაური სოფელ სნოდან იყო.

დედა — ნატალია იოსების ასული კობაძე — სოფელ სიონიდან.

ბავშვი მონათლეს ძაუგის ქართულ ეკლესიაში, რომელიც ექვემდებარებოდა სოფ-

ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

ნათლობის საიდუმლო შეასრულა არქიმანდრიტმა ტარასიმ (ჯანდელაძემ), კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ყოფილმა პირადმა მღივანმა (შემდგომში არქიმანდრიტი ტარასი ხელდასხმულ იქნა წილკენლ ეპისკოპოსად და დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში).

ნათლია იყო მონოზონი ზოილე (დვალის-შვილი), — ბედის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი... ბოლო ხანებში კი — წინამძღვარი მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრისა. შესანიშნავი საეკლესიო მოღვაწე, დიდი მორწმუნე და საღვთო მსახურების საუკეთესო მცოდნე.

მონოზონი ზოილეს თავისი ნათლული ხმარად დაჰყავდა საპატრიარქოს მონასტერში და ბავშვს მშობლებთან ერთად ისიც შთააგონებდა ღვთისადმი რწმენასა და სიყვარულს. საგულისხმოა, რომ მის უწმიდესობას სწორედ, სამთავროს ტაძარში უნახავს პირველად ქართველი ერის სათაყვანებელი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და მისი ლოცვა-კურთხევა მიუღია.

1 ამბობენ, ვახტანგ გორგასალის დროს ბრძოლაში თავი გამოუჩინა ვინმე სნოს. მეფეს მისი ვაჟი მოუნათლაჲს და ლუღუშაური დაურქმევია. ბავშვის სახელზე კი ცხენ აუშენებია. სახელოვანი ვაჟკაცები ყოფილან ლუღუშაურები. მათზე ბევრ საგმირო ლექსს გაიგონებთ ხალხში დღესაც. ერთი მათგანი შიოლა ლუღუშაური ყოფილა. სწორედ მისგან მიუღიათ უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის წინაპრებს გვარი — შიოლაშვილი.

ქრისტიანულმა გარემოცვამ და აღზრდამ მასში სიყრმელანვე გააღვიძა რწმენა და სიყვარული ღმერთსადმი... სიყრმედანვე აირჩია მან ჰუმანიტებისაკენ მიმავალი გზა და სკოლის დამთავრების შემდეგ, 1952 წელს სწავლა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. იმავე წელს, როგორც საუკეთესო სტუდენტი, ჩაირიცხა სასულიერო აკადემიის პირველ კურსზე.

1957 წლის 16 აპრილს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით, თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძარში აღიკვეცა ბერად და იწოდა სახელად ალიოა.

ამავე წლის 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში ხელდასხმულ იქნა იერო-დიაკონად, ხოლო 1959 წლის 10 მაისს იეროდიაკონი ილია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესი პატრიარქის ალექსის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზენად წმიდა სერგის მონასტრის სატრაპეზო ტაძარში.

აკადემიის მეოთხე კურსზე დაწერა საკანდიდატო შრომა: „ვათონის ივერიის მონასტრის ისტორია“, — რისთვისაც მიენიჭა ლეთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. აკადემია დაამთავრა 1960 წელს პირველი ხარისხის დიპლომით, რის შემდეგაც აკადემიის საბჭომ, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესო, იგი საპროფესორო სტიპენდიანტად დატო-

ვა, მაგრამ მღვდელმონაზონმა ილიამ უარი თქვა ამ საპროფესორო კარიერაზე და სამშობლოში დაბრუნდა. იგი ანთებული იყო მხურვალე სურვილით, რაც შეიძლება, პალეო-ეკლესიისა და მისი ერი სამსახურში. და აი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით, იგი მღვდელმსახურად მიიღო ბათუმის საკათედრო ტაძარში.

ამავე, 1960 წლის 19 დეკემბერს აღყვანილ იქნა ილუმენის ხარისხში, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს — არქიმანდრიტის ხარისხში.

1963 წლის 26 აგვისტოს, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორის მიერ, ქართული ეკლესიის მღვდელმთავართა თანაწიწველობით, არქიმანდრიტი ილია ხელდასხმულ იქნა შემოქმედელ ეპისკოპოსად და დაინიშნა მისი უწმიდესობის ქორეპისკოპოსად.

1967 წელს განაწესეს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. 1969 წელს კი აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

ერთდროულად იგი მოღვაწეობდა ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა ახალი კადრების მოწიადებაში, იყო-მცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი — 1963 წლიდან 1972 წლამდე.

1972 წელს ჯილდოდ მიიღო მეორე პანაღის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს — უფლება სკუფიაზე ჯვრის ტარებისა.

მისი უწმიდესობა და უნეტარეობა ილია დაჯილდოებულია კონსტანტინეპოლის, ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ეკლესიათა ორდენებით.

გულმოდგინედ ასრულებდა რა მშობლიური ქართული ეკლესიის მორჩილ სამსახურს, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია ეწეოდა და ეწევა დაუცხრომელ მამული-შვილურ მოღვაწეობას. იგი, როგორც ქართული ეკლესიის წარმომადგენელი, მრავალი მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ფორუმის მონაწილეა, ამ მიზნით იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, შვეიცარიაში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, საბერძნეთში, იუგოსლავიაში, ინდოეთში, ეგვიპტის არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, კენიაში, ეთიოპიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, უნგრეთში, დასავლეთ ბერლინში და სხვ.

სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართული ეკლესიის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით, მიტროპოლიტი ილია დაინიშნა ქართული ეკლესიის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ, ხოლო 1977 წლის XII საეკლესიო კრებამ იგი ერთხმად აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად...

ილია II-ის აღსაყდრება მოხდა 1977 წლის 25 დეკემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საგვოში

26 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა მიიღო სრულიად საქართველოს ახალი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

საუბარში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, მოსკოვის პატრიარქატის საგარეო საეკლესიო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე მიტროპოლიტი იუვენალი, ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვახაგენ პირველი, არქიეპისკოპოსი კომიტასი, ალექსანდრიის (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა) მართლმადიდებელი ეკლესიის მუდმივი წარმომადგენელი ოდესაში არქიმანდრიტი გრიგორიოსი, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში არქიმანდრიტი ნაუმოვი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ რესპუბლიკაში თ. ონოფრიოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე (საქინფორმი).

უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის აღსაყდრება

1977 წ. 25 დეკემბერს, კვირას, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრება.

აღსაყდრების ზეიმს დაესწრნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი, ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი ვახაგენი და მათი თანმხლები სასულიერო პირნი. აგრეთვე, წარმომადგენლები ალექსანდრიისა და ბულგარეთის საპატრიარქოებიდან და რომის კათოლიკური ეკლესიიდან.

ზეიმს დაესწრო მრავალრიცხოვანი საზოგადოება.

იბეჭდება რამდენიმე სიტყვა, რომელიც მისი უწმიდესობისა და უნეტარეობის, ილია II-ის აღსაყდრების დღეს წარმოითქვა მცხეთის საპატრიარქო ტაძარში და საზეიმო მიღებაზე.



უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
დიდი მეუფე, მამაი ჩვენი, ი ლ ი ბ დაიცევ, უფალო, მრავალსა წელსა!

ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ღ ი



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პიმენის სიტყვა

ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქის ვაზგენის სიტყვა

თქვენო უწმიდესობავე და უნეტარესობავე, უფლის მიერ საყვარელი ძმაო და თანამახურო ჩვენო, — ილია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო!

თქვენო უწმიდესობავე, ყოველთა სომეხთა უმაღლესო პატრიარქ-კათოლიკოსო ვახაგენ!

ღრმად პატივცემულნო მწყემსთმთავარნო, ძვირფასნო მამანო, ძმანო და დანო!

უფალმა ღირს-გვყო გყოფილიყავით დამსწრენი და მონაწილენი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში მომხდარი ამ დიდი და კურთხეული დღესასწაულისა.

ღვთის შეწევნითა და სულიწმინდის მადლით ამ წმიდა ტაძარში ეს-ესაა შესრულდა აღსაყდრება თქვენი სიწმიდისა, — მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. საქართველოს წმიდა ეკლესია ხარობს და ზეიმობს. მან იხილა ახალი კეთილი მესაქე. იგი დადგა იმ უძველესი ეკლესიის სათავეში, რომლის ფესვები იესო ქრისტეს მოციქულთა ხანას სწვდებიან.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კეთილმოწმუნე ქართველი ერი იცავდა და იცავს წმიდა და უბიწო მართლმადიდებლობას. სწორედ, ქრისტეს ეს ქემშარიტი სარწმუნოება იყო წყარო თქვენი დიდი წინაპრების ძალისა; სწორედ, იგი უმტკიცებდა მათ ეროვნულ თვითშეგნებასა და შთააგონებდა თავგანწირულ შრომას თავისი ერისა და მშვენიერი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენ გვწამს, თქვენო უწმიდესობავე, რომ ღვთის შეწევნითა და თქვენი მწყემსმთავრული შრომით საქართველოს წმიდა ეკლესია „აყვავდება, იხარებს, იზიარებს და იღვრება“ (გამოსვლათა 35,2) თავისი ღვთივადი სიწმიდისა და სიყვარულისა.

ამ რწმენას გვიმტკიცებს მთელი ცხოვრება თქვენი უწმიდესობისა, რომელიც მიძღვნილია ერთარსი სამების დიდებისადმი; თქვენი მოღვაწეობა მუდამ მიმართულია ხალხთა შორის სიბრძნის, სიყვარულისა და მშვიდობის განმტკიცებისაკენ. მრავალმხრივი და მრავალნაყოფიერი შრომით, მართლმადიდებლობის ერთიანობისა და ეკუმენური მოძრაობის სფეროში, თქვენ-

მა უწმიდესობამ ავტორიტეტი მოიხვეჭა მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

ღრმა პატივისცემას იწვევს, აგრეთვე, თქვენი ღონისძიებები კაცობრიობის ფასად-უღებელი მისწრაფების — მთელ მოსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში.

საყოველთაოდ ცნობილია ის ღვაწლი და ამბავი, რომელსაც თქვენ ჩვენი ქვეყნის სხვა ეკლესიებისა და რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელებთან ერთად ეწე-ვით. ყოველივე ეს ხელს უწყობს ჩვენი დიდი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის შემდგომ აყვავებას.

ეს სულიერ-ზნეობრივი და პატრიოტული მოღვაწეობა თქვენი უწმიდესობისა, ამიერიდან უფრო დიდ გასაქანსა და ღრმა განვითარებას უპოვებს.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, აღსაყდრე უღრმესი პატივისცემით თავისი ერთმორწმუნე მოძმე ქართული ეკლესიისადმი, გულთხარობს ამ უწმიდეს ტაძარში გამეფებული სიხარულით და ზეიმით. ეს სიხარული წმიდა და ნათელი. ჩვენც სიხარულმა მოგვიყვანა აქ, რათა ერთხელ კიდევ დავუდასტუროთ კეთილმოწმუნე ქართველ ერსა და მის ღირსეულ მწყემსმთავარს სრულიად რუსეთის სამწყსოს სიყვარული...

მთელი ჩვენი ეკლესიის სახელით მხურვალედ, გულთხარად გულოცავთ თქვენს უწმიდესობას და გლოცულობთ, რათა თვით მაცხოვარმა ყოვლისა სოფლისა, შეამსუბუქოს ტვირთი თქვენი მაღალი მსახურებისა, აღსასრულებლად მისი საღვთო სიტყვებისა „რამეთუ უღელი ჩემი ტბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს (მათე, 11,38).

სულითა და გულთხარად გისურვებთ, თქვენო უწმიდესობავე, ყოველსაშემძლე ღვთის მოწყალეობას, მრავალი წლის ჯანმრთელ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას, რათა დიდხანა ამშვენებდეთ უძველესი და დიდებული ქართული საპატრიარქო ტახტს.

ყოველდღწმიდა და ყოველდღეობულ მოციქულთა ლოცვებით, რომელთაც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში თქვენს კურთხეულ მიწაზე რწმენის მარცვლი შემოიტანეს და მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის, ნინოს თანამდგომლობით დაგიფარათ თქვენი, დიოფაროს თქვენი სიციცხლედ მწყემსმა კეთილმა, უფალმა ჩვენმა მრავალ და მრავალ წელთა მანძილზე.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ!

ღმერთს მადლობას ვწირავ იმიამ გამო, რომ საშუალება მომეცა, დავესწრო მისა უწმიდესობის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის აღსაყდრების ზემოს. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დღეს ვიშოვებე წმიდა ქალაქ მცხეთაში, მისი დიდებული და მონუმენტური ტაძრის თაღებქვეშ. სხვა დროსაც ბევრჯერ ვყოფილვარ მე ამ წმიდა ტაძარში. და ყოველთვის, როცა კი ამ მადლმოთოლ კედლებს შევცქვიროდი, უდიდესი აღტაცება მეუფლებოდა. მისი კედლებიდან საქართველოს ეკლესიისათა სწლოვანი ისტორია ღვრებოდა. რამდენ პატრიარქს ულოცინა და უმოღვაწინა აქ თავისი რწმენისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ... რამდენ თაობას ჩაუვლია, რამდენ მეფესა და ერისმთავარს მიუღია ლოცვა-კურთხევა და ამ ლოცვა-კურთხევით განმტკიცებული, ხმაღმურთული შეგებებია გაგრემოდგარ მტერს, თავისი სამშობლოსა და რწმენის დასაცავად, გადასარჩენად.

აქ, ამ წმიდა ტაძარში ყდრეს ექო ქართველი ერისა და მისი ეკლესიის გმირული ისტორიისა. აქ ჩვენ ვგრძნობთ მის სულიერ ნათელს, იმ ნათელს, რომელიც მარადიული და უკვდავი.

ღრო განუწყვეტილი მიდის... მის მსკვლელობასთან ერთად კი იცვლება ცხოვრების წესი. ეს აუცილებელია. უცვლელი მხოლოდ ერის სულიერი მემკვიდრეობაა. სული მარადიულია და უკვდავი.

დღეს, როცა მისი უწმიდესობა — ილია აღყვანილ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე, ამით მასზე გარდამოვიდა ის ნათელი და მარადიული სულის ძალმოსილება, რომელიც წინამძღვრობს ქართველ ერს და რომელსაც ღრმად უღვას ფესვები მის რწმენაში.

გვწამს, რომ ჩვენი ერების ცხოვრებაში ეკლესია ყველა ამ სულიერი ფასეულობის გამაგრებლებელი და დამცველია.

ველოცავ რა მის უწმიდესობას, მინდა დავსძინო, რომ ეს ნათელი მწყემსმთავრული მადლისა, დღეს სიამელო ხელშია. მისი უწმიდესობის ილიას მარცვნი, ისე როგორც მისი სული, სუფთაა. იგი მართლაც, ღირსეული და დიდი პიროვნებაა. აღსაყდრე დიდი სულიერი ენერგიათ.

ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის ისტორიასა და ამ ისტორიის წიგნში იხსენება ახალი გვერდი; თქვენი საქმიანობით, თქვენი ღვაწლით, თქვენი უწმიდესობავე, თქვენ ღირსეულად შეავსებთ ამ გვერდს. ამიერიდან, მრავალ და მრავალ ათეულ წელს იზრამებთ და იღვანებთ ქრისტეს მცნების ერაგული ქართველი ერისათვის, — მის სანუგეშოდ და სიამედოდ. ღირსეულად იქადაგებთ იესო ქრისტეს სანარებას, მის მარადიულ სულიერ ფასეუ-

ლობებს; დიდ წვლილს შეიტანთ თქვენი მშობელი ერის სულიერი ცხოვრების შემდგომი განვითარების საქმეში, ზრუნვასა და შრომას არ მოაკლებთ ეკლესიათა შორის ურთიერთობისა და ეკუმენური სფეროს კიდევ უფრო გაშლისა და გაძლიერების იდეას, ხელს შეუწყობთ მოძმე წმიდა ეკლესიების შინაგანი ერთიანობის განმტკიცებას და კვლავაც ნაყოფიერ მოღვაწეობას გააგრძელებთ დედამიწაზე მშვიდობის დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

გისურვებთ, თქვენო უწმიდესობავე, ღვთის შეწევნასა და კურთხევას, და სულიწმიდის ზეგარდმო შთაგონებას.

სომხეთის სამოციქულო ეკლესიის სახელით, მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა და ძმური ამბორი.

მშვიდობა და ნათელი იყავნ თქვენთანა, უკუნისამდე, ამინ!



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია II-ის სიტყვა

საოცრებადვე უსახდეროა განგება ღვთისა. არც მის მოწყალებას აქვს საზღვარი. ქვეშაირიტად, ამ განგებამ და მოწყალებამ დააყენა თქვენა წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამათმთავრისა.

მე შეგნებული მაქვს ის უშიძიესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებ ქვეშ დამაყისრა მაღაობა ღმერთობა.

მუხლს ვიბრი მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ ხსენებას მისას.

თავს ვიბრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის — ქართველი ერის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და ჩემი გონება: უნდა ემსახუროს იმ სარწმუნოებით, რომლის დაცვისა და შენარჩუნებისათვის, დაწყებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან, ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ერმა. ქართველი ერი და ქართული ეკლესია მუდამ ერთად იყვნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ძნელბედობის ეამს.

ქართველ ერს დღემდე შერჩა ცხოვრების ორომტრიალისაგან გამობრძმედილი მრავალმხრივი შინაგანი ენერგია. ჩვენი ვალაა, გამოვავლინოთ მასზე ღვთით მინიჭებულ ეს დიდა მაღლი და შეეცადოთ, რომ ხალხმა სასახელოდ გამოიყენოს იგი, ქრისტეს მოძღვრება, რომელიც თავად მოძღვარმა საკუთარი სისხლით დაწერა, და სისხლით დაიცვა ჩვენმა ერმა, ისევე ძვირფასი და ისეთივე გზის მაჩვენებელია დღეს ჩვენთვის, როგორც იყო წარსულში. ქართველმა ერმა დღესაც სარწმუნოების მაღლითა და ღვთისაგან მინიჭებული ენერგიით უნდა იბრძოლოს მშვიდობის, სიკეთისა და დიდი

მომაველისათვის. სარწმუნოების სიყვარული ქართველი ერისა, მისი სულიერი ენერგიიდან გამომდინარეობდა და იმავე ენერგიით უნდა შეიცნოს დღევანდელმა ქართველმა „ახალი აღთქმის“ სიბრძნე. ამ სიბრძნით შეიარაღებულმა ისწავოს, იშრომოს და იცხოვროს, რომ მის ცოდნას და ცხოვრებას ღვთის ზეგარდმო ნათელი ადგეს და ამავე კურთხეული ქვეყნიდან ემზადებოდეს მომავალი, მარადიული ცხოვრებისათვის.

ჩვენს ერში მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნება ჩვენი ეკლესიის საქმიანობის პირველი საზრუნავი.

ჩვენი მომავალი საქმიანობა ვრცელი და მრავალმხრივი უნდა იყოს. აქ უშთავრესი აღენიშნე მხოლოდ. მაგრამ ცოტა რამ სხვა საკითხებზეც უნდა ვთქვათ...


ჩვენ ვემსახურებით სიკეთეს... წარმოუდგენელია ქრისტიანი სიკეთის გარეშე... ვერც სიყვარული, ვერც სასოება ვერ იარსებებს სიკეთის გარეშე. ვერც სათნოება და ვერცა მშვიდობა ვერ დამყარდება კაცთა შორის, სიკეთის გარეშე. სიკეთის მაღლი უნდა დამკვიდრდეს და განმტკიცდეს ჩვენს ერში. და არა მარტო ჩვენს ერში! უკეთურობა უნდა მოვსპოთ. სიკეთის ნათელი უნდა უძლოდეს მუდამ ჩვენს საქმიანობას.

უნდა შევეხო შრომის საკითხსაც... შრომის გარეშე წარმოუდგენელია აღამიანის ცხოვრება. ვერც მშვიდობას მოვიპოვებთ შრომის გარეშე, ვერც სარწმუნოებას განვმტკიცებთ, ვერც სასოებას მოვუმზადებთ რაიმე საფუძველს... ვერც სიყვარულს მივწვდებით. დიდი ილია ჭაჭავაძემ თავის „აზრდილში“ კავკასიონის თეთრი მთებიდან აღიღებდა შრომის სუფევას და ჩვენი მიზანი უნდა იყოს, ისე ავაშალოთ მოყვასთა სულიერი სისხტაცე, რომ შრომა ყველასათვის მომავლისა და სასოების წყაროს წარმოადგენდეს.

ჩვენ, იმისათვის, რომ ღვთიური გზით წარემართოთ წმიდა ეკლესიის მომავალი საქმიანობა, შინაგანი მთლიანობა გვეპირდება. ასეთი მთლიანობის აუცილებლობა აწუხებდა ალბათ მოციქულ პავლეს, როდესაც კორინთელებს მისწერა: „ხოლო გლოცავ თქვენ, ძმაო, სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რაითა მსცევ იტყოდით ყოველნი, და ნუ იყოფინ თქვენ შორის წვალებანი, არამედ იყავით განმტკიცებულნი მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა“ (1 კორინ. 1, 10). იქ, სადაც მთლიანობა ირღვევა, ირღვევა ერთმანეთის სიყვარულიც, ძირი ეთხრება სასოებასაც, სუსტდება სარწმუნოებაც. გამოიშველობა იგივე ცოდვა და ბოროტებაა და ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, არ დავუშვათ ასეთი ბოროტება. ჩვენ მუდამ ერთად უნდა ვიყოთ, მამათმთავარი და მღვდელთმთავრები, პატრიარქი და მღვდლები და ყველა მსახური ეკლესიისა; ჩვენს გარეშეო კი, ჩვენთან ერთად უნდა იდგეს ყველა მორწმუნე ქრისტიანი. და როდესაც არამორწმუნე დიანახავს ასეთ მთლიანობასა და საქტიცეს, ისიც მოაიხიბავს ჩვენს ურღვევობას, ეზიარება იმ სიბრძნეს, რომელსაც მაცხოვარმა „ახალი აღთქმა“ უწოდა.

მაშ ასე, შრომისა და ბრძოლისა გამობრძმედილო, ქრისტეს სჯულის ერთგულთ ძვირფასო სამწყსოვ!

შევთხოვთ ღმერთს, რომ წარგვიძღვეს წინ... რომ ქართული ეკლესიების ზარების რეკვა, წინანდებურად ომისა და უბედურების მაცნე კი არ ყოფილიყოს ჩვენი ერისთვის, არამედ სარწმუნოების, სასოების, სიყვარულის, შრომისა და სიკეთის ზეიმისა. „მაღლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღმრთისა და მამისაი, და ზიარებაი სულისა წმიდისაი თქვენ ყოველთა თანა, ამინ“ (2 კორინ. 13,13).



სიტყვები წარმომავალი სახეობი მიღებაზე

ნება მიბოძეთ, თქვენო უწმიდესობაე და უნეტარესობაე, გულითადად მოგილოცოთ საქართველოს ეკლესიის მესაქის, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსისა და სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზედ აღსვლა.

ქართული ავტოკეფალური ეკლესიის XII კრების მიერ თქვენი ერთსულივანი არჩევა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურად, არის თქვენი, როგორც ეკლესიის ღირსეული წვდვითმთავრისა და სამშობლოს პატრიოტის, ასევე ადამიანის, მოქალაქის დიდი ღვაწლის აღიარება, რომელიც მთელი თავისი არსით და საქმიანობით შეესაბამება ამ მაღალ საეკლესიო თანამდებობას. ამასთანავე, ესაა აღიარება თქვენი მრავალმხრივი და დაუშრეტელი მოღვაწეობისა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

15 წლის მანძილზე თქვენ, თქვენო უწმი-

დესობაე, ღირსეულად წარმოადგენდით ქართულ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას სხვადასხვა თათბირებზე, კონგრესებსა და ფორუმებზე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში: — აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში...

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ მზარს უჭერდა საბჭოთა კავშირის შინაგან და საგარეო პოლიტიკას. მუდამ კეთილ ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს მთავრობასთან.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი უწმიდესობის მეთაურობით ქართული ეკლესია კვლავც გააგრძელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის ზრუნვას, რასაც ასე თანმიმდევრულად ატარებს საბჭოთა მთავრობა.

ნება მიბოძეთ, თქვენო უწმიდესობაე, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ, გისურვოთ ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე, სამშობლოსა და ერის საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ მისიონერული თანხმის მონაწილე

პატივცემულო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, ილია!

პატივცემულო, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის XII კრების მონაწილენო!

პატივცემულო სტუმრებო!

კათოლიკოს-პატრიარქი პიმენი

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარესობაე, დრად საუვარელო და ძვირფასო თანამოძმე ჩვენო, ილია!

თქვენო უწმიდესობაე, ყოველთა სომეხთა უმაღლესო პატრიარქ-კათოლიკოსო ვაზგენ!

ყოვლად სამღვდლონო!

დიდად პატივცემულო სტუმრებო!

წმიდა სულიერი ტრაპეზის შემდეგ, რომელზედაც უფალმა ჩვენმა უსისხლო მსხვერპლი შეიწირა და სადაც კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი სულიერი ერთიანობა, მოვედით უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების ზეიმთან დაკავშირებულ ამ სამიო სუფრასთან.

ჩვენ აქ გეწვიეთ სიხარულით, და თან ჩანოვითანეთ ქართული წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიისა და პირადად თქვენი უწმიდესობისადმი რუსული ეკლესიისა და მთელი მისი მრევლის სიყვარული და კეთილი სურვილები.

ჟამი, ოდეს ღვთის ნებითა და უწმიდესი ქართული ეკლესიის ადგილობრივი კრების განჩინებით თქვენ ამ ეკლესიის მეთაურის ტახტზედ აღიხართ, მეტისმეტად საპასუხისმგებლოა. მართლმადიდებლობას საერთოდ, და ყოველ ცალკეულ ადგილობრივ ეკლესიას კერძოდ, ბევრი შრომის გაწევა მოელოს, რათა სათანადოდ მომზადდეს აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი და წმიდა კრება, განმტკიცდეს მართლმადიდებლობის ერთიანობა, შეტანილი იქნას წვლილი ეკუმენურ მოძრაობასა და

მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

თქვენს უწმიდესობას, ყველა ამ საქმის მოუღლელო მოამბეა და უშუალო მონაწილეს, კარგად მოეხსენება მათი ფრიადი მნიშვნელობა. თქვენ მოუღრეკელი პრინციპულობით იცავთ მუდამ ქართული ეკლესიის სიწმიდესა და ღირსებას. გვახარებს თქვენი დიდი და ავტორიტეტული წვლილი ეკუმენური მოძრაობის განმტკიცებისა და მშვიდობის დაკვირვების საქმეში.

სიამოვნებით მინდა გავიხსენოთ თქვენი დიდი ღვაწლი, თქვენი გამოსვლები საბჭოთა კავშირის ეკლესიათა და რელიგიურ გაერთიანებათა მეთაურებისა და წარმომადგენელთა შეხვედრაზე, რომელიც სულ ახლახან, 1977 წ. 14 დეკემბერს შესდგა ზაგორსკის სამების სავანეში, მოსკოვის მახლობლად: და სადაც მთელი კაცობრიობის წინაშე რელიგიის პასუხისმგებლობის შეკენებით, ამქვეყნიური ცხოვრების ყოველმხრივი კეთილი გამოხატულების პატივისცემისა და რწმენის ნიშნად, შეკრების მონაწილეებმა გამოსთქვეს როგორც თავიანთი, ისე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ მორწმუნე მოქალაქეთა ნება, როცა ერთხმად განაცხადეს პროტესტი მასიური განადგურების ახალი ტიპის იარაღის-ნეიტრონის ბომბის შექმნისა და მისი დასავლეთ სახელმწიფოების ტერიტორიაზე განლაგების წინააღმდეგ.

ჩვენ გვწამს, რომ უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თქვენი უწმიდესობის წინამძღოლობით, უფლის სადი-

დებლად და მისი შემოქმედების გვირგვინის-ადამიანის საკეთილდღეოდ, მომავალში კიდევ მეტ წვლილს შეიტანს, როგორც მართლმადიდებლობის ერთიანობის, ისე ეკუმენური მოძრაობისა და მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში.


ვიმედოვნებთ, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება, როგორც საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების, ასევე საბჭოთა კავშირის სხვა ეკლესიათა, თუ რელიგიურ გაერთიანებათა ძმური თანამშრომლობა და მეგობრობა, საბჭოთა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ღმერთმა მოგანიჭოთ, თქვენო უწმიდესობაე, ჯანმრთელობა და შეძლება, რათა განახორციელოთ ყოველივე, რაც კი უძველესი და უწმიდესი ქართული ეკლესიის საკეთილდღეოდ დაგისახავთ.

იხაროს და იძლიეროს ღვთივცაულობა ქართველმა ერმა, ნიჭით ცხებულმა და შრომისმოყვარემ! მშვიდობითა და კეთილდღეობით აყვავდეს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა!

ამ სურვილებითა და განცდით გწევთ მალა სასმისს.

კიდევ და კიდევ გისურვებთ ჯანმრთელობასა და აღდგარებლობას, თქვენო უწმიდესობაე! თქვენი სახით ვლოცავთ და ვაღდგარებებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას, ქართველ ერს. საბჭოთა ხალხებთან ურდევ მეგობრობასა და მშვიდობას მთელს დედამიწაზე.



კათოლიკოს-პატრიარქი ვაზგენი

თქვენო უწმიდესობავ, კათოლიკოსო ილია! დღეს, სომეხი ერის სახელით მონაწილეობა მივიღე აღსაყდრების ზეიმში. ჩემი ოფიციალური სიტყვა უკვე ვთქვი ეკლესიაში, ახლა კი რამდენადმე ინტიმური და მეგობრული მინდა იყოს ეს სიტყვა...

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დღეებში ძალზე აღვფრთხილვები ვარ. ცნობიერებაში ესეც ვაცოცხლდა და აღმიდგა ჩემი ცხოვრების ის უმნიშვნელოვანესი და ძვირფასი წარსულის დღეები, როცა ოცდაორი წლის წინათ სასომხეთის ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად ამირჩიეს. ეს იყო 1955 წელს. მაშინ მეც ასეთივე ახალგაზრდა ვიყავი; ოღონდ ცოტაოდენი განსხვავებით. მისი უწმიდესობა ილია ორმოცდაათი წლისა ბრძანდებდა, მე ორმოცდაშვიდისა გახლდით. ჩვენთანაც ასეთი მხიარული განწყობა სუფევდა მაშინ. ჭეშმარიტად, როცა ეკლესიის მამათათავარს ირჩევენ, მთელი ერი ხარობს, მაგრამ მე მაშინ სიხარულზე მეტად შიშის გრძნობა მეუფლებოდა. მე მეშინოდა. მე-შინოდა იმ მძიმე ტვირთისა, რომელიც მხრებზე დამაწვა. მაშინ ბევრად მეტი სიძნელე ჰქონდა გადასალახი ჩვენს ეკლესიას. თითონ მე რუმინეთიდან ახალჩამოსული

გახლდით. ცუდად ვიცნობდი სასომხეთის ეკლესიის მდგომარეობას, არსებულ სიძნელეებს. თითქმის არავინ არ მყავდა, არ ვიცოდი ვის უნდა დაეყრდნობოდი. ეკლესიაც და საპატრიარქოც ძალზე დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. ისეთი მძიმე მდგომარეობა იყო, რომ სამი თვის შემდეგ არც კი ვიცოდი, როგორ, ან საიდან მეშოვა ის მინიმალური თანხაც კი, მომსახურე ბერ-მონაზონთა ხელფასისათვის რომ იყო საჭირო. სერიოზული სიძნელეები წამოიჭრა საზღვარგარეთის სომხური ეკლესიების ურთიერთობებთან დაკავშირებითაც. ერთი სიტყვით, საზრუნავი და საწუხარი ბევრი იყო. მაგრამ ღვთისა და ღვთისმორწმუნე სომეხი ერის, ასევე საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით, ყველა ეს სიძნელე გარკვეული დროის შემდეგ მარტო დავძლიეთ კი არა, გადაგავიწყდა კიდევ და დღეს ჩვენს ეკლესიას სასომხეთში საკმაოდ ძლიერი მდგომარეობა აქვს. ყოველივე ეს მე შემთხვევით არ გამიხსენებია. მე მწამს ჩემი ძმის — ილიას.

დასაწყისში, რა თქმა უნდა, ყველა დიდი საქმე ძნელი გვეჩვენება, მაგრამ მჭერა, რომ მისი უწმიდესობის, ილიას მწყემსმთავრობით ქართული ეკლესია უსათუოდ გადალახავს სიძნელეებს, უსათუოდ აღორძინდება და მისი მდგომარეობაც თანდათან უფრო გაძლიერდება. ვუსურვებ მას საკუთარი თა-

ვისადმი რწმენის სიმტკიცეს, ფიზიკურ ძალმოსილებას, ოპტიმიზმსა და ცოტათი, მეტ სითამამეს... მე დარწმუნებული ვარ, საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერს და დაეხმარება მას.

ქართული ეკლესია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ისტორიული ძეგლია... ძეგლი, რომელიც განასახიერებს ქართველი ერის სულს. მე მწამს ამ სულის უკვდავება, როგორც მწამს უკვდავება თვით ქართველი ერისა. მე კარგად ვიცნობ მის უწმიდესობა ილიას და ვიცი, რომ იგი სწორედ ამ სულის ძალმოსილებასადაა უსაზღვრო რწმენამ და თაყვანისცემამ აიყვანა ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ტახტზე. კიდევ და კიდევ, მთელი გულით ვულოცავ მას... ვულოცავ სასომხეთის ეკლესიის სახელით და ვუსურვებ, მუდამ მსუბუქად ევლოს თავისი სამოციქულო მისიის მალაღლი და ძნელად სავალი კიბის საფეხურებზე.

ამ ძნელ საქმეში იგი მარტო არ არის... მის გვერდით დგას რუსეთის დიდი ეკლესია... მუდამ თქვენი თანამდგომი ვიქნებით ჩვენც. უფალი იყოს თქვენი შემწე, თქვენს წმიდა სამოციქულო საქმეებში. გისურვებთ ჯანმრთელობას. ამინ!

არქიმანდრიტი ნაუმი — ბულგარეთის ეკლესიის წარმომადგენელი მოსკოვში

თქვენო უწმიდესობავ!

თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ!

თქვენო უსამღვდელოესობავ!

ღირსო მამანო!

პატივცემული სტუმრებო.

ნება მომეცით, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მადლობა მოგახსენოთ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ახალი წინამძღოლის არჩევასთან დაკავშირებულ დიდ ზეიმზე მოწვევისათვის. ეს ჩვენთვის დიდი პატივია.

თქვენო უწმიდესობავ. მიიღეთ ბულგარეთის პატრიარქის მაქსიმეს, მისი უწმიდესი სინოდისა და პირადად ჩემი გულთბილი მილოცვა:

ავტოკეფალური ეკლესიის ახალი წინამძღოლის არჩევა მარტო ეკლესიის ცხოვრებაში კი არა, საერთოდ, ერის ცხოვრებაშიც უდიდესი მოვლენაა.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დიდი წარსულის, დიდი ტრადიციის მქონე ეკლესიაა. ჩვენ ვიცით, რომ თავისი ქვეყნის ყველა ტერიტორიაზე, ყველა ტანჯვა, რომელიც წარსულ საუკუნეებში მისმა ერმა გამოიარა, გამოიარა ქართულმა ეკლესიამაც. გამოიარა წმიდად, ღირსეულად.

მინდა მოგახსენოთ, რომ ქართველი და ბულგარული ხალხების ისტორიული ბედი ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს. ქართველთა მსგავსად ბულგარელებიც საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ შემოსეულ მტრებს. ჩვენც თქვენსავით ვიცავდით ქვეყნისა და ეკლესიის დამოუკიდებლობასა და კარგად ვიცით, რა დიდი მსხვერპლის ფასად, უკეთეს შვილთა მსხვერპლის ფასად მოიპოვება იგი.

აღფრთხილვებამ იწვევს ქართული ეკლესიის არა მარტო დიდი წარსული, არამედ, აწმყოც.

საბჭოთა კავშირის საერთო ძმურ ოჯახში საქართველოს და ქართულ ეკლესიას ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს.

თქვენ თქვენი წინაპრების ღირსეული მემკვიდრე ბრძანდებით.


დიდა თქვენი წვლილი ეკუმენური მობრძობისა და მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლის საქმეში. თქვენ მრავალ საერთაშორისო ფორუმზე ჩვენს პატრიარქსაც ბევრჯერ შეხვედრიხართ. იმედია, მომავალშიც ვითანამშრომლებთ ერთად.

ვუსურვებ, ქართველი ერისა და მისი ეკლესიის მფარველ ანგელოზს, მის მართლ-

მორწმუნე არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებსა და ყველა ღვთისმოსავს, მრავალ დიდ საქმეთა განხორციელებას უფლისა და მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

თქვენ კი გისურვებთ მრავალ წელთასკლას და ჯანმრთელ სიცოცხლეს, უწმიდესო მეუფეო!





**არქიმანდრიტი გრიგორიოსი —
ალექსანდრიის ეკლესიის
წარმომადგენელი ოღმესაუზნი**

თქვენო უწმიდესობა!

სულიწმიდის ზეგარდმო მადლით შთაგონებულმა უძველესმა ქართულმა ეკლესიამ ერთხმად, ერთსულოვნად აარჩია თვისი ახალი პატრიარქი.

ალექსანდრიის სამოციქულო ეკლესია მთელი გულით იზიარებს მოძმე ქართული ეკლესიის სისხარულს. ჩვენ გვწამს, რომ თქვენი სახით იგი ნამდვილ, ღირსეულ წინამძღვარს ჰპოვებს.

ღიდის მადლიერების გრძნობით მივიღე მონაწილეობა საქართველოს პატრიარქის აღსაყდრების დღესასწაულში.

მე, როგორც ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის უწმიდესი პაპისა და პატრიარქის-ნიკოლოზ VI-ის ეგზარქოსს, რუ-

სეთისა და ალექსანდრიის ორი მოძმე ეკლესიის გამაერთიანებლის ძნელი, მაგრამ დიდად საპატიო მისია მაქვსრია. ახლა კი თქვენი მოწყალებისა და სურვილის თანახმად აქ გვახელით. მინდა ჩვენი ეკლესიის სახელით მშვიდობა და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვო ყველა ქართველ ქრისტიანს; ამ მშვიდობის ქვეყნის კეთილმორწმუნე და მშვიდობისმოყვარე აღამიანებს.

თქვენო უნეტარესობა, გთხოვთ მიიღოთ ალექსანდრიის ეკლესიის წინამძღვრის, უნეტარესი პაპისა და პატრიარქის ნიკოლოზის ძმური საღამო.

მას მუდამ თან დაჰყვება მადლიერების გრძნობა იმ სიყვარულისა და პატივისცემისა გამო, რომელიც მიაგეს თქვენს ღვთით-

დალოცვლ მიწაზე! აქ გატარებული დღეები დაუფიქარია მისთვის.

ვიმედოვნებთ ჩვენს ეკლესიათა შორის მადლიანი, ძმური სიყვარულის მუდმივ სუფევას. და, ეს ძმური სიყვარული მოკვდენოდეს დედამიწაზე მთელს საქრისტიანო სამყაროს.

ჩვენ გვწამს და ვაღიარებთ იესო ქრისტეს მცნებას: „და ყოველივე ღმრთიან მიერ, რომელმან-იგი დამაგნა თავსა თვისსა ქრისტე იესოს მიერ და მომცა ჩვენ მსახურებაში იგი დაგვიხსია“ (2 კორ. 5,18) ეკლესიანი, ქრისტეს მცნებათ აღნთებულნი და სულიწმიდის მადლით შთაგონებულნი, მოწოდებულნი არიან სიტყვით და საქმით ემსახურონ კაცთა შორის მშვიდობიანობისა და ძმობის, ერთობისა და სამართლიანობის საქმეს.

მშვიდობა ნუ მოაკლავს უფალმა საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესიას. და, სიყვარულით შეიტკბოს მან ყველა!

თქვენო უნეტარესობა, მთელნი გულით გისურვებთ წარმატებას ღვთისმშობლის ქართული წმიდა ეკლესიისა და მთელი მართლმადიდებლობის სასახელოდ.



**სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II**

თქვენო უწმიდესობა, თქვენ მალაყოვ-ლოდუსამღვდლოვსობა, პატიოსანო მამანო და ძმანო, ძვირფასო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

ჩვენ, ყველა ასეთ საქმეში ღვთის ნებას ვხედავთ, მის მოწყალებას, მისი მარჯვენის ძლიერებას, სამართალს მისას; ნათლით მოსილ სიყვარულს ყველა მათდამი, ვისაც მან თავისი წმიდა სული ჩააბერა და სიცოცხლე მიანიჭა. ღვთაების ამ დიდმა სიკეთემ, მე, მისგან ბოძებული ძლიერების კვერთხით დამაყენა ჩემი სიყვარული ქართველი ერის წინაშე, როგორც მსახური მისი და აღმსრულებელი ყოვლად მადლის ნებისა; ამის რწმენამ მოიყვანა დღეს სვეტიცხოველში ღვთისმოყვარე ქართველი ერი, მოძმე რუსეთის დიდი ეკლესიის შესვეურნი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის უწმიდესი პიმენის მამათმთავრობით.

ასეთივე მგებობის გრძნობამ მოიყვანა დღეს ჩვენს დედაქალაქში მოძმე სომხეთის უმაღლესი პატრიარქი ვახუცე I...

მივესალმებით ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, უნეტარეს ნიკოლოზ VI-ის წარმომადგენელს, არქიმანდრიტ გრიგორიოსს; ჩვენს ეკლესიას ახსოვს მისი უნეტარესობის ნიკოლოზ VI-ის ჩამობრძანება სიხუმის ეპარქიაში. ვთხოვთ

არქიმანდრიტ გრიგორიოსს, პატივი დაგვდოს და გადასცეს მის უნეტარესობას, რომ საქართველოს ეკლესია თავის მომავალ საქმიანობაში დაინტერესებული იქნება, იქონიოს უახლოესი კავშირი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის ეკლესიასთან. ჩვენ უდრამეს მადლობას მოვასხენებთ ბულგარეთის ეკლესიის წარმომადგენელს არქიმანდრიტ ნაუმს. ბულგარეთისა და საქართველოს ეკლესიებს ძმური ურთიერთობა აქვთ. ჩვენი ეკლესია სიამოვნებით იგონებს ბულგარეთის ეკლესიის პატრიარქის უწმიდეს მაქსიმეს ჩვენს ქვეყანაში ყოფნას. ვთხოვთ არქიმანდრიტ ნაუმს, გადასცეს მის უწმიდესობას ჩვენი კეთილი სურვილები.

გვწამს, რომ მთელი ჩვენი მოღვაწეობითა და სულიერი მრწამსით მუდამ ერთად უნდა ვიყოთ ჩვენს ერთან.

ძვირფასო სტუმრებო, ჩემო თანამემამულენო, ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენ იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც დაფლულია უფალი ღმერთის იესო-ქრისტეს პერანგი, იმ ქვეყანაში დაბადებულნი და აღზრდილნი ვართ, რომელი ქვეყანაც ყოველდღე მადლი ღვთისმშობელს ხვდა წილად. იმ წინაპართა შთამომავალნი ვართ, რომელ წინაპრებსაც წმიდა მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა

უქადაგეს ქრისტიანობა; ასეთი წარსული გვავალებს, მუდამ ვიზრუნოთ ჩვენი ეკლესიის სიწმიდის ამაღლებისათვის. რა თქმა უნდა, იოლი არაა ღვთისა და ერის წინაშე ვალის მოხდა, მაგრამ ვანა შეიძლება რაიმე ტვირთის სიმძიმეზე ფიქრი, ან საუბარი მაშინ, როდესაც ვიცით, რომ ეს ტვირთი ღვთისგან მივიღეთ?

ჩვენც, ამ საზეიმო დღეს, მხოლოდდახოლოდ ღვთის განუზომელ მადლს ვხედავთ, ზევით მოვლენილს. ეს მადლი მთელან პასუხისმგებლობით გვაავალდებულებს ჩვენი მშობელი ქვეყნის წინაშე. ღვთით კურთხეული ტახტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, მუდამეამ ერის სულიერი სიწმიდის ამაღლებას უნდა ემსახუროს, ემსახუროს მშვიდობის იმ წმიდათა-წმიდა საქმეს, რომელსაც განუხრულად მიჰყვება ჩვენი დიდი და ძლიერი სახელმწიფო. ვიღრე ვცოცხლობ, მუდამ ჩემს თვალწინ იქნება ის უხილავი და მაინც ხილული ტახტი, რომელზეც მეუფის ძლიერმა მარჯვენამ ამოყვანა. ჩემს გულზე წარუშლელად წერია ის მოვალეობანი, რომელიც მისმა უსახლგრო მოწყალებამ დამაქირა. ბედნიერებას მანიჭებს ფიქრი, რომ ეს მოწყალება და ქრისტეს მოძღვრების ერთგული ქართველი ერის მუდმივი თანადგომა შემატეებს ძალას, რათა განვახორციელო ყოველივე, რაც მაღალმა უფალმა ღმერთმა დამისახა.

„მშვიდობა ძმათა და სიყვარული სათნოებოთურთ ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“. ამინ! (ეფესელ. 6.23).

მის უწმიდესობას **ღიმიტრიოს პირველს მთავარეპისკოპოსს**
კონსტანტინეპოლისას — ახალი რომისას და მსოფლიო პატრიარქს

ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო, თანამწირველო ჩვენო ღვთაებრივი სამსახურისა! სიყვარულით ვეხვევი თქვენს ღირსეულ უწმიდესობას და მოგესალმებით. სულიწმიდის მაღალმა მადლმა, უძლურთა მკურნალმა და ნაკულოვანთა აღმაცხებელმა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი კრების განჩინებითა, სადაც მონაწილეობდნენ ჩვენი ყოვლად სამღვდლო მღვდელთმთავარნი, თვით სამღვდლო ბერმონოზონნი და ერისაგანნი, 1977 წლის 23 დეკემბერს, თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში, ამირჩიეს მე, ჩვენს ძველ დიდ მამათმთავართა, ღვთით კურთხეულ საპატრიარქო ტახტზედ და დამადგინეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

25 დეკემბერს, მართლმადიდებელ და სხვა მოძმე ქრისტიანულ ეკლესიათა მაღალწარმომადგენლების მონაწილეობით, ჩვენი ღვთივ დაცული ერის თანდასწრებით, საქართველოს ძველ სატახტო ქალაქ მცხეთაში, საპატრიარქო ტაძარ სვეტიცხოველში, სადაც იმყოფება მსოფლიოს ქრისტიანთა უმაღლესი სიწმიდე — კვართი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, შესდგა ჩვენი აღსაყდრება — საპატრიარქო ტახტზედ აღყვანით.

შევუდგეთ რა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შესრულებას, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ: უცვლელად და განუხრელად დავიცავთ მართლმადიდებელ სარწმუნოებას. რომელიც გადმოგვცეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა. ურღვევნი და ხელშეუხებელნი დარჩებიან ჩვენი დოგმატები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ეკლესია ყველა, განვლილ საუკუნეთა მანძილზე.

ჩვენ დიდად ვაფასებთ და ვუფრთხილდებით ჩვენს სარწმუნოებას და მთელ სულიერ მემკვიდრეობას, დაფუძნებულს საღმრთო წერილზე და საღმრთო გადმოცემაზე. იგი ჩვენს ერში მრავალ ათასეულ წამებულთა სისხლითაა განმტკიცებული; განმტკიცებულია წმიდა და ღირსეულ მამათა მოღვაწეობით. სარწმუნოებრივი მოძღვრება და ჩვენი სამწყსოს ზნეობრივ-სულიერი აღზრდა იქნება მთავარი საზრუნავი ჩვენი საპატრიარქო მოღვაწეობისა, ჩვენი საეკლესიო კანონიკური საქმიანობა და ფუძნებული იქნება მსოფლიო საეკლესიო და ადგილობრივი კრებების კანონებსა და წმიდა მამების დადგენილებებზე. სათანადო ყურადღებას დავუთმობთ მუდმივ თანამშრომლობას მართლმადიდებელ უწმიდეს ეკლესიებთან, რათა მშვიდობიანი კავშირითა და ერთსულოვნებით წყდებოდეს ის საკითხები, რომელნიც დგანან ჩვენს წინაშე ამ საპასუხისმგებლო დროს.

ჩვენი მუდმივი საზრუნავი იქნება, აგრეთვე, მშვიდობის განმტკიცების პრობლემა. ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად ეკლესიამ ხელი უნდა შეუწყოს სანუკვარი მშვიდობის დედამიწაზე დამკვიდრებას.

გამოვთქვამთ რა ურყევ რწმენას, რომ ჩვენს წმიდა ეკლესიათა შორის ძმური ურთიერთობა მომავალშიაც განმტკიცდება და გაძლიერდება, ვაუწყებთ თქვენს სიწმიდეს, ჩვენს აღსვლას საქართველოს საპატრიარქო ტახტზე; გამოვითხოვთ თქვენს ლოცვებს ჩვენი ეკლესიისათვის.

გეხვევით რა ქრისტეს მიერი სიყვარულით, ვრჩები ჩემს ლოცვებში მუდამ თქვენი მომხსენებელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ი ლ ი ა II

იანვარი, 1978





ესრეთ ბრწყინვლადი ნათელი შენი.

სააღმოსავლეთი



ეკლესია

**უფილესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ისა**

**ყოველად საგვლდელთა მღვდელთაგანათა,
კათიკოსთა მოძღვართა, ღირსთა ბერ-მონაზონთა
და ყოველთა კურთხეულთა შვილთა მიმართ
საქართველოს უფილეს მართლმადიდებელი და
საგონიერო ეკლესიისათა**

ქრისტეს მიერ საყვარელი დვთიგვანბრძნობილი მღვდელთაგანათა, მოძღვართა, ღირსთა ბერ-მონაზონთა და ძვირფასო მძანო და დანო, — შვილთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, — მკვიდრთა საქართველოისა, და მცხოვრებნთა მის საზღვრებს გარეთ, მოვილოცავთ დიდსა და სასიხარულო დღესასწაულს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას, ამ ზეიმთა ზეიმს — პასექს მარადიულსა და საცხოვნებელს, და ვცხობ:

ქ რ ი ს ტ მ ა ლ ს ღ ბ ა !

ეს საზეიმო მილოცვის სიტყვა გამოსახავს არსს ჩვენი რწმენისა, გამოსახავს ჩვენი სასოების სიმტკიცესა და უძლეველობას, უდიადეს ძალას ჩვენი საუკუნო სიყვარულისა.

ქ რ ი ს ტ მ ა ლ ს ღ ბ ა !

მაშ, მიღებული და შეწყნარებულია დვთის მიერ საცხოვნებელი მსხვერპლი და აღსრულებულია საიდუმლო კაცთა მოდგმის გამოსხნისა.

ქ რ ი ს ტ მ ა ლ ს ღ ბ ა !

გამოისყვიდა უფალმა ის ქმნილება, რომელიც ყოველი მისი ქმნილების გვირგვინად შეიქმნა — ადამიანი, და რომელსაც დვთისაგან მინიჭებული ჰქონდა პასუხისმგებლობა და თავისუფლება: მოვალეობა და და უზენაესი ჯილდო.

„რა, არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი?“

ანუ ძე კაცისა, რამეთუ მოჰხედავ მას? დააკლევ იგი მცირედ რაიმე ანგელოზთა, დიდუ-

ბითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ იგი, და დაადგინე იგი ზედა ქმნულსა ხელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქვეშე ფერსთა მისთა“ (ფსალმუნი 8,4-6).

რა იღუმალება და ძლიერება იფარება ამ სიტყვებში საღვთისმეტყველო აზრისა და ქრისტიანული მოღვაწეობისათვის! ყოველივე ეს დვთივბოძებული ნიჭი ჩვენს წინაშე განუსაზღვრელ სივრცეს სხნის სულიერი მოქალაქეობისა და სულიერი დვაწლისათვის, ასეთი კურთხევა შესაძლებლად ხდის ჩვენს ზნეობრივ სრულყოფას, და კურთხეულია შემოქმედება, სწორედ მაშინ ხდება ჩვენთვის გასაგები ჩვენი აზროვნება, სიტყვა, გრძნობა და დაუთკებელი სწრაფვა პარველმიზეზისადმი. ყოველივე ეს კი — შედეგაა უსასრულო დვთაებრივი სიყვარულისა.

წმ. ვასილი დიდის სიტყვით, — ადამიანი არის ქმნილება, რომელმაც მიიღო ბრძანება განდმართონისა, მაგრამ ეს ბრძანება ადამიანის თავისუფლებისადმი მიმართული ძალდატანება როდია; ადამიანმა, როგორც თავისუფალმა და პიროვნულმა არსებამ, შეიძლება მიიღოს ან უარჰკან ბრძანება დვთისა, იგი რჩება პიროვნული თავისუფლების გვირგვინით შემოსილად იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძალიან შორდება დმერთს და მაშინაც, როცა თავისი ბუნებით დვთის მსგავსებასაც კი ჰკარგავს.

დვთის ხატება არავითარ შემთხვევაში არ ირღვევა ადამიანში. (წმ. ვასილი დიდის სიტყვები, ჩვენ-

ივის ცნობილი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე სიტყვიდან (იხ. მოსკოვში 1844 წ. გამოცემული „წმ. მამების შრომები“. ნაწ. IV, გვ. 104-129).

ღმერთო მრავალმოწყალეო, სიყვარულსა შენსა არა აქვს ზღვარი!

როგორი ურთიერთდამოკიდებულება იყო დამყარებული ღმერთსა და ადამიანს შორის? ადამიანის სულს თავისი საზრდო უნდა ეპოვა ღმერთში, და ღვთით ეცხოვრა, სოლო ადამიანის სხეული უნდა დაქვემდებარებოდა სულს, — ასეთი იყო ადამიანის უკვდავი ბუნების თავდაპირველი სახე.

ჰკარგავს რა ღმერთს, ადამიანის სული იწყებს ცხოვრებასა და საზრდობას თავისივე ფიზიკური სხეულით, საიდანაც წარმოსდგებიან ვნებები, სოლო სხეული, რომელიც იძულებულია გარე სამყაროში, — უსულო და მკვდარ მატერიაში ეძიოს საზრდო, — ამის შედეგად მხოლოდ სიკვდილს პოულობს და ადამიანის სრულყოფა იხრწნება.

ღღეს, ვდღესასწაულობთ რა თქვენთან ერთად მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სასწაულს, — ქრისტეს დიდებულ აღდგომას, — რომელიც საწინდარია ჩვენი მომავალი სულიერი და ფიზიკური აღდგომისა, აღვავლენთ ღოცვებს უფლისა ყოვლისა-მყარობელისა მიმართ, რათა მან განახლოს ჩვენი სულიერი არსი და დაგვიბრუნოს პირველქმნილი ბუნება, რათა ჩვენი აღდგომა და განახლება დაიწყოს ჯერ კიდევ აქ, — დედამიწაზე, როცა ვუერთდებით სიცოცხლის წყაროს, — უფალს — მისი უკვდავი სორცისა და სისხლის ზიარებით, — ესდებით ნაწილი მისი მარადიული და უკვდავი სხეულისა, რომელიც შეაერთებს თავის არსში ცოცხალთა და მკვდართ, და წარმოქმნის ერთს, ქრისტეს წმიდა ეკლესიას.

ღვთისა და კაცის ამ ერთიანობაშია ჩვენი ძალა, ამაშია ჩვენი იმედი, „რამეთუ რომელმან აღადგინა უფალი იესო, ჩუენცა იესოთხ მიერ აღმადგინეს“ (2 კორ. 4,14).

ეს ერთიანობა გვაიძულებს ვიფიქროთ ჩვენი ცხოვრების აზრსა და მიზანზე, რათა იგი არ დაემგავსოს მთიდან დაგორებულ ლოდს, რომელიც საჭაროებს ისევ და ისევ ზევით აზიდვას, და რომლის შეჩერება და უკან დაბრუნება დიდ სულიერ დაძაბულობასა და სულიერ ტანჯვასთანაა დაკავშირებული. ღმერთი არის უმაღლესი იდეალი ყველა ჩვენი ზნეობრივი სწრაფვისა. ეს უზენაესი ძალა უდევს საფუძვლად, იგია შინაარსი და მისწრაფება ადამიანის მორალური ცხოვრებისა.

ამგვარად, განახლებული ქრისტიანის მიზანი, მტკიცე რწმენასთან ერთად, უნდა იყოს სიყვარული, კეთილმოქმედება, სულიერი სრულყოფა, და ამის შედეგად ადამიანი აღწევს დაუსრულებელ სისარულსა და ნეტარებას.

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ მო-

უხმობთ მთელ ჩვენს ნებისყოფას და გავყვებით წმ. პეტრე მოციქულის სიტყვებს: „აღორძინებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესითა“ (2 პეტრე 3,18).

ქრისტიანობა — ესაა რელიგია სრულყოფილი სიყვარულისა, მარადიული სისარულისა და უხვი ღვთაებრივი ენერჯისა.

გისურვებთ, გქონოდეთ სრულყოფილი და ყოვლის-მძლეველი სიყვარული: სიყვარული ღვთისადმი, სიყვარული მოყვასისადმი, სიყვარული დედა-სამშობლოსადმი, სიყვარული ჩვენი უკვდავი სულისადმი, სიყვარული მარადიული მომავალი სიცოცხლისადმი, სიყვარული სიკეთისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც კი ხელს შეუწყობს ჩვენს სულიერ აღხილვასა და აღდგომას.

ძვირფასო დებო და ძმებო, აღდგომილი უფალი ჩვენ ყველას გველოდება სიყვარულით გაშლილი სელებით. ვიქმნეთ დირსეულნი მისი ღვთაებრივი სიყვარულისა, რადგანაც, „ეთიარცა-იგი მამად აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ვერცა ძე, რომელცაა მხნებავს, აცხოვნებს“ (იოანე 6,21).

სისარულით მოდით და დატკბით ღვთაებრივი ტრაპეზის ზიარებით.

ჰმშობრიტად აღსდგა ქრისტე!

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

აღდგომა ქრისტესა
თბილისი, 1978 წელი.



საკო. წმიდა გიორგის ქედური
ხატი. XI ს.



ს ა მ ე ბ ო ბ რ ო გ ზ ე ბ ი

ამ რამდენიმე თვის წინ სრულიად რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნა პატრიარქობის აღდგენის 60 წლისთავი. მსოფლიოს ყველა ეკლესიის წარმომადგენლობა ეწვია მართლმადიდებელი ეკლესიის უძველეს კერას — ზაგორსკს. მათ შორის იყო საქართველოს დელეგაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესასა და უნეტარესის — ილია II-ის მეთაურობით. ზეიმის შემდეგ კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოების წარმომადგენლებმა ისურვეს საქართველოში ჩამოსვლა.

და აი, ამა წლის 1 ივნისს, მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ძმური კავშირის განმტკიცებისა და თანამშრომლობის მიზნით, თბილისს ეწვივნენ მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელნი:

ქალკედონის მიტროპოლიტი, მაღალყოვლად-უსამღვდელოესი მელიტონი, ფილადელფიის მიტროპოლიტი, მაღალყოვლად-უსამღვდელოესი ბართლომე;

შვეციისა და სკანდინავიის ქვეყნების მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი პავლე.

მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციას ასლდა ბელორუსიისა და მინსკის მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი ანტონი.

ორ ივნისს კი თბილისში ჩამოვიდნენ, აგრეთვე, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა (სირია, დამასკო) წარმომადგენლები:

ტრიპოლის მიტროპოლიტი, მაღალყოვლად-უსამღვდელოესი ილია (კურზანი);

მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი ალექსი (აბდეღ ქარიმი);

არქიმანდრიტი, მაღალღირსი მაკარი (თაიარი), დელეგაციას ასლდა ზენაგოროდის ეპისკოპოსი ანატოლი — რუსეთის ეკლესიიდან.

ორივე დელეგაციამ რამდენიმე დღე დაჰყო საქართველოში; და ყველგან, სადაც კი მათ მოუხდათ ყოფნა, ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად უაღრესი გულთბილობითა და პატივისცემით სვდებოდნენ ქართველნი საერონი, მორწმუნე ქრისტიანენა უძველესი საქრისტიანო ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებს...

რა იყო მაინც მთავარი მიზანი, რისთვისაც მათი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ეწვია ჩვენს წმიდა სალოცავს...

პირველი: წერილობითი მილოცვის შემდეგ, მათ ხურდათ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის პირადი ჩამოსვლითაც დაედასტურებინათ თანაერთი სიყვარული და თანამდგომობა მისი უწმიდე-

სობისა და უნეტარესობის ოლქი II-ის აღსაყდრების გამო. ერთხელ კიდევ მიულოცეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჩვენს ტაძარსა შინა სამეუფო ტახტზედ აღსვლა და აღავლინეს ლოცვა, რათა უფალი ღმერთი მაღალი იყოს შემწე და მფარველი მისი მარჯვენისა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა.

მეორე დიდი მიზანი, რისთვისაც მათი ყოვლად-უსამღვდელოესონი შორი და დამქანცავი გზიდან საქართველოში ჩამობრძანდნენ, გასლავთ, უაღრესად დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი — მსოფლიო საეკლესიო კრების მომზადება.

როგორც ცნობილია, მსოფლიო საეკლესიო კრება VIII საუკუნის შემდეგ არ ჩატარებულა. მისთვის სამზადისს, მის სათანადო დონეზე აღნიშვნას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს... საუკუნეების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქრისტიანულ ცხოვრებაში... განა და მთელი რიგი მიმდინარეობები, სექტები, დაჯგუფებები... ყოველივე ამან კი გამოიწვია მორწმუნეთა გათიშვა, დაშლა, განცალკევება... მომავალმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ უნდა გამოიხატოს გზები მათი ხელახალი დაახლოებისა და შეკავშირებისათვის. დღევანდელ რთულ, უაღრესად დაძაბულ საუკუნეში მორწმუნეთა შეკავშირებასა და ერთიანობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დედამიწაზე მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების მიზნითაც. ეს კი ყველას ნათლად მოეხსენება, რა საშური და გადაუდებელი საქმეა.

რა თქმა უნდა, სხვა საკითხთა შორის, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნება, რომელზედაც იმჯველებს მომავალი მსოფლიო საეკლესიო კრება.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ყოვლადუსამღვდელოესი სტუმრების ასეთივე მთავარი მიზანი, ცხადია, ქართული ეკლესიის მესვეურებთან ერთად ისიც იყო, რომ უფრო მეტად განმტკიცდეს ურთიერთშორისი კავშირი და მეგობრობა თვით ჩვენს ეკლესიათა შორის. აი, თემები, რომელთა ირგვლივაც წარიმართა საუბრები შესხვედრების დროს.

სტუმრებმა გამოთქვეს დიდი სურვილი და რწმენა (რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად), რათა უფრო გაძლიერდეს ის ძმური კავშირი, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტეს პირველ მოციქულთა დროიდან არსებობდა ჩვენს უძველეს ეკლესიათა შორის. ეს სურვილი და რწმენა მათში უფრო განამტკიცა სინონსა და სვეტიცხოველში მლოცველთა გულთბილმა და შთაგონებულმა შესხვედრებმა.

გუბჭდვით რამდენიმე სიტყვას, რომელიც მათი სტუმრობის უამს წარმოითქვა სვეტიცხოვლის ტაძარში და სხვა შესხვედრების დროს.



კონსტანტინეპოლის ეკლესიის, ქალკედონის მიტროპოლიტი, შადლუოვლად-
უსამღვდელოესი მელიტონი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის ეკლესიათა დელეგაციების წარმომადგენლები
საქართველოს საპატრიარქოში



ს ი ტ ვ ე ა

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავე, ღვთივ განბრძნობილო მამანო და ძმანო, მსოფლიოსა და ანტიოქიის საპატრიარქოთა დიდად პატივცემულო წარმომადგენელნო, წარმომადგენელნო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა.

პატივცემულო, ძვირფასო სტუმრებო! საღმრთო წირვაზე წმიდა სულიერი სახარლოთი დაკმაყოფილების შემდეგ, სადაც ჩვენი სულიერი ერთობის ნიშნად უსისხლო მსხვერპლშეწირვა აღსრულდა, კვლავ შევიკრიბეთ დღეს ორი დიდი ეკლესიის — კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის დელეგაციათა პატივსაცემად.

კიდევ ერთხელ მოგვსალმებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით; იმ ეკლესიის სახელით, სადაც ღვთის სახარება იქადაგეს წმიდა მოციქულებმა-ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, სადაც განისვენებს სვიმონ კანანელი, და სადაც იმყოფება დიდი სიწმიდე ქრისტიანობისა — კვართი უფლისა.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მუდამ იყო სხვადასხვა პოლიტიკურ და რელიგიურ ძალთა შეტაკების ასპარეზი, მაგრამ მიუხედავად მრავალი დიდი განსაცდელისა, ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია მუდამ ერთგული იყო მართლმადიდებლობისა. მან თავისი სარწმუნოება საუკუნეების ქარ-ცეცხლში უმწიველოდ გამოატარა და წმიდად მოიტანა დღევანდელ დღემდე.

მოგვსალმებით რა თქვენ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და პირადად

ჩვენი სახელით, აღვავენთ ღვთისადმი მაღლობას, რომელმაც მოგვანიჭა ახალი მაღლი ჩვენს ეკლესიებს შორის კავშირისა და სულიერი ერთიანობისა.

გულითადად მივესალმებით მაღალყოვლადუსამღვდელოეს მ ე ლ ი ტ ო ნ — ქალკედონის მიტროპოლიტს, რომელიც მეთაურობს კონსტანტინეპოლის დელეგაციას და აქ ჩამობრძანდა მსოფლიოს უწმიდესი პატრიარქის — ი მ ი ტ რ ი ო ს პირველის სახელით. ჩვენ ასევე მოხარულნი ვართ მივესალმობთ მაღალყოვლადუსამღვდელოეს ი ლ ი ა ს — ტრაპოლის მიტროპოლიტს, ანტიოქიის ეკლესიის დელეგაციის მეთაურს, რომელიც აქ წარმოადგენს უნეტარეს ი ლ ი ა მეოთხეს, დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს. ჩვენს სტუმრებს შორის იმყოფება მაღალყოვლადუსამღვდელოესი ა ნ ტ ო ნ ი, მიტროპოლიტი მინსკისა და ბელორუსიისა და სხვა თანამომხენი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან. მრავალსაუკუნოვანია ჩვენი მეგობრობა. სასიხარულოა, რომ ეს მეგობრობა დღესაც გრძელდება.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ მართლმადიდებელთა შორის თანამშრომლობას, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ერთიანობისა და ჭეშმარიტად ძმური და სამართლიანი ურთიერთობის პრინციპზე.

ემსჯელობთ რა მართლმადიდებელთა შორის თანამშრომლობაზე, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვაღვნიშნებთ თვალს, მსოფლიო წმიდა საეკლესიო კრების მოწვევის მოსამზადებელ მუშაობას, რომლის ინიციატორია მსოფლიო საპატრიარქო. ჩვენც გემ-

ზადებით ამისათვის. ჩვენც ვფიქრობთ იმ რთულ პრობლემებზე, რომელნიც ჯერ კიდევ დღემდე არსებობენ ცალკეულ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. ისინი უთუოდ, საბოლოო შესწავლასა და წინასწარ მოწესრიგებას მოითხოვენ. ეკლესიები უთუოდ უნდა მივიდნენ ერთიან გადაწყვეტილებამდე, რათა მსოფლიო კრება ახალი უთანხმოებისა და განხეთქილების მიზეზად არ იქცეს. კრებამ უნდა უჩვენოს სხვა მრწამსის მიმდევართ და გარეშე სამყაროს ძალა განუყოფელი მართლმადიდებლობისა.

წმიდა ივერიის ერმა იცის კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის დელეგაციათა ჩამოსვლის მიზეზი და ხარობს.

ჩვენ ერთხელ კიდევ მივესალმებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის, ქართველი ერისა და პირადად ჩვენი სახელით, ამ დელეგაციებს.

გთხოვთ თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავე, გადასცეთ ჩვენი მეგობრული სალამი, და სულიერი ურთიერთგაგება ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს საპატრიარქოსი, უწმიდეს დ ი მ ი ტ რ ი ო ს პირველს, კონსტანტინეპოლის ეკლესიის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს, და უნეტარეს ი ლ ი ა მეოთხეს, დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს. ჩვენ ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, მათი დიდი ეკლესიების საკეთილდღეოდ და გამოვთქვამთ რწმენას. რომ ჩვენი ურთიერთკავშირი კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.

კონსტანტინეპოლის ეკლესიის, ქალკედონის უხუცესი მიტროპოლიტის მ ე ლ ი ტ ო ნ ი ს სიტყვა

თქვენო უნეტარესობავე, მაქვს პატივი გაუწყოთ: მსოფლიო პატრიარქი დიდის სიხარულით შეხვდა თქვენი უნეტარესობის მცხეთა-თბილისის არქიეპისკოპოსისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმიდა და ისტორიულ ტახტზედ აღსვლას. დღეს კი მისი ყოვლად უწმიდესობა ჩვენი საშუალებით კიდევ ერთხელ მოგვსალმებით და გილოცავთ.

ჩვენ ამ დიდ მისიას ვასრულებთ კონსტანტინეპოლის ყოვლადწმიდა არქიეპისკოპოსის, ახალი რომის, მსოფლიო პატრიარქის, დიმიტრიოს I-ისა და მისი წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით. გეამბორებით მსოფლიო პატრიარქის სახელით, თქვენ —

სრულიად საქართველოს ღირსეულ კათოლიკოსს და კონსტანტინეპოლის ეკლესიის მუდმივ თანამდგომლობასა და ძმურ სიყვარულს ვთავაზობთ ქართულ ეკლესიას. დაე, კიდევ უფრო გაღრმავდეს და გაქლიერდეს ჩვენი მეგობრობა და ურთიერთკავშირი.

ორი ეკლესიის ამ კურთხეული შეხვედრისა და ამბორის-მოწმებულ დგანან დღეს ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა ძეგლები საქართველოს ისტორიულ და ულამაზეს მიწაზე... დგანან ქართული სამოციქულო ეკლესიის პირველი დიდი მოამბევი, ქრისტეს სჯულის მქადაგებელი. აქვეა მოციქულთა სწორის, იმპერატორ კონსტანტინეს შიერ წარმოგზავნილი პირველი ეპისკოპოსი

იოანე, რომელმაც ყველა საეკლესიო, სასულიერო საიდუმლოებათა შესრულებითა და ქადაგებებით, უფრო მეტად განამტკიცა და განაყრცო ქრისტეს რწმენა.

და აი, ქალაქიდან, საიდანაც თავის დროზე, იმ შორეულ საუკუნეში ჩამოვიდა იოანე, დღეს გვახვლით ჩვენ. გახვლით და გესურს აღდგომის ამ ნათელ, გაზაფხულის დღეებში თქვენთან ერთად ჩვენც ვეზიაროთ ქართული ეკლესიის საიდუმლოებებს; ეკლესიისა, რომელსაც თავისი არსებობისა და ძნელმდებობის მანძილზე, ტანჯვასთან ერთად მრავალი, განუწყვეტლავი აღდგომა და განახლება განუცდიდა. და იგი ცოცხლობდა, იგი ცოცხლდება, იგი იცოცხლებს. იცოცხლებს გაზაფხულის მარადიული განახლებ-



მაღალყოვლადუსამღვდელოესი
მ ე ლ ი ბ ნ ი

ბის, აღდგომის სიმშენიერით, მთელი მართლმადიდებლური სარწმუნოების, მისი ნორწმუნე, შემოქმედი ქართველი ერისა და მაღალი რმერთის სადიდებლად.

ამას გვასწავლიან და გვიდასტურებენ ისეთი დიდი წმიდანები, როგორებიც არიან: წმიდა კონსტანტინე, წმიდა ნინო, მეფე მირიანი, კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის პატრიარქები, წმიდა იოანე და ივერიის ეკლესიის ყველა კათოლიკოსი, მღვდლები და ბერები, რომელთაც დიდი მოციქულური შიგნით იქადაგეს სახარება და უმწიკვლოდ ემსახურნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

ახლა კი თქვენ ბრძანდებით, თქვენო უნეტარესობავ, იოანესა და საქართველოს კათოლიკოსების დიდთა საქმეთა გამგრძელებელი. მოხმობილი ხართ, განაგრძოთ ქადაგება სახარებისა; მოხმობილი ხართ სარწმუნოების სამსახურად, რათა კიდევ უფრო განამტკიცოთ სიციცხლე საქართველოს უწმიდესი ეკლესიისა.

ჩვენ კი სატახტო ქალაქის წარმოგზავნილი, ვართ და მარადის ვიქნებით თქვენი თანამდგომნი და თანამსახური კაცთა შორის მშვიდობის, რწმუნისა და სიყვარულის ქადაგებაში.

რის მშვიდობის, რწმუნისა და სიყვარულის ქადაგებაში.

მსოფლიო პატრიარქთან ერთად, ჩვენც გამოვთქვამთ სიხარულს თქვენი უნეტარესობის აღსაყდრების გამო. თქვენ ფრიად გამოცდილი და დიდი მცოდნე ბრძანდებით მართლმადიდებლური ქადაგებისა, საერთოდ, საეკლესიო ცხოვრებისა და მსახურებისა. თქვენ ქადაგებთ სიყვარულს კაცთა შორის და დიდი წვლილი მიგიძღვით მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლის საქმეში. თქვენ ღირსეული პატრიარქი ბრძანდებით.

ამ ფიქრითა და აზრით, ამ გრძობებით აღვსილნი მოგესალმებით, თქვენო უნეტარესობავ; მივესალმებით თქვენს ღირსეულ იერარქიას — მღვდელთმთავრებსა და წმიდა სამღვდლოებს, მთელ ქართულ ეკლესიას მუდამ და განსაკუთრებით კი ამ წმიდა სააღდგომო დღესასწაულის პერიოდში.

ქრისტე აღსდგა!

მ შ ვ ი ღ ო ბ ა ყ ო ვ ე დ თ ა

ქართულმა ეკლესიამ და ქართველმა ერმა კარგად უწყის რა საშინელების მოტანა შეუძლია ომს. ქართული წმიდა სამოციქულო ეკლესია დღესაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ერთგულია.

ჩვენ, საბჭოთა კავშირის ეკლესიათა და რელიგიურ გაერთიანებათა შეხვედრის მონაწილენი — ბუღიზმის, იუდეიზმის, მუსულმანური და ქრისტიანული რელიგიების წარმომადგენლნი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, უწმიდესი პატრიარქის, პიმენის ინიციატივით 1977 წლის 14 დეკემბერს შევიკრიბენით მოსკოვის მახლობლად, ზაგორსკის „წმიდა სამების“ საეანეში იმ შეგნებით, რომ რელიგიის მუშავებს კაცობრიობის წინაშე აკისრიათ უდიდესი მისია.

ჩვენ წმიდა მრწამსითა და პატივისცემით ვეკიდებით ცხოვრების ყოველ ავ, თუ კარგ გამოვლინებას. და ჩვენი ქვეყნის ყველა მორწმუნის სახელით გამოვთქვამთ ერთსულოვან პროტესტს ახალი მასიური განადგურებზს იარაღის, ნეიტრონის ბომბის შექმნისა და მის დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განლაგების ცდის გამო.

ჩვენ გულითადად მოგესალმებით, ძვირფასო ძმანო და დანო და მოგმართავთ თხოვნით: უდიდესი ამქვეყნიური განძის, ქვეყნად სიციცხლის და მშვიდობის შენარჩუნების სახელით გავერთიანდეთ ნეიტრონული საშიშროების საწინააღმდეგო მოძრაობაში.

1 1977 წლის 14 დეკემბერს ქ. ზაგორსკში შესდგა საბჭოთა კავშირის ეკლესიათა მეთაურების, წარმომადგენელთა და რელიგიურ გაერთიანებათა კრება, რომელმაც განიხილა ნეიტრონის ბომბის საკითხი.

იგი მშვიდობის სადარაჯოზე დგას და მუდამ თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს კაცობრიობის ამ სანუკვარ მიზანსა და საქმეში...

ამის ერთი ნათელი დადასტურება ეს მიმართავა:

ნეიტრონის ბომბი უზარმაზარი, სიციცხლის გამანადგურებელი ძალით, თავისი მოქმედების არეში სპობს რა ყოველივეს, სათანადო გენერტური შედეგების საშიშროებით ემუქრება მომავალ თაობებსაც. იგი ცივი ომის ერთ-ერთი უსასტიკესი საშუალებაა.

ქეშმარიტად, სხვადასხვაგვარი იქნება ნეიტრონის იარაღის ხმარებით გამოწვეული მძიმე შედეგები. მისი არსებობის თუნდაც თვით ფაქტიც კი, ქმნის მძლავრ იმპულსს შედგომი შეიარაღებისა და მოსალოდნელი ცივი, ყოველგამანადგურებელი ომისათვის.

კაცობრიობა მხოლოდ მაშინ გათავისუფლდება ცივი ომისა და საერთოდ, საკუთარი არსებობის მოსპობის საშიშროებისაგან, თუ იგი უარს იტყვის მსგავსი იარაღის შექმნაზე და ყველა ამ მისწრაფებას განახორციელებს.

ნეიტრონის იარაღის აბოლოგებები ყოველ შესაძლებლობას ხმარობენ, რაც შეიძლება მალე ჩააყენონ იგი მწყობრში და ამასთან, უსათუოდ განლაგონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე; ცდილობენ, ხელი შეუშალონ საყოველთაო განიარაღებისა და ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესს; აჩქარებენ ახალი მსოფლიო ომის დაწყების შესაძლებლობას. ყოველად არაადამიანური ლოკივით, ისინი ნეიტრონის ბომბს უწოდებენ „სუფთას“, რამდენადაც ეს ბომბი სპობს რა სიციცხლეს, დაუზიანებელს სტრეგებს მატერიალურ ფასეულობებს. როგორი ამორალური ფილოსოფია! როგორი პირფერობა!

ჩვენ ხმამალა ეაცხადებთ: დედამიწის არცერთი რელიგია არ იზიარებს მსგავს თვალსაზრისს ცხოვრებაზე!

საბჭოთა კავშირის მორწმუნე ადამიანთა აზრი, გრძნობა და ნება ეწინააღმდეგება ახალი დანაშაულისათვის სამზადისს კაცობრიობის წინაშე. ჩვენ კარგად ვიცით ომის ფასი. ჩვენმა სამშობლომ ოც მილიონზე მეტი ადამიანის მსხვერპლი გაიღო მეორე მსოფლიო ომის წლებში; სამშობლოსათვის დაცემულთა სისხლი მოგვიწოდებს, არ დაეშვათ მსოფლიო კატასტროფის განმეორება.

ჩვენ ღრმად გვწამს: სხვა თვალსაზრისი მიუღებელია. ნეიტრონის საშიშროება მთელ კაცობრიობას ემუქრება!

ჩვენ მივესალმებით გაერთიანებულ ერების რეზოლუციას, რომელიც კრძალავს ყოველგვარი მასიური განადგურების იარაღის წარმოებას. ეს გადაწყვეტილება დიდ ძალას ანიჭებს ჩვენს გამოსვლას ნეიტრონის ბომბის წინააღმდეგ.

გვწამს, რომ მოახლოებულია მისი აკრძალვის ჟამი.

ჩვენ, რელიგიის მსახურებს, ჩვენს მორალურ მოვალეობად მიგვაჩნია, გაავფრთხილოთ ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომელნიც თავიანთ თავს მორწმუნეებად თვლიან; დაუშვებელია ნეიტრონის ბომბის წარმოება, მკრეხელობა, როცა მას „ჰუმანურს“ უწოდებენ. ღრმად შემცდარი პოზიციაა და ყოველივე ამას შეიძლება ტრაგიკული შედეგი მოჰყვეს.

გადაუდებლად მიგვაჩნია, ასეთი ადამიანების გარშემო შეიქმნას ზნეობრივი ზემოქმედებისა და განსჯის ატმოსფერო.

გესურს შევახსენოთ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომ ხელი-სუფლების სათავეში ყოფნა მათ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებთ მთელი დედამიწის, როგორც დღევანდელი დღის, ისე მისი მომავლის წინაშე. ისინი მოვალენი არიან ანგარიში გაუწიონ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, რომელიც უარყოფს ნეიტრონის ბომბს.

მხურვალე მშური მოწოდებით მიემართავთ მთელი მსოფლიო რელიგიის მოღვაწეებსა და ყველა მორწმუნეს: ნუ აირჩე-

ვენ ნურც დემილის, ნურც ნეიტრალურ პოზიციას ამ ახალი მანტიური განადგურების უსაშიშროესი იარაღის მიმართ, ნუ გამოქმნავენ ნურც სამხედრო შეიარაღებას.

დარწმუნებულნი ვართ, თავისი გარდაუვალი აუცილებლობითა და მნიშვნელობით ჩვენი მოწოდება დროულია. ეს მით უფრო თვალნათლივია ახლა, როცა ადამიანის უფლებები მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად იქცა. ნეიტრონის ბომბის პრობლემა კი ადამიანური არსებობის უპირველეს და მთავარ უფლებას ეხება — მის სიცოცხლეს.

ძვირფასო ძმებო და დებო! გვერა და გვწამს — უსათუოდ გაიზიარებთ ამ საერთო საწუხარს და ხმას შემოუერთებთ ჩვენს მოწოდებას. მხოლოდ საერთო ძალითა და ყველა კეთილ ნების ადამიანის მოთხოვნით შეიძლება ვისსნათ კაცობრიობა დადუბვისაგან. ჩვენ ვლოცულობთ ამ საქმის წარმატებისათვის და გვერა, რომ ჩვენი საერთო მოწოდება დაამარცხებს სიკვდილის ახალ საშიშ იარაღს.

ყოველი ღონე ვისმართო, რომ აკრძალოს ნეიტრონის ბომბი!

დაე, სუფუდევს ქვეყნად მშვიდობა.

სომხეთის სამოციქულო ეკლესიის სახელით
მ ბ ზ ბ მ ნ I — ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქი,
ქრისტიან ბაპტისტთა საკავშირო საბჭოს სახელით
ბ. მ. ბ. მ. ჩ. ბ. მ. მ. მ. — ყოველთა ბაპტისტთა გენერალური მდივანი.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით
ი. ლ. ი. ა. — მიტროპოლიტი ცხუმ-აფხაზეთისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის მოსაყდრე.

სსრ კავშირის ბუდისტთა სასულიერო სამმართველოს სახელით
ბ. ხ. ლ. ბ. მ. მ. ბ. მ. მ. მ. მ. მ. — ჯამბალ-ლორჯი, სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე.

1977 წ. 14 დეკემბერი
ზაგორსკი.

ზაგორსკი. სსრკ ეკლესიათა მეთაურების, წარმომადგენელთა და რელიგიურ გაერთიანებათა კრება





უბიხი. მაცხოვრის ჭვარცმის
ქედური ხატი. XII ს.

ნაზრომი განძად ღაშთების

ს ი ო ნ ი

ქართველმა ხალხმა ყველაზე მეტად, ვინემ ოდესმე, ქრისტიანობის იდეალით ჩამოძერწა თავისი ეროვნული მეობა. ქრისტემ შეინახა საქართველოს სული. ქრისტიანობა ავლენდა და ამკვეთებდა სათნოების ეროვნულ პოტენციებს. საყოველთაო გზად ცხოვრებისად გამოცხადებული, მსოფლიოს რელიგიად აღიარებული, იგი კი არ ასშობდა ეროვნული სახის კონტურებს, არამედ ამძლავრებდა და ანატიფებდა სახეს ერისას.

ქართული ენის შემოქმედმა პოეტურმა ძალამ ერისამ ერთმანეთს გაუტოლა და გაუიგივა ორი სხვადასხვა ცნება: ცნება — „ქართველისა“ და ცნება — „ქრისტიანისა“.

საუკუნეების მანძილზე უფალი იესო ქრისტე იყო არა მხოლოდ მზე ქართული სარწმუნოებისა, არამედ, ფარი და ხმალი, ცეცხლი და მახვილი ქართული ეროვნული მყოფობისაც...

...საუკუნეების მანძილზე მუდამ მიიწვედნენ ქართველნი იერუსალიმში და აგებდნენ ქართულ მონასტრებს, სოლო საქართველოში აგებდნენ ტაძრებს და ეკლესიებს და არკმევდნენ „სიონს“ — იერუსალიმის დიდი სიონისა და საქართველოს მფარველი დედა ღვთისმშობელის სადიდებლად...

და თითქოს მეორე ათენისა და მეორე იერუსალიმის მისია გელათში თავმოყრილი, როგორც სარწმუნოებისა და აზროვნების შეერთებული მისია, როგორც ფილოსოფია და რელიგია, ერთმანეთს განეყო: გელათი ქართული ფილოსოფიის სადგურად აღსრულდა; სოლო ეკლიანი ბილიკი იერუსალიმის რელიგიური მრწამსის საქართველოში მიმოქცევისა, ერის ბედისწერით სიონში გადმოვიდა, თბილისს... შემდეგ კი... დიდი დრო არ გასულა და... ბარბა-

როსმა სულთანმა ჯალალედინმა თბილისის სიონის გუმბათზე დაიდგა ტახტრევანი.

და დადგა დრო ქართველი ერის რელიგიური გამოცდისა...

და... სიონმა აჩვენა დიდი ძალა მოწამეობისა, წამების დაუვიწყარი გაკვეთილი, ქრისტეს ერთგულების დიდი, ქართული, მონუმენტური და ტრაგიკული დღესასწაული!

სიონი ერთ-ერთი ბრწყინვალე სიმბოლოა მთელი საქართველოს ისტორიის შინაგანი ძახილისა. სიონი არის ტაძარი ქართული სინდისისა.

და როგორც ნაპერწკლები იერუსალიმის საბადლოდ აგებული თბილისის დიდი სიონისა, საქართველოში არაერთგან ენთნენ პატარა სიონნი: სიონი ქართლისა. თუ სიონი ხევისა. თუ სხვა. ენთნენ ყველგან ნაპერწკალნი მოწამეობისა...

და თუ იგი, დიდი სიონი, აღებულ იქმნა ვითარცა დიდი სახლი ღვთისა, მცირენი იღვნენ ვითარცა სახლაკნი... თავისში დამტყენი დაუტყენელი მზის ნათებისა...

როცა სულთანმა თამარ მეფის ასულის — რუსუდანისაგან ვერ ინება ნება მისი ცოლად შერთვისა, განრისხებულმა და გააფთრებულმა სიონის გუმბათი მოარღვია და დაიდგა ტახტად, სასაკლაოდ: „კულად მოარღვია სულტანმან სიონს გუმბათი და დაიდგა საჯდომი და დაჯდა მას ზედა, და გუმბათიდან სრვიდა, რომელ მდინარე სისხლისა დიოდა“ („ქართლის ცხოვრება“, IV. გვ. 202). სისხლის მდინარედ მიედინებოდა სიონთან მტკვარი.

ბორკილივით დაადო ტახტი თვისი ჯალალედინმა სიონს, შეურაცხმყოფელი და გამათელავი, დამამცირებელი ჩვენი მეობისა და სალოცავის...

და დადგა დრო, როცა თბილისელებმა აჩვენეს ძალა სარწმუნოებისა და სიონის ხატებმა — ძალა მფარველობისა.

მემატიანენი აღწერენ, რომ ჯალალედინი აიძულეობდა ათასობით შეპყრობილ ქრისტიან ქართველს პირადმა დადებულ სიონის ხატებზე — მაცხოვრისა და ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა, ეფურთხებინა და ასე დაეტოვებინა სჯული თვისი საყვარელი ჯვარცმული ღმერთისა. ვინც არ აღასრულებდა ბრძანებას ჯალალისას, იგი თავსა ჰკვეთდა. სიონის გუმბათიდან ნასროლი ჯალალედინის მახვილით დაისრულნი ათასობით ეყარნენ მორწმუნენი.

ბევრმა ვერ გაუძლო წვალებას, მაგრამ „მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვა ახოვნად, რომელთა მიიღეს გვირგვინი წამებისა, რომლისა აღრიცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ათბევრ აიწია მოკლულთა რიცხვმა“-ო. „ათბევრი“ ძველი ქართულით ასი ათასია და ერთეული რომ ყოფილიყო წამებით მოკლული, ერთი-ორი რომ ყოფილიყო გაუტყეველი, თვითეული წმიდა მოწამედ ჩათვლებოდა და აღირიცხებოდა. ქრისტიანულ კალენდარშიც გვექნებოდა დღე მათი წამებისა და გვამსხოვრებოდა. დაიწერებოდა საკითხავნი და ცხოვრებანი მათი. მოწამენი კი იყვნენ „ათბევრნი“, ანუ 100 000-ნი.

მოიხსენოს უფალმა ასი ათასი ქართველი წმიდანი სიონის ხატებთან შეწირული ქრისტეს! წამებულნი და მდინარეში ჩაყრილნი თავის სალოცავ ხატებთან ერთად, გამძვინვარებული და თუმცა, გუმბათზე აღერებული ტახტოსანის, მაგრამ მოწამეთა უდრეკი ნებით, მაინც დამარცხებული ჯალალედინისაგან!

და ღვთივადცული ერი ჩვენი მრავალგზის უძლებდა ჯალალედინურ ძალას ძალმომრეობისას, შეურაცხყოფისა და გათელვისა.

სიონის მორწმუნეთა მსგავსად არაერთგზის იყენაწამები ტანიც ჩვენი დედა ტაძრისა, განმარცვლი და შებილწული მტერთაგან, ცხენების საჯინბოლ ქცეული და შემუსრული, ხატებდამწვარი და ცეცხლმოკიდებული...

მყუდროებითა და დედურობით გამთბარი სიონი დღესაც ცოცხალია და ბრწყინავს, როგორც ნაცარში შენახული გული ნადვერდლისა.

ეკლესია არის მომპოვებელი ღმერთთან და საკუთარ თავთან განმარტოების იდუმალი წუთებისა. ღმერთი, რომელიც ხედავს ყოველთა დაფარულთა, მხილველია ყოველთა უხილავთა ცოდვათა და მადლთა და მზად არის იგი განმარტოების იდუმალ წუთებში მიიღოს ჩვენი სინანული და სისარული მადლიერებისა. განმარტოების უხილავ წუთებში იგი არის დედაი ჩვენი და დაი ჩვენი და ძმაი ჩვენი და

მეგობარი ჩვენი, უღალატო და მარად ჩვენი თანამყოფი.

და ეკლესია არის ჰერი თანაგრძნობისა, ცოდვის გამხველისა.

და ყოველი სიონი არის გზა ერის განწმენდისა.

მყუდროა სინანულების მისაღებად განმზადილი ჩვენი სიონი. მყუდროა ისე, თითქოს მის კედელში, საკურთხეველთან, წმიდა ნინოს თმით შეკრული ჯვარი ვაზისა კი არა, თავად წმიდა ნინო დგებოდეს ყოველ დილას სახლში უფლისა; ანდა დგებოდეს თავად დედა ღვთისმშობელი, დგებოდეს, როგორც დედაბოძი და სასოებით უღებდეს კარს მამა-უფალსა და მაცხოვარს.

...ამბიონიდან კი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგება გვახსენებს, თუ რაშია ძლიერება ერისა, როდის შეიძლება მივიჩნიოთ ერი ძლიერად.

და კათოლიკოსი თავისივე აღძრულ კითხვას უპასუხებს: „ერი შეიძლება ფიზიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით მასზე, რომ ეს ერი ძლიერია. ერი შეიძლება ეკონომიურად იყოს ძლიერი, მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს ერი ძლიერია, ერი შეიძლება რიცხობრივად იყოს დიდი და ძლიერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერი ძლიერია. ერი შეიძლება შეიარაღებული იყოს და არც ეს არის ძლიერება ერისა. ჭეშმარიტი ძლიერება ერისა მის სულიერ ძალაშია. ერი ძლიერია ჭეშმარიტად მაშინ, როცა სულიერად არის გაუტყეველი და ძლიერი.“


და შორეულ ექოდ რჩება ბიბლიური მოთქმა ესაია წინასწარმეტყველისა იერუსალიმის სიონის მიმართ:

„...მე ვარ, მე ვარ ნუგეშის მცემელი შენი...“

...უფალი საბათო სახელი ჩემი... და ვარქუ სიონსა: ერი ჩემი ხარ. აღდეგ, აღდეგ აღმართე იერუსალიმ, მსმელო ხელისაგან უფლისა სასუმელსა, გულის წყრომისა მისისასა, რამეთუ სასუმელი დაცემისა, ბარძიმი გულისწყრომისა ჩემისა, შესვი და წარმოაცალიერე და არა იყო ნუგეშის მცემელი შენი, ყოველთაგან შეიღო შენთა. რომელნი ჰგუენ, და არა იყო შემწე ხელისა შენისა, არცა ყოველთაგან მეთა შენთა რომელნი აღამადლენ...“

აღდეგ, აღდეგ, სიონ, შეიმოსე ძალი შენი სიონ, და შენ შეიმოსე დიდება შენი იერუსალიმ, ქალაქმან წმიდამან... განიყარე მტუერი და აღდეგ და დაჯედ იერუსალიმ, განიმარცუე საკრველი ქედისა შენისა, (საკრველი ჯალალედინისა!) ტყუემან ასულმან სიონისამან...! ა მ ი ნ.

1 დაბლება. ესაია, თ. ნა-ნბ. ტფილისი, 1886, გვ. 432.



სიონის ტაძარი თბილისის საკათედრო ტაძარია, მისი მთავარი ქრისტიანული სალოცავი საუკუნეთა მანძილზე. სახელწოდება სიონი საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია (ატენის სიონი, სამშვილდის სიონი, ხევის სიონი და სხვ.). იგი დაკავშირებულია იერუსალიმის სიონთან. ისევე, როგორც ეს უკანასკნელი, ყველა ქართული სიონიც ღვთისმშობლის მიძინებასადმი მიძღვნილი.

პირველი ცნობა თბილისის სიონის შესახებ ქართლის ერისთავის გუარამის (VI ს.) სახელთან არის დაკავშირებული. ძველი ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულების სხვადასხვა ნუსხათა თანახმად, „გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა“, ხოლო „შემდგომ ამისა გუარამისა განასრულეს აღშენება ტფილისის სიონისა: ნახევარი ერთმან ვინმე ქურიგმან დედაკაცმან, და ნახევარი ყოველმან ერმან, ჟამსა პირველის აღარნასე მთავრისასა, და იგი აღარნასეცა შეეწია აღშენებასა მისსა“. მსგავსი ცნობა დაცულია სუმბატ დავითის ძის გატიკაშია¹. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რაღაც საეკლესიო ნაგებობა ამ ადგილას გუარამამდეც, ე. ი. VI ს. უფრო ადრეც, არსებობდა, თუმცა გაურკვეველია, იგი დამთავრებული იყო, თუ გუარამს მხოლოდ მისი საფუძვლები დახვდა. ახალი ტაძრის დამთავრება კი VII ს-ის ოციან წლებს მიეკუთვნება. რა თქმა უნდა, ღირსშესანიშნავია, რომ ტაძარი ქალაქის მოსახლეობას აუგია, ერისმთავარი მხოლოდ ეხმარებოდა მას. ის კი უეჭველია, რომ იგი სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს, რომელთა დასადგენად აუცილებელია საგანგებო გათხრა-გაწმენდა და შურფების გაკეთება. წერილობითი წყაროებიც ადასტურებს, რომ უცხოელთა შემოსევების დროს ტაძარი არაერთხელ დაზიანებულია ისე, რომ მისი საფუძვლიანად აღდგენა ხდებოდა საჭირო: ყველა უბედურება, რომელიც დედაქალაქს თავს გადახდომია, ბუნებრივია, კვალს ამჩნევდა მის საეპისკოპოსო ტაძარსაც: XIII ს-ში, ზვარახმელთა შემოსევის დროს, ჟამთააღმწერლის სიტყვით, „შაჰმა ჯალალედინმა „იკადრა და ხელყო სიონისა გუმბადსა შემუსრვად და ზედა ბილწისა საჭდომისა მისისა აღშენებიდ“¹. 1522 წელს თბილისის აღებისას, ირანის შაჰმა

ისმაილმა „თვით შემუსრა ხელითა თვისითა სიონთა ღმრთისშობელი და განძარცუა მრავალფასი სამკაული, ქართველთა მეფეთგან სასოებით შემკული...“² სიონი ვერც შაჰ-აბასის მიწინვარებას გადაურჩა XVII ს-ში. მაგრამ დღემდე მან მინც ნანგრევების სახით კი არ მოაღწია, არამედ მთლიანად, როგორც ერთიანმა ორგანიზმმა. ყოველი ასეთი გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ, როცა თბილისი ჭრილობების მოშუშებას იწყებდა, საქართველოს ხელისუფალნი, უპირველეს ყოვლისა, სიონს აღადგენდნენ ხოლმე.

რას გვეუბნება თვით ტაძრის არქიტექტურა?

ამჟამად ეს არის ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობა იმ ტიპისა, რომელიც საბოლოოდ XI საუკუნეში შემუშავდა: მცირედ წაგრძელებული სწორკუთხედი ორი გუმბათქვეშა ბოძით. ჯვრის ფორმა მხოლოდ სივრცეში გამოისახება შენობის მასებით. ცალკეა მოსახსენებელი სამი შვერილი აფსიდის (საკუროთხველი, სადიაკვანე და სამკვეთლო) არსებობა აღმოსავლეთის მხარეს. შესაძლებელია, სწორედ ეს თავისებურება შეადგენდეს თავდაპირველი ეკლესიის გეგმის გადმონაშთს (ისევე, როგორც მეტიხის ეკლესიაში). საფიქრებელია, რომ დღევანდელი ტაძარი ძირითადად XI—XII სს. ხანას მიეკუთვნება, თუმცა მასში ადრინდელი ნაგებობის ნაწილებიც უნდა იყოს ჩართული. რა ნაწილებია ეს, — ძნელი სათქმელია საგანგებო გამოკვლევის გარეშე. ასევე, შეუძლებელია დღემდე მოღწეული ნაგებობის უფრო ზუსტი თარიღის დადგენა, რადგანაც მისი გარსი, ფასადების დამუშავება და მორთულობა, ე. ი. ის, რაც ზუსტად დათარიღების საშუალებას მოგვცემდა, მთლიანად შეცვალეს გვიან საუკუნეებში. ტაძრის შიგნით აშკარად ჩანს სწორედ ამ გვიანი ხანის (ალბათ, XVII ს-ის) გადაკეთებათა კვალი: მაშინდელია, უეჭველად, ისრული და მუზარადისებრი თაღები. შესაძლებელია, სწორედ ამ რესტავრაციას გულისხმობდეს თბილელი მიტროპოლიტის ელისე საგინაშვილის 1657 წლის წარწერა მის მიერ ტაძარზე მიშენებული სამხრეთის მცირე ეგვიტერისა: „ნებითა ღვთისათა და შეწევნითა

² იქვე, გვ. 495 (ახალი ქართლის ცხოვრება, შესამე ტექსტით).

¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმანა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1975, გვ. 319—320.

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 222, ძირითადი ტექსტი და სქოლიოები, გვ. 374.

¹ იქვე, ტ. II, თბ., 1959, გვ. 177—178.

სიონთა ღვთისმშობლისათა, მე თბილელმან ელისე საგინაშვილმან აღუაშენე გუმბათი ესე სიონისა ორჯერ, სამხრეები და კარიბჭე, დავხატე და შევაძეკე ყოვლითა სამკაულითა“ (ამასვე ადასტურებს როსტომ მეფის ერთი სიგელი 1650 წლისა).

1671 წელს მიეკუთვნება ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობა სიონის შესახებ — ერთიანად თლილი ქვით არას ნაშენიო! რაიმე დაზიანება მას მოხსენებული არა აქვს. შემდეგი ფურცელი სიონის ტაძრის თავგადასავლისა დაკავშირებულია ვახტანგ VI-ის სახელთან. ძნელი სათქმელია, რატომ ვახდა საჭირო სიონის განახლება ვახტანგის დროს, თუ კა XVII ს-ის სამოცდაათიან წლებში ძველი დაზიანებლად იდგა — იმ საუკუნის ბოლო ათეულ წლებში ხომ თბილისს გამანადგურებელი რამ შემოსევა არ განუცდია. ეს ფაქტი აღნიშნულია გივი თუმანიშვილის მიერ შეთხზულ ვახტანგის ეპიტაფიაში: „ტფილისის სიონი ხელახლა შევეპერწე ქანდაკებულად“, ხოლო უფრო ზუსტად თვით ტაძრის მხედრულ წარწერაში ჩრდილოეთის ფასადზე ეხსენებოდა, სადაც მოხსენებულია „გამგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ, განმახლებელი გუმბათით ლორფინ საცვრით მონასტრისა ამის. ქრისტეს აქათ ჩლი, ქორნიკონს ტყჳ“ (1710 წ.).

ამის შემდეგ, უცხოელთა შემოსევების დროს, როგორც ჩანს, თვით შენობას იმდენი ზიანი არ მოსვლია, რამდენიც ხატებსა და საეკლესიო მოწყობილობას. ტაძრის შემდგომი აღდგენა-შეკეთება და ხელახალი მოხატვა XIX საუკუნეს მიეკუთვნება. პლატონ იოსელიანის ცნობით, შენობის ფასადთა საგრძნობი ნაწილი ეგზარქოს იონას (1821—32) და მას მემკვიდრეთა დროს მოუპირკეთებიათ. ახლა ძნელი გასარჩევია, რა უნდა მიეწეროს ფასადებზე ვახტანგს და რა XIX ს., იმიტომ, რომ პერანგი ერთიანია, მთლიანად ბოლნისის ტუფია გამოყენებული. წარწერის თანახმად აშკარაა, რომ ვახტანგისდროინდელია გუმბათის ყელი მთლიანად. მასვე შეუკეთებია ნახურავი და კარნიშები; ამას გარდა, რაკი წარწერა ამ ახალ პერანგზეა, ცხადია, მოპირკეთების ნაწილიც მაშინდელი უნდა იყოს. გუმბათის ყელის დამუშავება მართლაც ტიპურია XVIII საუკუნისათვის — ამ სისტემის ცოტა უფრო გვიანდელი ნიმუში გვაქვს ლარგვისისა (ქსნის ხეობაში) და ბარაკონის (რაჭა) ტაძრებში. ვგულისხმობ ლილვების სისტემას, პროფილირებას, თვით სარკმელთა ჩუქურთმებსაც, რომლებშიაც, იმავე დროს, აშკარაა ტრადიციულ ქართულ ჩუქურთმასთან კავშირიც; ვგულისხმობ რელიეფურ ქანდაკებებსაც; მიჯაჭვულ ლომს, ფრთოსან მთავარანგელოზსა და მაკურთხებელ წმიდანს ჩრდილოეთის წახნაგებზე. მიჯაჭვული ლომის მოტივი, რომელსაც შორეულ, ჯერ კიდევ წინაქრის-

ტიანულ წარსულში აქვს ფესვები, სწორედ XVII—XVIII საუკუნეებში ხდება ძალიან პოპულარული.

თუმცა ჩუქურთმათა შესრულება წინანდელი ნორმების გარკვეულ რღვევას მოწმობს, მაინც უეჭველია, რომ სიონის გუმბათის ყელის აღდგენაში თავისი დროის საუკეთესო ოსტატები მონაწილეობდნენ. ბუნებრივია, რომ ვახტანგ VI, რომლის ზეობაც მრავალფეროვანი კულტურული საქმიანობით, სამშობლოს წარსულისადმი სერიოზული ინტერესის გავლევებითა და პატრიოტული აღტყინებით აღინიშნა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა დედაქალაქის საეპისკოპოსო ტაძრის ღირსეულად აღდგენის საქმეს.


რაც შეეხება ფასადების დამუშავებას (სარკმლიანი პროფილები, დასავლეთის ფასადში ჩასმული სიმეტრიული მუქი ზოლები, ძალიან „აკურატულად“ გაკეთებული ჯვარი და როზეტი, მით უფრო, აშკარად სტილიზებული ჩუქურთმები მთავარი შესასვლელისა), იგი მართლაც XIX ს-ისა უნდა იყოს.

ასევე, XIX ს-ში საგრძნობლად შეიცვალა ტაძრის შიდა სახე. 1850—60 წლებში ტაძარი ხელმოერედ მოხატა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და სერიოზულ ინტერესს იჩენდა ძველი ქართული ხელოვნებისადმი. გაგარინმა გამოიყენა ძველი ქართული მხატვრობის ზოგი ცალკეული მოტივი, მაგრამ მისი მოხატულობა, რა თქმა უნდა, მაინც დიდად განსხვავდება შუა საუკუნეების ქართული ფრესკებისაგან. მისივე პროექტითაა შესრულებული ახლანდელი კანკალიც.

ეკლესიის ჩრდილოეთით, გალავანშივე, დგას ძველი სამრეკლო, რომელსაც XV ს-ს მიაკუთვნებენ. მეორე სამრეკლო, ქუჩის მეორე მხარეს, 1812 წელს ააგეს. ეს ერთი პირველი ნიმუშთაგანია კლასიციზმის არქიტექტურისა თბილისში.

სიონის ტაძარი ჯერ კიდევ მოელის სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას.

ვახტანგ ბერიძე



ქართულისა ენისაი

ს	ს	ს
ქ	ქ	ტ
ც	ყ	კ
ღ	ყ	უ
ფ	ფ	ფ
ქ	ჩ	ქ
წ	წ	ღ
ყ	ყ	ყ
ვ	ყ	უ
ნ	ჩ	ჩ
ც	ქ	ც
ძ	ძ	ძ
რ	რ	რ
ს	ს	ს
ლ	ლ	ლ
ე	ე	ე
ო	ო	ო
პ	პ	პ
ჟ	ჟ	ჟ

ორნამენტებად დაპკვიდრებია ქართული წარწერები მრავალ ქართულ ძეგლს. სამუდამოდ შესისხლბორცვებია ქართული ასოები ტაძრის ფასადებს, კედურსა თუ ფერწერულ ხატებს, მინანქარსა და მოზაიკას. ტყავის უთვალავი ფურცლები ხელნაწერებად და გრაგნილებად აუმეტყველებია ქართულ ანბანს. ქართული წიგნიც! რა მხატვრულია ფორმით და ხედვით, რა ძლიერია სიტყვით და აზრით.

როგორც არ მეორდება ქართული ჩუქურთმა, არ მეორდება წარწერის სტილიც. დამწერლობის რამდენი ძეგლიცაა, იმდენი ხელია — თავისებური, განსხვავებული; იმდენი მხატვრული აღქმაა ცალკეულსა და მთლიანობაში.

რელიეფური, ტყუბწვეტოვანი, წაისრული, ამოკაწრული ასოები ხატოვანი წერის ნიმუშებია სრულყოფილი ოსტატობით აქდრებულნი. ბოლნისის, სამთავისის, ალავერდის, კუმურდოს წარწერებში ეს ოსტატობა მრავალმეტყველ, მრავალსახოვან ფორმებშია წარმოდგენილი.

ქართული ანბანის სამივე სახე — ერთმანეთისაგან გრაფიკული სტილით განსხვავებული, ფორმათა ცვალებადობაში ერთიანია, თანმიმდევრული. ყოველი სახე ანბანისა თავისებურად მიმზიდველი და მომხიბვლელია.

მკაცრ ასომთავრულს, ვერტიკალზე აგებულ წყობას, წრიულ ფორმებთან შეჯერებულს, შეხმატკბილებულს, სიციხისა და მონუმენტურობის იერი ადევს. შემადგენელი ელემენტების ნატიფი პროპორციულობა, ფორმათა სიმკაცრე და დამთავრებულობა ახასიათებს ერთნაირი სიმაღლის მქონე მთავრულ ასოებს. თითოეულის მოხაზულობა, კვადრატულ სივრცეში ჩაწერილი, ერთმანეთისაგან გარკვეული ინტერვალით დაცილებულა. კლასიკური სტილის მატარებელია ქართული ასომთავრული. ამიტომაც აღბეჭდილა იგი ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, ამიტომაც შემორჩენია სათაურ და საზედაო ასოებად ნუსხურითა და მხედრულით გადაწერილ ხელნაწერ ფურცლებს.

ერთი საწყისი აქვს ქართულ ასომთავრულს. წრესა და სწორ ხაზს იღებს იგი გრაფიკის ამოსავალ ფორმებად. მთელი გრაფიკა ამ ფორმებიდან ნაწარმოებ 9 ელემენტს ითვლის; მათ შორის კი გარკვეული პროპორციული დამოკიდებულება შეინიშნება, რაც არც ერთ სხვა ანბანში არ დასტურდება. ასოთა აგების პრინციპებს, ან ცალკეულ ასო მოყვანილობებს თუ შევჯერებთ სხვა ანბანებთან, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართული ასომთავრულის შექმნის დამოუკიდებლობას.

შესაძლოა თიხის ფილებზე, ან კედლის მხატვრობაში დიდი ხნიდან ცნობილ ბათქაშის ფენაზე გამოსახა თავდაპირველად ქართველი ოსტატის მაღლიანმა ხელმა მთავრულ ასოთა გრაფიკულად ესოდენ მრავალფეროვანი ფორმები.

შუასაუკუნეებში ხელნაწერ წიგნებზე მზარდმა მოთხოვნილებამ განაპირობა სწრაფი წერისაკენ მისწრაფება, რაც თავის მხრივ ასოთა მოყვანილობის თანდათანობით გამარტივებას იწვევს. ქართულ ანბანში ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლა საუკუნეებით განისაზღვრება და იგი ყოველთვის გარკვეულ წესებს ემორჩილება. კანონზომიერია ყოველი დეტალის შეცვლა, მთელ რიგ ასოებს საერთო გრაფიკული კანონები აერთიანებთ.

წრეთა და ხაზთა ცვალებადობამ შექმნა ახალი — ნუსხური წერა: დკბილული, დინამური, მისწრაფებული. მარჯვნივ გადახრილ კუთხო-

ვან ასოებს, უკვე ოთხ ხაზად ჩაღვრილს და მბორგავს, დეკორატიულობა აქვთ მინიჭებული. ერთმანეთთან შერწყმულ ასოებს ტექსტის წასაკითხად თვალის გაწაფვა უფრო მეტად სჭირდება.

ნუსხურისაგან განსხვავებით და ასომთავრულის მსგავსად მხედრული დამწერლობა კვლავ ასწვრივ წყობას ემორჩილება, მაგრამ ამჯერად ყველგან მომრგვალებულ და ერთიან კონტურს იძენს. ნუსხურის დაკბილული სისტემა მხედრულში ჰპოვებს ასახვას; ოთხხაზოვანი სისტემის დღევანდელი სახეც ნუსხურიდან იღებს დასაბამს. ისევე მრგვლოვან, მაგრამ გამართივებული სახის დამწერლობას დაუბრუნდა ქართული ასომთავრული მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად. ქართული ანბანი — ასომთავრული, ნუსხური და მხედრული დამწერლობა გრაფიკულ მთლიანობაში ჰარმონიულად შერწყმული, ჭეშმარიტი ხელოვნების ისეთივე ნიმუშია, როგორც მცხეთის ჯვარი და ნიკორწმინდა, ატენისა და ყინცივის ფრესკები, გელათისა და მოქვის ხელნაწერები.



გადამწერლობა შუასაუკუნეებში ჯელად ანუ ხელობად ითვლებოდა. როგორც ჩანს, იმთავითვე არსებობდნენ წერისათვის სპეციალურად განკუთვნილი ნიმუშები სახელმძღვანელოდ, ისევე, როგორც არსებობდნენ ძველთაგანვე ტრაქტატები საფერწერო ტექნიკასა და არქიტექტურაში. ხელოვნება არ მოჰკლებია ქართულ ასოებს მაშინ და ახლაც.

წარმწერელ-გადამწერთა, ისევე როგორც მაშენებელ ოსტატთა და კედლის ფერმწერთა სახელები თითქმის უცნობია დღეს ჩვენთვის. იშვიათად და ისიც მოკრძალებით აქსოვდნენ ისინი თავის სახელებს ორნამენტულ ხეულებში.

არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის ქართული ანბანი — სრულყოფილი ანბანური სისტემა დამწერლობის სამსავე სახეში სრულყოფილი გრაფიკული ნიმუშებით განსახიერებული. ამ ასო-ნიშნებს სამშობლოსადმი თავდადებული მრავალი გმირის სახე აუმეტყველებია, მრავალი პოეტისა და მწერლის, მეცნიერისა თუ ფილოსოფოსის ნააზრევი — გონების ძალით სხივდანთებული — განძად შემოუნახავს შთამომავლობისათვის.

ელენე მაჰაჰარიანი

საღილაშენი. მიტრის ფრაგმენტები. IX—X სს. მიჯნა.



იქონსკოე

წმიდა ჯვარი

ნიკოლოზი, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი

წმიდა ჯვარი! როგორი ღრმა აზრია ამ სიტყვაში! რაოდენ ბევრს გვეუბნება იგი ჩვენ, ქრისტიანებს! ჯვარი უდიდესი სულიერი ძალაა, წყაროა აურაცხელი სიკეთისა. ჯვარი — მშვენებაა ეკლესიისა და მფარველი სამყაროსა.

ვილაპარაკოთ ჯვარზე — ნიშნავს შევეხოთ დაუსაზღვრელს, ჩავწვდეთ წმიდათაწმიდას ქრისტიანულ რელიგიაში, ვქადაგებდეთ „სიბრძნესა ღმრთისასა საიდუმლოდ, დაფარულსა მას, რომელი-იგი პირველადე განაჩინა მღერტმან უწინარეს საუკუნეთა საღიღებლად ჩუენდა“ (კორინთ. 2,7). ამასთან ერთად, ვილაპარაკოთ ჯვარზე — ნიშნავს ვილაპარაკოთ ყველაზე ახლობელსა და ადვილად მისაწვდომზე; ეკლესიის უძვირფასეს მორთულობასა და მის ღიღებზე.

ძველ წარმართულ სამყაროში ჯვარი ითვლებოდა, როგორც იარაღი შეურაცხყოფელი სიკვდილით დასჯისა, ამიტომაც ძულდათ იგი და ეშინოდათ მისი. ჯვარი იყო სიმბოლო დამცირებისა და უბედურებისა. მასზე აკრავდნენ უდიდეს დამნაშავეებს.

სიკვდილით დასჯის ასეთი გვარეობა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყო ცნობილი, მაგრამ განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა რომაელებში, სადაც მას იყენებდნენ აჯანყებულ მონებზე შურის საძიებლად. იუდეველთა სჯულისათვის უცხო იყო ასეთი სისასტიკე. დიდი სინედრიონი (ქრისტესდროინდელი იუდეველთა უზენაესი სამსჯავრო) თალმუდის მიხედვით დამნაშავეს ოთხგვაროვანი სიკვდილით სჯიდა: ქვით ჩაქოლვა, დაწვა, მახვილით კვლა და დახრჩობა. ამ სასჯელებიდან უმეტესად იყენებდნენ ქვით ჩაქოლვას. ამგვარად, ებრაელთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის პერიოდში იესო ქრისტე ღვთის გმობისათვის, რომელშიც მას ბრალი ედებოდა, გასამართლებული და დასჯილი რომ ყოფილიყო, კანონის მიხედვით, ქვით უნდა ჩაქოლათ. მაგრამ იმ დროს იუდეველნი რომაელთა განმგებლობაში იმყოფებოდნენ და წართმეული ჰქონდათ სიკვდილით განსჯისა და მისი აღსრულების უფლება. ამიტომ მათ პილატეს წინაშე სხვა ბრალდება წაუყენეს მხსნელს: აჯანყება რომაელთა ხელისუფლების წინააღმდეგ; რომ იგი თავის თავს უწოდებდა მეფე ქრისტეს და კრძალავდა კეისრისათვის ხარკის მიცემას. ხოლო ბრალდებას, რაც ღმერთის გმობაში გამოიხატებოდა, რომაელ ხელისუფალთათვის არავითარი მნიშვნელო-



ბა არ ჰქონდა და ამის გამო არ შეეძლოთ მისი სიკვდილის სამსჯავროზე გაყვანა. კეისრის წინააღმდეგ აჯანყების ბრალდებისა და რომის მოქალაქეობის უქონლობის გამო, მხსნელი იესო ქრისტე, რომელთა კანონების თანახმად, ექვემდებარებოდა სიკვდილს ჯვარზე გაკვრით.

ყველას უნდა ახსოვდეს, როგორი საშინელი წამება განიცადა ჯვარზე იესო ქრისტემ ადამიანთა გადასარჩენად. ჩვეულებრივ, რომაელებს სიკვდილის განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ უშუალოდ, მაშინვე. ასე მოხდა ქრისტეს ჯვარცმის დროსაც, პილატეს მიერ განაჩენის გამოცხადებისთანავე, რომაელმა მეომრებმა მხსნელს გასისხლიანებული ქლამინდი გახადეს, რომლითაც ცოტა ხნის წინ შეურაცხყოფის ნიშნად იყო შემოსილი და საკუთარი შესამოსელი დაუბრუნეს. საჩქაროდ მოამზადეს თვით დასჯის იარაღი — ჯვარი, რომელიც ბრალდებულს დასჯის ადგილამდე უნდა ეტარებინა. ეს იყო გაუგონარი შეურაცხყოფა ჯვარცმულის გრძობებისა, სიცოცხლისადმი მისი სიყვარულისა და სიკვდილის იარაღისადმი სიძულვილისა. იესო ქრისტემ წაიღო ჯვარი თვისი ქალაქგარეთ, გოლგოთაზე, თავისი წამებისა და სიკვდილის ადგილზე. გაწამებულს სვიმონ კვირინელის დახმარება დაჭირდა, რომ როგორმე, მიეღწია დასჯის ადგილამდე. ჯვარზე გასაკრავი ადამიანი კიდევ მეტად რომ დაემცირებინათ, შეურაცხეყოთ და აბუჩად აეგდოთ, ჯვარცმის წინ გააშიშვლეს. მახარებლები ადასტურებენ, რომ ჯვარცმის წინ იესო ქრისტესაც გახადეს სამოსელი, დაუტოვეს მხოლოდ თეძობზე შემოსაკრავი. ამაზე მეტყველებენ როგორც ისტორიული დოკუმენტები, ისე ჯვარცმული ქრისტეს თითქმის ყველა გამოსახულება.

მას შემდეგ, რაც ჯვარი მყარად ჩაასვეს მიწაში, კიბის საშუალებით ჯვრის გარდღეობა ძელზე



იზნის ხაწინამძღვრო ჯვარი. X ს.

ასულმა ორმა აღმსრულებელმა აპეტრით ასწია მხსნელი ქვეყნისა; მკლავები თოკით მიუმაგრეს ძელზე, ხელისგულებში ლურსმნები ჩააჭედეს და საიძედოდ მიაკრეს ჯვარს. დაბლა მდგომებამაც ფეხები მიულურსმნეს და განშორდნენ.

იესო ქრისტეს ჯვარცმა დასრულდა მის თავს ზემოთ პატარა დაფის მიჭედებით, რომელზედაც დაცინვის ნიშნად ასეთი რამ იყო წარწერილი: „ესე არს იესო, მეუფე ჰურიათა“ (მათე, 27,37).

ქრისტეს ჯვარცმის აღსრულებით დაიწყო მისი უდიდესი წამება და აუტანელი ტანჯვა ჯვარსა ზედა. ადამიანის უზენაესი სისასტიკით გამოგონილ ასეთ უსაშინელეს სასჯელზე იქმნა გადაცემული უფალი ჩვენი.

და, იტანჯებოდა იგი უცოდველი და უდანაშაულო. იტანჯებოდა არა თავისი, არამედ ადამიანთა მოდგმის ცოდვებისათვის, როპელიც მან თავის თავზე აიღო.

ღმერთკაცი ყველა ამ წამებ-სას უდრტყინველად აღაპყრობდა თვალებს ცაში და ზმით ლოცულობდა მათზე, ვინც იგი ჯვარს აცვა: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმნ“ (ლუკა 23, 34).

ის-ის იყო ძემან ღმრთისამ სული თვისი მისცა თავის ზეციურ მამას, რომ დაიწყო კიდევ გამარჯვების დღესასწაული ადამიანთა მოდგმის ცოდვების მომნაიებელისა: „და, აჰა, კრეტსაბმელი იგი ტაძრისაი მის განიპო ორად ზეიდგან ვიდრე ქუედმდე, და ქუეყანაი შეიძრა, და კლდენი განსქდეს; და საფლავნი აღეხუნეს და მრავალნი გვამნი შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს; და შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა“ (მათე 27,51—53).

ჯვარცმის შემდეგ ჯვარი ქრისტესი სხვა ორ ჯვართან ერთად, რომლებზედაც ყაჩაღები გააკრეს, გოლგოთის მახლობლად მიწაში დაფლეს. სამი ასეთი წლის განმავლობაში მორწმუნეთათვის არ იყო ცნობილი ჯვრის დამარხვის ზუსტი ადგილი. ქრისტეს ჯვარცმის უშუალო მოწმენი და მხილველნი — მისი ზოწაფენი და მათი მიმდევრები თაყვანს სცემდნენ წმიდა ადგილს, რომელიც დაკავშირებულა იყო მათი მასწავლებლის ჯვარცმასა და აღსრულებასთან.

წმიდა კირილე იერუსალიმელი მოწმობს, რომ სწორედ მოციქულების დროიდან დაიწყო მლოცველთა მსვლელობა იერუსალიმში წმიდა ადგილთა თაყვანსაცემად, რომელიც დაკავშირებული იყო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან.

70 წელს რომელი მხედართმთავრის ტიტეს მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდგომ ქალაქის მრავალი უბანი მთლიანად იქნა აღვილი პირისაგან მიწისა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ჩვენი მხსნელის ჯვარცმისა და სიკვდილის წმიდა ადგილებმაც. ისინი ამოივსო ნაგვითა და ნანგრევებით. IV საუკუნის ისტორიკოსი ევსევი ადასტურებს, რომ წარმართები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მოესპოთ და შეურაცხეყოთ ქრისტიანთა წმიდათაწმიდა ადგილები. ისინი ცდილობდნენ მთლიანად შეეცვალათ სახე გოლგოთის ადგილმდებარეობისათვის. ტიტეს ბრძანებით, უფლის საფლავი ამოავსეს მიწითა და ქვებით. მთაზე, სადაც მაცხოვარი იქმნა ჯვარცმული, მან წარმართული ღმერთქალის — ვენერას ტაძარი დადგა, ზოლო უფლის საფლავზე იუპიტერის კერპი აღმართა.

არც ტიტეს მიერ იერუსალიმის დანგრევას და არც ადრიანეს მიერ მის აღდგენა-გადაკეთებას არ შეეძლოთ ქალაქის ისე შეცვლა, რომ ამ წმიდა ადგილების თაყვანისმცემელ ქრისტიანებს არა სცოდნოდათ და არ შეეძლებოდათ მათი მიკვლევა. წარმართებმა წმიდა ადგილების მოსპობის სურვილით საწინააღმდეგო მიზანს მიაღწიეს... თავიანთი ნაგებობებით, მათ მკვიდრად აღნიშნეს ეს ადგილები, რათაც მარადყამს დაუვიწყარი ქმნეს მორწმუნეთათვის.

ეს წმინდა ადგილები ხელშეუხებელი რჩებოდა იმპერატორ კონსტანტინე დიდის გამეფებამდე. 312 წელს იმპერატორი კონსტანტინე ებრძოდა ულმობელ მაქსენტს, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ქრისტიანებს. ბრძოლის წინ კონსტანტინე გრძნობდა, რომ საჭიროებდა ზებუნებრივ დახმარებას მტერზე გასამარჯვებლად; მას თავისი ლაშქრის იმედი არა ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, რომელ ღმერთს შეევედრებოდა. და, რაჟამს იგი გულმოდგინედ ლოცულობდა, იხილა ცაში გასხივოსნებული ჯვარი წარწერით: „ამით გაიმარჯვებ...“.

„უჩვეულო ციური ხილვით გახარებულმა იმპე-

რატორმა ბრძანა: დრომეზე, ჩაჩქნებსა და ფარებზე ჯვრის გამოსახულება გაეკეთებინათ. ამის შემდგომ იგი ზედიზედ ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს რომაელებთან, სკივთებთან და სხვა მტრებთან ბრძოლაში. მაცხოვრის შთაგონებით მან გადაწყვიტა, არა მარტო მიეკვლია უფლის პატიოსანი ჯვარი და თავიანი ეცა მისთვის, არამედ, იერუსალიმში მისი აღდგომის უწმინდეს ადგილზე აღეშრათა ქრისტიანული ტაძარი. იმპერატორის ამ კეთილი სურვილის აღმსრულებელი გახდა მისი დედა, მოციქულთა სწორი დედოფალი ელენე, რომელიც ამ მიზნით 326 წელს ჩავიდა იერუსალიმში. დედოფალს აცნობეს, რომ ქრისტეს ჯვარი მიწაშია დაფლული და ამ ადგილზე აშენებულია წარმართული ტაძარი. როდესაც დედოფლის ბრძანებით დაშალეს ტაძარი და შეუდგნენ მიწის გათხრას, ნახეს სამი ჯვარი. მათთან ერთად პატარა ფიცარი წარწერით: „იესო ნაზარეტელი, მეუფე ჰერიათა“. და რომ გაეგოთ, რომელია უფლისა, დაიწყეს ჯვრების შეხება მიცვალებულზე. ორი ჯვრით არ მოხდა სასწაული, მაგრამ როდესაც მიცვალებულს შეახებ მესამე ჯვარი, იგი აღსდგა. იერუსალიმის პატრიარქი მაკარი და დედოფალი ელენე დადგნენ ამაღლებულ ადგილზე და აღმართეს უფლის ჯვარი. ხალხმა თავიანი სცა და შეჰლადა: „უფალო შეგვიწყალებს!“ სწორედ აქედან მიეცა დასაბამი პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაულს. რაც შეეხება უფლის პატიოსანი ჯვრის შემდგომ ბედს, სამწუხაროდ, არ არის ზუსტად მითითებული. ეს ჯვარი ქრისტიანებისათვის ისეთ უდიდეს სიწმიდეს წარმოადგენდა, რომ ყველას ჰქონდა დაუოკებელი სურვილი მიეღო მისი თუნდაც მცირე ნაწილი. უკვე IV საუკუნეში ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილები გავრცელებულ იქნა მთელ დედამიწაზე, მაგრამ მთელი ჯვარი იერუსალიმიდან არ წაუღიათ. მისი ერთი ნაწილი და ლურსმნები დედოფალმა ელენემ თავის შვილს კონსტანტინეს გაუგზავნა, დანარჩენი კი ვერცხლის სკივრში ჩადეს და იერუსალიმის ეკლესიის წინამძღვარს ჩააბარეს შესანახად მომავალი თაობებისათვის.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ IV საუკუნეში იმპერატორმა კონსტანტინემ პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ის ფიცარი, რომელზედაც ჯვარცმის დროს ფეხები ედგა მაცხოვარს, საქართველოს ქრისტიან მეფეს გამოუგზავნა საჩუქრად. საუკუნეების განმავლობაში იგი საიდუმლოდ ინახებოდა მთის ერთ-ერთ მიუვალ ციხე-სიმაგრეში, მაგრამ საქართველოს მეფის — გიორგი XII-ის დროს უგზო-უკვლოდ გაქრა და დღემდე არ არის მიკვლეული.

ცხოველმყოფელი ჯვარი იერუსალიმში იმყოფებოდა 614 წლამდე. ამ წელიწადს ქრისტიანთა უდიდესი სალოცავი სპარსთა მეფის ხორზოს ხელში მოხვდა; 628 წელს იგი დაიბრუნა ბერძენთა მეფემ ჰერ-

აკლემ, ამის შემდგომ, საუკუნეების განმავლობაში, ხელიდან ხელში გადადიოდა უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი. უკანასკნელად იგი სალაღინმა მიიტაცა და 30 წლის განმავლობაში ინახებოდა ქ. ბაღდადში, ვიდრე 1221 წელს საბოლოოდ არ იქნა დაბრუნებული იერუსალიმში. ამის შემდგომ პატიოსანი ჯვრის ბედი ზუსტად აღარ არის მინიშნებული. აღვიღად დასაჯერებელია, რომ იგი საუკუნეების განმავლობაში თანდათან მცირდებოდა თავისი მოცულობით. ყველას ჰქონდა სურვილი, ყოფილიყო მისი თუნდაც უმცირესი ნაწილის მფლობელი, რის გამოც, საბოლოოდ დაჭრილი და გავრცელებული იქნა დედამიწის მრავალ ტაძარსა და ეკლესიაში. მაგალითად, რომში წმიდა ჯვრის ბაზილიკაში ინახება ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილები, რომლებიც დედოფალმა ელენემ თავის შვილს — იმპერატორ კონსტანტინეს გაუგზავნა.


ქრისტეს ჯვრის საშუალებით დაიმსხვრა ჯოჯოხეთის კარიბჭენი. ცოდვის ტყვეობით შებოროტებულმა მიიღეს თავისუფლება და უფლება იწოდებოდნენ ღმრთის შვილებად და ქრისტეს ეკლესიის წევრებად. ქრისტეს წმიდა ჯვარი არის თავი და ბოლო ჩვენი გადარჩენისა. ჯვრის გარეშე ჩვენ ქრისტიანები არავართ, არა ვართ ქრისტეს ეკლესიის წევრები, არა ვართ შვილი ღვთისა.

ქრისტეს ჯვარი არის ქება ქრისტიანისა. ქრისტეს ჯვარი არის გამარჯვების დროა ქრისტეს ეკლესიისა... ქრისტეს ჯვარი არის ღმრთის იარაღი ყოველგვარი მტრის განსადევნად...

ქრისტიანული ტაძარი უჯვროდ უაზრობა იქნებოდა. იგი ამშვენებს წმიდა ტაძრის მწვერვალს — გოლგოთაზე აღმართულ ჯვრის მსგავსად. წმიდა ტაძარი ამით გამოხატავს აზრს, რომ იგი არის ადგილი ჩვენი განწმენდისა და ხსნისა. ტაძრის თავზე ჯვარს იმისათვის აღმართავენ, რომ განასხვავონ იგი სხვა ნაგებობებისაგან, რომ წმიდა ჯვრის ხილვით აღაშინათა გულებში აღიძრას წმიდა აზრი და ვრძობა.

ქრისტიანული აზროვნება არ ყოფს ჯვარს ჯვარცმულ ქრისტესაგან. ჯვარში იგი ხედავს ქრისტეს, ისევე, როგორც ქრისტეში ხედავს ჯვარს. ჯვარცმული ქრისტეს სახით წარმოგვიდგება სისხლი ქრისტისი, დაღვრილი ამა ქვეყნის ცოდვებისათვის და რომელსაც დღემდე ვეზიარებით ქრისტიანული ტაძრების საკურთხეველზე, ჩვენს განაწმენდად და განსაახლებლად.

ჯვრის ყელზე ტარება ასევე მეტად ძველთაძველი ჩვეულებაა... იგი მოდის პირველი ქრისტიანების დროიდან და არის ხილული ნიშანი, რომ ჩვენ ვეკუთვნით ქრისტესა და მის ეკლესიას. ხის, ლითონისა თუ სხვა მასალისაგან დამზადებულ, ან საღებავებით დახატულ ჯვარს (ვინაიდან ისინი გვახსენებენ მაცხოვრის ტანჯვას) ისეთივე მწყალობელი ძალა გა-



თამარ მეფის ჯვარი. XII ს.

აჩნიათ, როგორც პატიოსან და ცხოველმყოფელ ჯვარს, რომელზედაც ქრისტე იქმნა ჯვარცმული. ასეთი მწყალობელი ძალის ჯვარი ცნობილია ჩვენთვის მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს ცხოვრებიდან, რომელიც მან მიიღო დედა ღვთისმშობლისაგან. ყოველად წმიდა ღვთისმშობელმა გააკეთა რა ჯვარი იქვე მდგარი ვაზის ხისაგან, მისცა ის წმიდა ნინოს და მიმართა: „მიიღე ეს ჯვარი; ეს იქნება შენთვის ფარად და დამცველად, ხილული თუ უხილავი მტრების წაწაფად. მისი ძალით შენ იქ (საქართველოში) აღმართავ სარწმუნოების დროშას ჩემი საყვარელი ძისა და უფლისა“. წმიდა ნინომ სიხარულის ცრემლებით დაასველა ჯვარი, მოიჭრა ნაწნავი, პატრივისცემის ნიშნად თავისი თმით შეკრა იგი და სიკვდილამდე აღარ გამოარჩია. წმინდა ნინოს ჯვარმა ბევრი იმოგზაურა სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ქალაქიდან—ქალაქში, ხალხიდან—ხალხში, მონასტრიდან—მონასტერში, მეფეთა სასახლეებიდან—დიდებულთა ციხე-დარბაზებში, ვიდრე უფლის ნებით არ იქნა მოვლენილი აქ, როგორც საუკუნო საკუთრება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა.

წმიდა ნინოს გარდაცვალების შემდეგ ჯვარი ინახებოდა მცხეთაში, მაგრამ V საუკუნეში იგი აღმოჩნდა შუშანიკ დედოფალთან. შემდეგ ჯვარი იმყოფებოდა ანისში და დავით აღმაშენებელმა კვლავ დაუბრუნა იგი საქართველოს. XVII—XVIII საუკუნეებში მტრის შემოსევების დროს, ჯვარი გაიტანეს მთაში, ჯერ ყაზბეგის წმიდა სამების ეკლესიაში, შემდგომ კი ანანურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. 1749 წელს წმიდა ნინოს ჯვარი მთავრად სეფეწულის, ბაქარ ვახტანგის ძის მეუღლეს მოსკოვში. ბაქარის შვილიშვილმა 1801 წელს დაუბრუნა ჯვარი საქართველოს და იმ დროიდან ასვენია სიონის საპატრიარქო ტაძარში.

წმინდა ნინოს ჯვარი, როგორც ქართველი ერის ქრისტიანული არსებობის უძვირფასესი განძი, მარა-

დის ცხოველი შუქით ასხივოსნებს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს კურთხეულ მიწას.

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მთელი ცხოვრება იყო მაგალითი თვითგანწირვისა. მაცხოვარმა ჩვენმა ბეთლემიდან გოლგოთამდე ატარა თავისი მიძიმე ჯვარი და მასზე გაასრულა სიცოცხლე მრავალთა გამოსახსნელად.

თვით უფალი იესო ქრისტე თავის სახარებაში აღიარებდა იმ ღვაწლის სიმძიმეს, რომელიც თან ახლავს მისადმი შედგომას: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემოვიდგინ მე“ (მათე 16,24).

აილო ჯვარი—ნიშნავს წილო და უღრტვინველად აიტანო ცხოვრებაში ყოველი სიმწარე თუ მწუხარება, სიძნელე თუ სიმძიმე. აიტანო გაბოროტების, ჩივილისა და განსჯის გარეშე, აიტანო სიყვარულით და სიმტკიცით.

წმიდა ეკლესიას წელიწადში სამჯერ გამოაქვს ჯვარი, რათა თავიანი ვსცეთ მას, რომ მლოცველებმა ისევ და ისევ გავიხსენოთ ტანჯვა მხსნელისა და მისი ცხოვრების მაგალითებით ვასაზრდოვბდეთ ჩვენს სულს. ჯვრის გამოტანა ხდება 14 სექტემბერს—პატიოსანი და ცხოველმყოფელა ჯვრის მსოფლიო ამაღლების დღესასწაულზე; 1 აგვისტოს—ცხოველმყოფელი ჯვრის ძელის წარმოშობის დღეს და დიდი მარხვის მესამე კვირადღეს.

ჯვარი—უძვირფასესი განძეულია ყოველ განძეულთა შორის...

ჯვარი — ქრისტიანთა უძვირფასესი თავშესაფარია... ჯვარი — უფლის უღელთა უმსუბუქესი... ჯვარი — მწუხარეთა სულის ნუგეშისცემია, ჯვრის სიმადლე და სიგანე საზომია ცის უსასრულობისა... ჯვრის ძალა და ძლიერება—მტრის ძალების აღსასრულია... ჯვრის შუქი და ელვარება—მზის სიკაშკაშეზე უბრწყინვალესია... ჯვრის წყალობა და დიდება—უდიდესი საჩუქარია... ჯვარი — შემქმნელია ცისა და მიწისა... ჯვრით — დათრგუნვილ იქმნა სიკვდილი და ადამამ მიიღო სიცოცხლე... ჯვრით — მოციქულნი ჰპოვებენ ქებას და წამებულნი იღვამენ გვირგვინს... ჯვრით — ჩვენ ვდევნით მშვიდობის მტრებს... ჯვრით — ჩვენ დავაცხრობთ კაცურ ვნებებს, რითაც ვმადლდებით სულიერი ცხოვრებისაკენ... პირჯვარს როს ვიწერთ, ვდევნით შიშს და მოვიპოვებთ მშვიდობას... ჯვრით დაცული ყოველივე ხელშეუხებელია... ჯვრის მოყვარული და პატივისცემელი ქრისტეს მოწაფეა.

ო, ქრისტეს ჯვარო! ჩვენ მოგმართავთ შენ, ვით ცხოველმყოფელს, დაიცავი ყოველი, ვინც კი განგადიდებს ანთებული გულთით! დალოცე სამწყსო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მოუტანე ყოველ მათგანს მშვიდობა და მაღლი ღვთისა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. ამინ!



უწმიდესი პიმენის მიწვევით გაზაფხულის პირველ დღეებში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მეთაურობით მოსკოვს ეწვია საქართველოს დელეგაცია


დ ე ლ ა ნ ი რ ე ე ნ ე ნ ი

თადმოზი, ეპისკოპოსი ბოდბელი და წილქნელი.

მოზონაგების ნათელი

ღეღა პარასკევა — სალომე,
ტაბილად მგალოგელი სიღონია...

(ჩანახატების ციკლიდან)



მოვიდა მონასტერსა შინა წმიდასა ქალაქსა მცხეთასა და დამკვიდრა, ვითარცა მორჩი კეთილი, და ვითარცა ყვაველი უმანკო და უხრწნელი სულითა, მადლითა ღვთისათა ყოვლითა სიმშვიდითა მკობილი და აღასრულა დღენი ცხოვრებისა თვისისანი განსაკვირვებელითა მოთმინებითა. ამა დაძაბულსა და ამბოხიანსა და მღელვარესა ზღვასა სოფლისასა განერა, ვითარცა ფრინველი ღვთისა, შეწვენითა მადლისათა, უხილავისა და ყოვლად-ძლიერისა და ყოველთა მშველელისა და ყოველთათვის უკეთესისა წარმმართველისა. და აღესრულა და დაეგანა სადგურსა მშვიდთასა. და განისვენებს მარად კეთილმზახონარი და ტკბილსახსენებელი, შორის სულიერთა დათა.

მის გვერდით საფლავის ქვაზე წარწერაა: „აქ განისვენებს ტკბილად მგალობელი მონოზონი სიღონია“ — გვარად ბაქრაძე, მასავით მრავალ-მოღვაწე და კეთილად დამაშვრალი და საუკუნოდ სახსენებელი. იქნება ვინმეს ეჭვი შეეპაროს და თქვას: ვის ას-სოვს. ანდა, ვის რაში სჭირდება მათი ხსოვნაო. მაგრამ: დაღათუ კაცთაგან დავიწყებულ იქმნენ, დაძაბუ-დებელი არ ივიწყებს მადიდებელთა მისთა და კაცთა შორისცა ადიდებს სახელსა მათსა, ვითარცა მისაბაძთა ნათლითა ცხოვრებისა მგალითებითა.

ოდეს მოხუცებულა ტკბილად მგალობელი, ხსოვნაცა დაღატობდა, ალბათა. გარნა უხაროდა მარადის, სულითა იხარებდა. და განწმენდილითა გონებითა და მდაბლითა გულითა აღავლენდა ლოცვასა, ვითარცა ტკბილ საკმეველსა, ტკბილადვე შესაწირავსა. ყოველდღე კითხულობდა უსაყვარლესსა „გისხაროდენსა“, რათა ესარა საუკუნოდ. უკეთუ დაავიწყდებოდა, აღასრულა თუ არა ამა თუ იმ დღესა ლოცვა ესე, მეორედ იგალობებდა, მესამედაც... ოღონდ ღვთის წმიდა ვალში არ დარჩენილიყო. გალობდა,

რათა მისი სულის ფრთებს ძალა მომატებოდა. რამე-ოჲ, ვარსკვლავთა მიღმა სამყაროში აფრენილიყო, სულთა ტკბილ განმსვენებელთანა... დიდ გზაზე დიდი ძალა სჭირდებოდა და ევედრებოდა ვედრე-ლითა ტკბილოვანითა, ვედრებათა შემწყნარებელსა, რომელსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა — მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითა უკუნისამდე. ამინ!


ღეღა სალომეს — პარასკევას

სიმშვიდის მადლით მოხილო,
თუ სარ იესო ტკბილთან,
შენი მსგავსება გვიითხოვე
ცოდვით, გონება ჩვილთა...
მწყალობელია ზეცათა
მამა-მვედრებელ შვილთა.




ტაბილად-მგალოგელ ღეღა სიღონიას

ხსოვნა ტკბილად მგალობელის
განგვანათლებს სხივით ნათლის...
მარადიულ სიხარულში
ინეტარებს სული მართლის.
რა ედაროს იმ სიხარულს —
ოდეს მამა შვილად ჩავთვლის?...
სურნელებას ია — იის
ცას შესწირავს მიწა ქართლის...
უკვდავება არის მათი
სანატრელი მისამართი.



* * *

იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტების,
თვინაერ ცოდვის, ანგარების, ამოების...
მათ საფლავებზე მსე ამოდის ნათლის დიდებით
და კაჰკაჰებენ მოელვარე საღამოები.
იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტებას,
ერთი სახელი ერქვა ყველას – კაცი კაცური...
შენ ვინც იმათი სიყვარულის ცეცხლით ინთები,
გასწი უშიშრად, ეს მღელვარე ზღვები გაცურე.
ნაფსაყუდელი ელის მშვიდი ნაბრძოლ-ნაწამებს,
ვით გაზაფხული მოსდევს ზამთარს – ამყვავებელი.
უკვდავებისთვის შესწირვიდე წარმატალ წამებს,
უსიყვარულო წუთისოფლის არ მყვარებელი.
იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტების,
მოგვშუქებია ჩვენ იმათი დიდი ნათელი,
ვიართო კრძალვით, სიყვარულით, ჭირის დათმენით,
ოღონდ გვანთებდეს რწმენის ცეცხლი და ჟრუანტელი.





ბუბუჩი იუფუსა, ეს

9757

დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.

ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიყნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.

მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..“

ილია ჭავჭავაძე



ჩუგჩუ ქუტუტ



როცა წიწამურის გზაზე მის ნათელ შუბლს ტყვია ესროლეს, მთელ ქართველ ერთან ერთად გლოვობდა ქართული ეკლესია... საგურამოდან ხელით წამოიღეს დიდი მგონის ძვირფასი ცხედარი და დასვენეს ჭერ ქაშუეთში, შემდეგ სიონში.

არსებობს სიტყვები, რომლითაც ქართული ეკლესიის მოღვაწენი გამოეთხოვენ ქრისტეს მცნების დაუღალავ ქადაგსა და თავისუფლების წინასწარმეტყველს...

„დიდებულ გვამთა გარდაცვალებასაც კი აქვს ჩვენთვის რაღაც მნიშვნელობა. ისიც უთუოდ რაშეს გვასწავლის.

მივიჩნით ეს ბარბაროსებისაგან დაღვრილი სისხლი ჩვენს ეროვნულ ცოდვათა განსაწმენდად, უკულმართ გზიდან მოსაქცევად, მთლად საქართველოს შვილთა შესაერთებლად, განსამტკიცებლად“.

არქიმანდრიტი ამბროსი.

„...კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენს სვანებს ჩვეულება აქვთ: თუ ვისმეს მათგანს უცაბედად კაცი შემოაკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა, გვერდზე იკიდებს მძიმე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისა, ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე ჩვენი პირადი ნებათი, თუ უნებლიეთი დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას“.

ეპისკოპოსი ლეონიდი

„ქართველი ერის დიდებული წინასწარმეტყველო, ქართველი ერის „ვარსკვლავთმრიცხველო“, ქრისტეს მცნების დაულალავო ქადაგო, ჩვენო ჭომაგო, ჩვენო ტკბილ-მწარე „ნანიანათი“ აღმზრდელი, ჩვენი „თავისუფლების“ წინამორბედო ილია!

ეს რა ზარ-ზეიმით გეგებება „მარად და ყველგან“ შენი საქართველო?!...“ — იქნებ, ორმოცდაათი წლის სწორუბოვარ, უმწიკვლო მოღვაწეობისათვის დაფნის გვირგვინით სურს შეამკოს შენი ჩვენთვის სათაყვანებელი თავა? — არა! — ეს ჩვენ ვერ მოვახერხეთ... ჩვენ მხოლოდ უსულოდ ქმნილ შენს ნაშთებს გვაგებებენ; ეს მოვაგვარეთ...

მაგრამ შემდარია ის აზრი, ვითომც ილია მკვდარი იყო! არვის ძალუძს იმის მოკვლა, იმის მოსპობა, ვისაც ქართველი ერი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თვითცნობიერებაში მოჰყავდა. არვის ძალუძს იმის მადლის დაშობა, რომელმაც საქართველო ევროპის ცივილიზაცია — აზროვნების ფერხულში ჩააბა! არ შეიძლება იმის აღგვა პირისაგან ქვეყნისა, რომელიც ქართველი ერის სულსა და გულში ოქრომკედლით ჩაქსოვილ-მოქარგულია!

მაშ, ჰოი, უგუნურებავ, რომელმაც აღმართე ბოროტი მკლავი ქართველი ერის სათაყვანებელ არსებაზე!... უგუნურებავ, რომელმან მხოლოდ განიზრახე ჩვენი ილიას მოსპობა! უგუნურებავ! შენ შემოგძახის ქართველი ერი და მასთან მისი მშობელი ივერიის ეკლესია!

ივერიის ეკლესიის დიდებულო, ჭეშმარიტო ღვიძლო შვილო, მუხლს იდრეკს შენს მოწამებრივ ნაშთთა წინაშე ქართველი სამღვდლოებაც. თაყვანს სცემს შენს ზეგარდმო-მადლით ცხებულ შუბლს. მარად და მუდამ აღბეჭდილი იქნება ჩვენს გულში შარავანდლით გასხვივსნებული შენი ხატება, შენი მოძღვრება-მისწრაფებანი, რომ შენი „ანდერძი“ აღვასრულოთ და მით წამებულმან სულმან შენმან გაიხაროს... ამინ“.

ასე მწვავედ განიცდიდა ქართული ეკლესია ილიას ტრაგიკულ მკვლელობას იმ მძიმე დღეებში...

დღეს კი, როცა ქართველმა ერმა, ზოგჯერ საქართველომ დიდი მწერლის დაბადების 140 წლის იუბილე იზეიმა, ქართული ეკლესია თავის ღვიძლ საქმედ თვის სიყვარული და თანამდგომობა გამოხატოს სათაყვანო მწერლის სახელისადმი, საერთოდ, ქართული მხატვრული სიტყვისადმი...

საუკუნეთა მანძილზე მუდამ ერთად იყო ქართველი ერი და ქართული ეკლესია. ამაში იყო ძალა ერისა და ძალა ეკლესიისა. ამას გვასწავლის ჩვენი ისტორია, ჩვენი ცხოვრება... ამას გვასწავლის დიდი ილია... საქართველოს ეკლესიის ჭეშმარიტი, ღვიძლო შვილი, მისი დიდი ჭომაგი და მამა მთელი საქართველოსა!

ს ე ბ ე ქართული

„უგალობდით უფალსა გალობითა ახლითა, უგალობდით უფალსა ყოველი ქვეყანა“, — იტყვის წმიდა წინასწარმეტყველი დავით მეფე.

უსხეულო ზეცის ძალი, — წმიდა ანგელოზნი და მთავარანგელოზნი დაუდუმებლივ უგალობენ ღმერთს, — ჩვენს შემოქმედს. ზეციური და ქვეყნიური ეკლესია ნიადაგ შესწირავს ღვთისადმი „მღევისა გალობასა“... მთელი სამყარო ხავსეა უფლის დიდებით...

საქართველოს წმიდა ეკლესია, მუდამ ერთგული ღვთის მცნებისა და ფრთად რჩეული მისი, დღესაც ადიდებს ღვთის ძლიერებას დინჯი, დარბაისლური და სულიერი ქართული საეკლესიო გალობით.

როდესაც ვახსენებთ ქართულ საეკლესიო გალობას, მუდამ თვალწინ გვიდგება უდიადესი და უბრწყინვალესი სამყარო, იხსნება სულიერი ტაძრის ბჭენი და შევდივართ უკიდევანო, ჭეშმარიტ სამოთხეში.


საქართველო უძველესი და უმდიდრესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაა. ქართულ ხალხურ მუსიკაზე ზერელე დაკვირვებითაც თვალსაჩინოა, რომ ქართველი კაცის ცხოვრება, დაბადებიდან გარდაცვალებამდე განუყრელად არის შერწყმული და შესისხლხორცებული სიმღერასა და გალობასთან. ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორს მოეპოვება უამრავი ბრწყინვალე ნიმუში სრულიად სხვადასხვა ეანრის მუსიკალური შემოქმედებისა, — საერთო თუ სასულიერო საგალობელნი, მხედრული თუ წეს-ჩვეულებითი სიმღერა — ფერხულები. ჩვენი ხალხური მუსიკა უზადო სრულქმნილებითა და სიდიადით, უადრესად დახვეწილი პარმონიითა და მრავალხმიანობით იმსახურებს მხოლოდ განცვიფრებას. ეს ამოუწურავი და ფასდაუდებელი განძია, რომელსაც ჩვენი ერი საუკუნეების განმავლობაში სასოებით აგროვებდა, რომელსაც „ვერცა მღილი, ვერცა მჭამელი განპრყუნის, და რომელსაც ვერცა მპარაუნი დაჰსთხარიან და განიპარიან“ (მათე 6,20).

ქართული სიმღერა-გალობის თავისებურებაა მრავალხმიანობა (სამხმიანობა), რომელსაც უხსოვარი, წინაისტორიული წარსული აქვს. სასულიერო მუსიკა (გალობა და მნობა) საერო მუსიკის წიაღიდან წარმოიშვა, მისი ღვიძლი შთამომავალია. სასულიერო და საერო მუსიკის ეს ერთიანობა კი ერისა და ეკლესიის განუყოფელ ერთიანობას მოახწავებს.

ს ა ე ლ ნ ი

საეკლესიო ბალობა

მღვდელი თამაზი (კოჭლამაზიშვილი)



გარდა უმდიდრესი საგუნდო შემოქმედებისა, ქართველი ერი თეორიულადაც აყალიბებდა და ავითარებდა თავის მუსიკალურ მონაპოვარს. მან შექმნა და განავითარა დამოუკიდებელი სანოტო სისტემა. ამ თეორიული მუშაობის შესახებ წარმოდგენას იძლევა, მაგალითად, ჩვენი დიდი წინაპრების, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის ზოგიერთი ნაშრომი.

ქართული პიმნოგრაფია ამაყობს ისეთი დიდი სახელებით, როგორიცაა მიქაელ მოდრეკელი, გრიგოლ ხანძთელი, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, იოანე ჭყონდიდელი, იოანე მტბევეარი და სხვანი.

მნელბედობის უამს, ბუნებრივია, ქართველ ერს სულიერი ცხოვრების შენელება უხდებოდა, მაგრამ ქართული სიმღერა-გალობის განვითარება არასოდეს შეწყვეტილა.

XIX საუკუნის შუა ხანებში, შეიქმნა რა საფრთხე უდიდესი ეროვნული განძის, — ხალხური მუსიკის დავიწყებისა და დაკარგვისა, გამოჩნდნენ მამულიშვილები, რომელთაც იკასრეს შეესრულებინათ ურთულესი სამუშაო, — ქართული საეკლესიო გალობა იანამედროვე ნოტებზე გადაეღოთ და ასე შემოენახათ იგი მომავალი თაობებისათვის. ამ დიდ საქმეს სათავეში ჩაუდგა ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომლის ზრუნვამ მრავალი შესანიშ-

ნავი საგალობელი გადაარჩინა დაკარგვას. საუკუნის მიწურულისათვის უკვე საგალობელთა რამდენიმე კრებულზე იყო გამოცემული. აქედან შეიძლება აღვნიშნოთ ფილიმონ ქორიძის კრებულები — 1895, 1899 და 1901 წლებში გამოცემული, ვასილ კარბელაშვილის „მწუხრი და ცისკარი“ — 1897 წლის გამოცემა და მისივე „იოანე ოქრობირის ლიტურდია“, — 1899 წლის გამოცემა.

1909 წელს დიდმა კომპოზიტორმა ზ. ფალიაშვილმა გამოსცა „იოანე ოქრობირის ლიტურდიის“ ასალი, დამუშავებული რედაქცია. ქართულ საეკლესიო საგალობელთა საგანძური კიდევ მიუღწეველია დამუშავებას, ასალ რედაქციას.

ჩვენ განზრახული გვაქვს პერიოდულად გამოვაქვეყნოთ, ქართულ საეკლესიო საგალობელთა ნიმუშები. რედაქცია იმედოვნებს, რომ ეს გარკვეულ წვლილს შეიტანს უმდიდრესი ქართული გალობის პოპულარიზაციისა და აღორძინების საქმეში.

ამჯერად გთავაზობთ ერთ საგალობელს:

„მამო ჩვენო“, — ეს ფრიალ საინტერესო ოთხ-ხმიანი საგალობელი (შერეული გუნდისათვის) გუთონის კომპოზიტორ დემეტრი არაყიშვილს, ქვეყნდება პირველად.

S. *f*

მა- მა- ო ჩვე- ნო, რო- მე- ლი ხარ წა- თა ში- ნა,

A. მა-

წმი- ლა ი- ყავნ სა- ხე- ლი შე- ნი, მო- კე- ლინ სუ- ჭე- ვა შე-

მა- ო

Handwritten musical score system 1. It consists of four staves. The top staff has a treble clef and contains a melody with lyrics: "ბი, ი- ყავს ბე- ბა შე- ბი". The second staff has a treble clef and contains a melody with lyrics: "ჰო- თარ- ჯა ჯა- თა ში- ნა, ებ-". The third and fourth staves are empty.

Handwritten musical score system 2. It consists of four staves. The top staff has a treble clef and contains a melody with lyrics: "რე- ჯა ჰე- ყა- ნა- სა ზე-". The second staff has a treble clef and contains a melody with lyrics: "და- და- მ, და- და- მ". The third and fourth staves are empty.

Handwritten musical score system 3. It consists of four staves. The top staff has a treble clef and contains a melody with lyrics: "და- და- მ, და- და- მ ჰე- ბი". The second staff has a treble clef and contains a melody with lyrics: "და- და- მ, და- და- მ ჰე- ბი". The third and fourth staves are empty.

ad libitum

ჰყ-რი ჩვე-ნი არ-სმ-ბი-სა მ-მეც ჩვენ ღღეს, ლა მ-ბი-ვე-

და- და-

და- და- მ ჩვე-ნი

ვე ჩვენ თა-ნა- ნა-ღებ-ნი ჩვენ-ნი,

მ, და- და- მ ჩვე-ნი

დათ ჩვენ-

ვი-თარ-სა ჩვენს ბი-უ-ვე-ვეთ თა-ნა-ღებ-თა დათ ჩვენ-

თა, ღა ნუ შე-ძი-ყვა-ნებ ჩვენ გან-საც-ღელ-სა,

ა-რა-ბელ მიხს-ნენ ჩვენ ბო-რო-ცი-სა-გან.





ოცსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესია

ზაზა ალექსიძე

ოც საუკუნეს ითვლის ქართული ეკლესია. IV საუკუნის დასაწყისში გახდა ქრისტეს მცნება ქართულ სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგია და ამ დღიდან ქართველთათვის ქრისტიანობა ქართველობის სინონიმად გადაიქცა. ოცი საუკუნიდან თხუთმეტი საქართველოს ეკლესიამ კავკასიის მოძალბებული მტრებისაგან ქრისტეს სჯულის დაცვას შესწირა. როდესაც სპარსეთის იმპერიაზე დაყრდნობით ბიზანტიის პოლიტიკური გავლენიდან გამოსვლას ყოველი ღონით ცდილობდნენ კოპტები, სირიელები (სომხები და აღმოსავლეთის სხვა ხალხები, საქართველო თავისი ეკლესიითა და მრევლით ერთგული დარჩა მართლმადიდებლური მრწამსისა. მას სპარსეთის იმპერიის გულის მოსაგებად არც ნესტორიანობა აურჩევია, არც იაკობიტობა, არც იგლიანტობა და არც სხვა რომელიმე სექტა. იმ დღიდან, რაც ქართული ეკლესია დადი თეოლოგიური პოლემიკის მონაწილე შეიქნა, მაშინაც კი, როდესაც მთელი საპატრიარქოებს ერეტიკოსები უდგებოდნენ სათავეში, იგი შეურყეველ ბურჯად ედგა ქალკედონის კრების დადგენილებებს. კავკასიის მთაში, იქ, სადაც ვეღარ წვდებოდა კონსტანტინეპოლის, რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა მისია, საქართველოს ეკლესიამ მიიტანა ქრისტეს ჯვარი და სახარება. ამ განსაკუთრებულმა როლმა კავკასიასა და აღმოსავლეთში მართლმადიდებლობისათვის ბრძოლაში ქართულ ეკლესიას გაუჩინა კანონიერი სიამაყის გრძნობა და კანონიერივე პრეტენზია — მისი ერთგულებისა და რწმენისათვის დაღვრილი სისხლი საკადრისად დაფასდეს მსოფლიო ეკლესიის თვალში.

მაგრამ ქართული ეკლესიის სიამაყის წყარო მხოლოდ ერთგულება და თავგანწირვა არ არის. მას თავი მოაქვს იმითაც, რომ ეკუთვნის იმ მცირე ქვეყანათა რიგს, რომლებშიც მოციქულებს უქადაგნიათ. ქართულ ეკლესიას ღრმად სწამდა და სწამს, რომ იგი დამყარებულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანაში, რომლის მისია აღასრულა ანდრია პირველწოდებულმა. ასეთი რწმენა შეიძლება დაიბადოს მხოლოდ იმ ხალხსა და ეკლესიაში, რომელსაც გავლილი აქვს დიდი გზა, ღირსი სამოციქულოს სახელის ტარებისა და აქვს ძალა აწმყოშიც შეუბღალავად ატაროს ეს საპატიო ტვირთი. საქართველო XI—XII საუკუნეებისა, ერთიანი და ძლიერი, მდიდარი და გონიერი, ერთადერ-

თი საყრდენი ქრისტიანობისა მთელ აღმოსავლეთში, თვითონაც გრძნობდა თავს ღირსად ჰყოლოდა სამოციქულო ეკლესია. ამას კარგად გრძნობდნენ მუსულმანთაგან და, (პარადოქსია მაგრამ), ჯვაროსანთაგან არანაკლებ შეწუხებული აღმოსავლეთის პატრიარქები.

V საუკუნიდან საბოლოოდ გაფორმდა ქართული ეკლესიის სტრუქტურა ცხრახარისხოვანი სისტემით, რომელშიც ყველა პატივის საეკლესიო მსახური იყო წარმოდგენილი. თუ აქამდე მას მთავარეპისკოპოსი განაგებდა, ამიერიდან სათავეში ჩაუდგა მწყემსმთავარი, რომელიც დღემდე ატარებს კათოლიკოსის სახელს, რომელიც აღმოსავლეთის ავტოკეფალური ეკლესიებისათვის პატრიარქისა და პაპის სინონიმია და, რომელსაც ზოგჯერ ალექსანდრიის პატრიარქიც ატარებდა.

VII საუკუნის დამდეგს ქართლის კათოლიკოსის სამწყსოში უკვე 35 საეპისკოპოსოა და ყველგან, მათი დაარსების პირველი დღიდანვე, მღვდელთმსახურება ქართულ ენაზე სრულდება. 13 ასურელი მამის მოღვაწეობის შედეგად ქვეყანა დაფარულია მონასტერთა მთელი ქსელით. ზედაზენზე, შიომღვიმეში, დავით გარეჯში, წილკანსა და სხვაგან საერთაშორისო ავტორიტეტის წინამძღვრები მოღვაწეობენ.

ასეთი სტრუქტურის მქონე და ასეთ მსახურთა მყოფ ეკლესიას უკვე თავისუფლად შეუძლია ყველა ხარისხის არჩევნები და ხელდასხმა დამოუკიდებლად შეასრულოს; სილო როდესაც ჯერ ირანის, შემდეგ კი არაბთა ექსპანსია მას მთლიანად მოსწყვეტს საქრისტიანო მსოფლიოს, ისღა დარჩენია, რომ თავისი სრულყოფილი წყობა კანონიერი მწყემსმთავრის ასარჩევად გამოიყენოს.

ანტიქრისტიანულ და მონოფიზიტურ გარემოცვაში მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის მეთაური თანდათან იმტკიცებდა იმ უფლებებს (მაგ. მირონის კურთხევა), რომლებიც მას რეალურად უკვე ჰქონდა და რომელთა გარეშეც იგი, უბრალოდ, ვერ შეძლებდა არსებობასაც კი. ამიერიდან საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს უკვე ჰქონდა ყველა პატივი, რაც უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურს. ქართული ეკლესია ადრიდანვე მარტო დარჩა განსაცდელის წინაშე, მსოფლიო ეკლესიების მხარის დაჭერის გარეშე და ერთადერთი გზა, შეენარჩუნებინა თავისი სამწყსო, სრულ და უპირობო ავტოკეფალიაზე გადადიოდა.

როდესაც საქართველომ გაუგონარი ძალების დამბვით შეძლო გაერთიანებულიყო და ამ ერთიანობისათვის ბრძოლის ავანგარდში ეკლესია ჩადგა, როდესაც საქართველო აღმოსავლეთში წმიდა ადგილებისათვის მებრძოლ ერთადერთ რეალურ ძალად იქცა, მისი ეკლესიის კათოლიკოსმა უფლება მიიღო თავისი ტიტულატურისათვის სამოციქულო და ავტოკეფალური ეკლესიის უმთავრესი ტიტული შეემატებინა. XI საუკუნიდან იგი ატარებს ყოველი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წოდებას, ხოლო XIII საუკუნეში ხუთი მსოფლიო პატრიარქის შემდეგ „მეექვსე პატრიარქად და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა კათოლიკოს-პატრიარქად“ იწოდება.

მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროს კანონებზედ არ მოხსენიება საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის ასეთი ამადლება და ანტიოქიის პატრიარქმა XI საუკუნეში მეთრედ აღიარა მისი დამოუკიდებლობა.

ფეოდალური საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში ეკლესია თავიდანვე სახელმწიფოს გვერდით დადგა. პერიფერიებისაკენ დაძრულ სამეფო მხედრობას ჯვრითა და სახარებით ხელში წინ უძღოდა მოციქულთა სწორი ნიწი. ქართული სახარების გატანა განაპირა პერიფერიებში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღმოჩნდა საკუთარი კერპების მლოცავი ტომების სულიერად გასათავისუფლებლად, მთისა და ბარის დასახლებლად, „ყოვლისა ქართლისა“ შესაკრებლად.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკრა ამიერკავკასიის ქვეყნები (ქართლი, სომხეთი და ალბანეთი) მაზდიანური ირანისაგან თავის დასაცავად. მაგრამ როდესაც ირანმა კავკასიაში თავისი იდეოლოგიური დივერსიის იარაღად მონოფიზიტობა აირჩია, ქართლმა ქალკედონური მრწამსი იფარა. კავკასიაში თანდათან ჩამოყალიბდა „ქართული ქრისტიანობა“ — ქართულ ენასთან ერთად ის აუცილებელი ნიშანია, რომლითაც ქართველი იერს უცხო „ნათესავისაგან“ გამოარჩევდა. ქვეყნის მეთაურთა მრწამსი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასაც გამოხატავდა და ქართული საზოგადოებრივი აზრი პროგრესულად მიიჩნევდა იმ მეფეს, რომელიც იყო „კაცი მორწმუნე და მხედარი შემართებული“.

VII საუკუნის დამდეგს ხელახლა იწყო „ნელად-რე შეკრება“ უმეფობის ხანაში დაშლილმა გორგასალიანმა „ყოველმა ქართლმა“ და ამ დიდი ეროვნული მისიის სათავეში ქართლის კათოლიკოსი აღმოჩნდა. მისმა მიზანდასახულმა და გონივრულმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა ქართლის სამეფოსათვის გვიან დაბრუნებული ჭრელი მოსახლეობის პროვინციათა (გუგარეთი) მდგელმსახურებაში ქართული ენა დაემკვიდრებინა. დაიწყო ეროვნული კონსოლიდაციის ის პროცესი, რომელსაც არაბთა მძლავრობისაგან კიდევ ორი საუკუნით ეწერა შეფერხება.

როდესაც არაბებისაგან დაჩეხილმა ქვეყანამ ოდნავ

სული მოითქვა და კვლავ ჯიუტად შეუდგა გაერთიანებას, ეკლესია იყო ის ორგანიზაცია, რომელმაც საგანგებოდ იზრუნა და პირველმა მოიპოვა ამ ერთიანობისათვის აუცილებელი პლატფორმა: „ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირიცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე). ეს იყო ლოზუნგი, რომლის მიხედვითაც ერთიანი სახელმწიფო ენითა და ერთიანი სახელმწიფო ინსტიტუტებით უნდა გაერთიანებულიყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართული სამეფოება. როდესაც ასეთი ერთიანობა უკვე ჩამოყალიბდა, ძართულმა მაქსიმამ ისევ პირველმა მოსამზნა მისთვის უზუსტესი სახელი, „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“ და სამუდამო საზრუნველად დაუტოვა შთამომავლობას „მ ნ ა შ მ მ კ შ ლ ო დ ა კ შ რ თ ხ შ ლ ო ს ა ხ ლ ო ტ ი ა შ უ ფ ო ს ა თ ა“; (იოანე-ზოსიმე), როგორც სიმბოლო „მ ო ვ ლ ო ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ო ს ა“ (რუის-ურბნისის ძეგლის-დგბა).

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ეროვნული ინსტიტუტი გახდა, მისი დამახასიათებელი არასოდეს არ ყოფილა შეუწყნარებლობა მის ტერიტორიაზე მოსახლე სხვა რელიგიისა და ნაციის წარმომადგენელთა მიმართ. პირიქით, ქართული ეკლესია თავიდანვე იქცა უცხო ტომის ქრისტიანთა ნავსაყუდელად. უფრო მეტიც, ქართულმა ეკლესიამ ქრისტეს რჯულზე მოაქცია არაერთი სმლით მოსული დამპყრობელი. თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ქრისტიანობისათვის წამებულ ეროვნულ წამებულთ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავიათ სომეხ შუშანიკს, სპარს რაჟდენსა და ევსტათის, არაბ აბოს და სხვა მათ თანამომკმეებს. ესეც ქართული ეკლესიის ერთი დიდი დამსახურებაა ქრისტიანული სამყაროს წინაშე.

წმიდანაი წუთისოფლის დატოვებით არ ამთავრებდა „სააქო ცხოვრებასა და მოქალაქეობას“. სიკვდილის შემდეგ უკვე „მოქალაქეობას“ იწყებდა „ღმრთივპატივცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი“ და ყველაფერი, რაც მის ცხოვრებასა და მარტვილობასთან იყო დაკავშირებული. ეროვნულ წმინდანთა და მათ მიერ მოხდენილ სასწაულთა სიმრავლე ერთი დიდი არგუმენტი იყო საქართველოს ეკლესიისათვის ჯერ ავტოკეფალიის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად, ხოლო შემდეგ უმადლესი საერთაშორისო ავტორიტეტისათვის საბრძოლველად. მიუხედავად ქართული აგიოგრაფიის არაჩვეულებრივი ნაყოფიერებისა, საქართველოში საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრება იმდენად ინტენსიური იყო, ხოლო ქვეყნისათვის თავგანწირვა იმდენად სშირი, რომ იგი ყველაფრის აღწერას ვერ ასწრებდა: „ხოლო ღმერთმან ესევითარითა კეთილთა არცაღა ქვეყანა ესე ჩუენი დააკლო, არამედ უფრო სღა გარდაჰმატა უხუებითა წყალობითა თ სთა თა მოვლინებითა წმინდათა დიდებულთა მამათა თა...და მრავალთა ნიშთა და

საკვირველებათა მიერ განთქმულ ყვნა იგინი ღმერთ-მან. რომელნი უკუეთუმცა ბერძენთა შორის ქმნილ იყვნეს, ძლითმცა აღსარიცხველი წერილი შეექმნა“ (ბასალი ვაჩეს ძე).

მაგრამ სიცოცხლის შეწირვა არ იყო ერთადერთი წყარო საქართველოს ეკლესიის სიმტკიცისა. მან მსოფლიო ქრისტიანულ აზროვნებასა და მწერლობას მისცა ასეთი მოღვაწენი, როგორც იყვნენ პეტრე იბერი, გრიგოლ ხანძთელი, ეფრემ მცირე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ანტონ დიდი და სხვ. გელათისა და იყალთოს აკადემიები, ასობით მონასტრები საქართველოს ყველა კუთხეში ზრდიდნენ ქართული კულტურის თავდადებულ მსახურთ. ქართული მონასტრებით მოიფინა მთელი აღმოსავლეთი. იერუსალიმის, სინას. ათონის, შავი მთის, პეტრიწონისა და სხვა კულტურულ კერებს საერთო ქრისტიანული სამყაროსათვის ჰქონდათ მნიშვნელობა და არა მარტო ლოკალურად საქართველოსთვის. გაიღო კულტურული ხიდები საქართველოსა და განათლებულ მსოფლიოს შორის. ბერძნული, ლათინური, სირიული, არაბული და სომხური ენებიდან ქართულად ითარგმნებოდა მოწინავე ქრისტიანული აზრი და ქართულიდან ამავე ენებზე გადადიოდა ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლები. ქართველი მოღვაწენი ქართულად და ბერძნულად წერდნენ, თარგმნიდნენ. მსოფლიო საქრისტიანოს აზრს და პრაქტიკას ქართული ეკლესია თავის სინამდვილეს უფარდებდა, ეროვნულ მწერლობად აყალიბებდა, ქმნიდა საკუთარ წელთაღრიცხვას, საკუთარ კალენდარ-ტიპიკონებს, პიმნოგრაფიას, აგიოგრაფიას, ბიბლიოლოგიას, მონაწილეობდა პოლემიკაში.

ის იყო დიდი ეროვნულ-განმანათლებლური პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ქართული ეკლესია და მონასტერი უშეღავათო თავგანწირვით ეძლეოდა. „მთელი მონასტერი დამღამობით წყვედადით იყო სოღამე მოცული, დამის მყუდროება და სიჩუმე სუფევდა მონასტერში, ოდენ კანდელის მკრთალი ნათელი აქა-იქ

სენაკებში მოწმობდა, რომ ამ მონასტერში ჩუმი, მაგრამ დაუღალავი, მშობელი ეკლესიისათვის თავგანწირული გონებრივი მუშაობა მიმდინარეობდა. აქ მოღვაწეობდნენ სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით ადფრთოვანებულნი საქართველოს მნათობნი, გამოჩენილი მეცნიერი ბერები... დიადი იყო ის ნაყოფი, რომელიც ამ გულის სიღრმითგან მომჩქეფარე გრძნობამ სამშობლოს შესძინა...“ (ივ. ჯავახიშვილი).

ოცი საუკუნის მანძილზე ქართველმა ხალხმა თვითმყოფადი და ბრწყინვალე საკულტო არქიტექტურა, მონუმენტური ფერწერა, ლითონზე და ქვაზე ქანდაკება და წიგნის კულტურა შესძინა მსოფლიო საგანმურს. ეს იყო არა მარტო ერის თანდაყოლილი მხატვრული გემოვნებისა და მდიდარი უძველესი ტრადიციების ნაყოფი, არამედ, აგრეთვე, მსოფლიო ქრისტიანული ფილოსოფიური ნააზრევის ზიარებისა და საკულტო სიმბოლიკაში ღრმა წვდომის შედეგი.

ასეთმა სიმაღლეებმა მისცა საშუალება ქართულ ეკლესიას, როდესაც ბიზანტიის იმპერია შეირყა და საქართველოს სახელმწიფომ აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯის როლი იკისრა, თავისუფლად და თანასწორად ამოსდგომოდა მხარში კონსტანტინეპოლის ეკლესიას. ის, რომ საქართველო ვერ გაუმკლავდა მონდოლთა, თემურ-ლენგის, შაჰ-აბასისა და ალა-შაჰმად-ხანის ურდოებს, მთელი საქრისტიანო აღმოსავლეთის ტრაგედია იყო და არა მარტო ამ ბატარა, გაუტყეველი ქვეყნისა.

დღეს საქართველოს ეკლესიის შინაური თუ საერთაშორისო ავტორიტეტი იზრდება. **ქართულმა ეკლესიამ უნდა დაიკავოს კუთვნილი ადგილი მსოფლიოს მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის, რომელიც მას ოცსაუკუნოვანა ისტორიამ მოუტანა.** ამაში მას სჭირდება აღმოსავლეთის საპატრიარქოთა თანადგომა ისევე, როგორც ქართული ეკლესია ედგა მათ გვერდში სმლით, ჯვრითა და წიგნით ხელში ისტორიის გზაჯვარედინებზე.





მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი

უწმიდესისა და უნეტარისის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებასთან დაკავშირებით საპატრიარქოში მსოფლიოს სხვადასხვა მხრიდან მოვიდა უამრავი მოსალოცი წერილი და ღებუა. ვებეჭავთ რამდენიმეს.

კონსტანტინეპოლიდან

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარსობაე! ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო ჩვენო! დიდი სიხარული მოგვანიჭა თქვენმა წყარომა! რომელშიც გვატყობინებთ თქვენს აღსვლას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უძველეს ტახტზედ.
ღრმად გვწამს და გვჯერა, თქვენის შეშვებით კიდევ უფრო გაღრმავდება ჩვენი ეკლესიების საუკეთესო მგებრობა.
კიდევ ერთხელ ქრისტეს მიერ ძმური სიყვარულით ვებეჭვით თქვენს უნეტარსობას და ვრჩებით ჩვენი ლოცვებში მუდამ თქვენი მომხსენებელი.

დ ი მ ი ტ რ ი ო ს I

მსოფლიო პატრიარქი

ვატიკანიდან

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარსობაე! ჩვენ დიდის მადლიერებით მივიღეთ თქვენი მოლოცვა და საუკეთესო საშობაო სურვილები...

ეს ის დღეებია, როცა ქვეყნიერებას დღითიერი ნათელი ეფინება და გარდაშობის ჩვენზედ.

ყველაფერია მასში... იგია გზა, რომელიც მიგვიძღვის მამა-ღმერთისაკენ, იგია ჭეშმარიტება, რომელიც გვახლოებს სანუკვარ ფიქრობს და ოცნებასთან... იგია თავად ღმერთი და ჩვენ ღვთის შვილები, ოდეს შევიცნობთ მას, უსაზღვროდ ბედნიერნი ვართ... განუზომელია სიყვარული და მაღლი უფლისა ჩვენზედა გარდაშობის.

ამ დღეებში კიდევ ერთხელ სიხარულით მოგვსალმებთ და მოგილოცავთ საქართველოს უძველესი ეკლესიის ტახტზედ აღსვლას...

თქვენთან ერთად ვლოცულობთ ამ დღეებში; თქვენთან ერთად და პირადად თქვენთვის, თქვენო უნეტარსობაე!

პ ა პ ი პ ა ვ ღ ე VI

1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აღსაყდრების შემდეგ უწყების ბარათები დაუგზავნა მსოფლიოს ყველა საპატრიარქოს, რომელშიც ატყობინებდა თავის აღსვლას საქართველოს უძველესი ეკლესიის ტახტზედ და სთხოვდა მათ ძმური და მეგობრული ურთიერთობის კვლევ შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

ნიუ-იორკიდან

თქვენო უწმიდესობაე!
„ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და, ბნელი იგი მას ვერ ეწია“.

აღდგომის ღამე გაბრწყინებულია მოციქულისა და მახარებლის იოანეს სიტყვებით.
„ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად“.

ესაა სასწაული. იგი ღვთისაგან გამოგზავნილმა ანგელოზმა აცნობა იმ ქალს, ვინაც იესო ქრისტეს გვამთან იმითომ მივიდა, მის ნათქვამ სხეულზე ნელსაცხებელი რომ წიებო.

„აღსდგა. არა არს აქა...“ — გაიგონა მან. სააღდგომო სიხარული ჩვენი იწყება იმ რწმენით, რომ უფლის საფლავი ცარიელია. ჩვენი სული ხარობს იესო ქრისტეს შეცნობით, — როდესაც ვტვებთ პურს...

„ესე არს ხორცი ჩემი...“
ჩვენი სული ზეიმობს სიხარულის შეგრძნებით, რომ აღმდგარი ქრისტე ჩვენს შორისა და ჩვენს გულზედაა.

გილოცავთ ქრისტეს აღდგომას, თქვენი საპატრიარქო მოღვაწეობის პირველ აღდგომის დღესასწაულს...
გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

თეოდოსი

მთავარეპისკოპოსი ნიუ-იორკისა, მიტროპოლიტი სრულიად ამერიკისა და კანადისა.

სომხიდან

თქვენო უწმიდესობაე!
ძალზე მოხარულნი ვართ, რომ მივიღეთ თქვენი წერილი.

დიდი სიხარული მოგვანიჭა ცნობამ იმის შესახებ, რომ თქვენ დღეს ბრძანდებით საქართველოს უძველესი ეკლესიის მამათმთავარი, მისი პატრიარქი. ჩვენს ლოცვებში ავიერიდან მუდამ მოვიხსენიებთ თქვენს სახელს.

ვილოცებთ, რომ უფალმა ღმერთმა, რომელმაც ავირჩიათ ქართველი ერის სულიერ წინამძღვრად, გაგინათოთ გზა თქვენი მრევლისა და წმიდა ეკლესიის საკეთილდღეოდ. გაგიხანგრძლივოთ სიცოცხლე.

გთხოვთ, ილოცოთ ჩვენთვისაც. ვფიქრობთ, ერთმანეთისათვის ლოცვა ჩვენი დიდი მოვალეობაა.

კიდევ ერთხელ მოგვსალმებთ ჩვენი ჩუუფის — ქრისტეს სახელით.

ქრისტეს მიერ მოყვარული ძმა სერაფიმე, მთავარეპისკოპოსი აფენისა და სრულიად ელადისა.

იერუსალიმიდან

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარსობაე! დიდი სიხარული მოგვანიჭა ცნობამ იმის შესახებ, რომ თქვენ არჩეული ბრძანდებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

გულწრფელად გილოცავთ... არ მოგკლებოდეთ არასდროს ლოცვა-კურთხევა უფალი ღმერთისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

უფალმა მოგმადლოთ დიდი ძალა და ხანგრძლივი, ჭანმრთელი სიცოცხლე თქვენი წმიდა ეკლესიის საკეთილდღეოდ.

პატრიარქი ბენედიქტე.

სინაის მთიდან

თქვენო უწმიდესობაე! მადლობას გიძღვნით ღებუშისათვის. ვწუხვარ, რომ მე იგი დაგვიანებით მივიღე, გახლდით სალოცავში... ღებუშა კი გამოკაზნილი იყო ქაიროში.

გულწრფელად გილოცავთ საპატრიარქო ტახტზედ აღსვლას.

სულიწმიდის ზეგარდმო მაღლი ყოფილყოს თქვენი თანხლები მუდამ იმ წმიდა საქმიანობაში, რომელიც დაგაკისრათ უფალმა ღმერთმა და ერმა თქვენმა.

გებეჭვით ქრისტეს მიერ სიყვარულით

დ ა მ ი ა ნ ე

სინაის მთავარეპისკოპოსი

ნიდუხიიდან


დიდი სიხარული მოგვანიჭა ცნობამ თქვენი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის შესახებ. ვლოცულობ და მომავალშიც მუდამ ვილოცებ თქვენთვის.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და მშვიდობას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

თქვენი უმორჩილესი შვილი

ძ რ ი ზ ო ს ტ ო მ ო ს ი (ოქროპირი),
კვიპროსის მთავარეპისკოპოსი





საეკლესიო ცხოვრება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიტროპოლიტობის ხარისხით დააჯილდოვა საქართველოს ეკლესიის უზუტუცის მღვდელთმთავრები — მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი და ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი.

8 თებერვალს, თბილისში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციაში გამართა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მორიგი კრება კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის თავმჯდომარეობით.

კრებამ განიხილა ეკლესიის საღვთისმშობლის საიხიუმეო და სათანადო გადაწყვეტილებები მიიღო.

აირჩიეს საეპისკოპოსო კანდიდატები და საპატრიარქოსთან არსებული საგამომცემლო კომისიის წევრები.

კრებამ დაადგინა საეკლესიო ეურნალის დაარსება.

მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა მღვდელი გურამ შალაბერიძე.

19 თებერვალს, კვირას, თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში დიდი ზეიმი იყო. ამ დღეს შესრულდა სოხუმის საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის (მახარაძე) კურთხევა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად.

ახალი ეპისკოპოსის კურთხევა დიდი მოვლენაა ეკლესიის ცხოვრებაში. სამღვდელთმთავრო საყდარზე ადის ახალი მწყემსი, რომელიც ანთებული ლამპარივით წინ უნდა გაუძღვდეს მორწმუნე ერს.

წინა საღამოს, 18 თებერვალს სიონის ტაძარში შესრულდა არქიმანდრიტ ნიკოლოზის სახელდება ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად.

საეპისკოპოსო კანდიდატმა თავის სამადლობელ სიტყვაში გამოთქვა სიხარული იმის გამო, რომ ქართული ეკლესიის ცხოვრებაში გამოჩნდა ახალი, საიმედო ნაკადი, და მას, როგორც მომავალ მღვდელთმთავარს, მოელის ფრიალ ნაყოფიერი სულიერი მოღვაწეობა.

ახალი ეპისკოპოსის კურთხევის დღეს, 19 თებერვალს სიონის ტაძარში მრავლად მოიყარა თავი მორწმუნე საზოგადოებამ.

ეპისკოპოსი ნიკოლოზი (ერისკაცობაში ხუტა მახარაძე) დაიბადა 1932 წ. 28 ივნისს ქუთაისში და იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1954 წ. სწავლა დაიწყო ქუთაისის პედ. ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი რუსული და ინგლისური ენების სპეციალობით, დაამთავრა 1959 წელს. მუშაობა დაიწყო

იმავე ინსტიტუტში, ინგლისური და რუსული ენების ლექტორად.

1972 წელს ხ. მახარაძე შევიდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში და წარჩინებით დაამთავრა 1975 წელს. იმავე წელს მან მუშაობა დაიწყო იქვე, სემინარიაში, ჰომილექტიკისა და ეკლესიის ზოგადი ისტორიის ლექტორად.

1977 წ. იანვარში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ ხ. მახარაძე აკურთხა ჯერ დიაკონის, შემდეგ კი — მღვდლის ხარისხში. მანვე აღკვეცა იგი ბერად და უწოდა სახელი — ნიკოლოზი. მღვდელმონაზონი ნიკოლოზი მალე დაჯილდოვდა არქიმანდრიტის ხარისხით, ეპისკოპოსად კურთხევამდე მსახურობდა სოხუმის საკათედრო ტაძარში.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილების მიხედვით მიმდინარე წლის 26 თებერვალს, კვირას, თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა არქიმანდრიტ იონანეს კურთხევა ეპისკოპოსის ხარისხში.

წინაღობით, საკვირაო ცისკარზე გამოცხადდა არქიმანდრიტ იონანეს დადგინება ჭყონდიდელ ეპისკოპოსად.

საეპისკოპოსო კანდიდატმა სამადლობელი სიტყვით მიმართა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს და განაცხადა, რომ კვლავაც ერთგულად ემსახურება დედა-ეკლესიას.

მეორე დღეს, საკვირაო წირვაზე, საქართველოს ეკლესიის მღვდელთმთავრებმა ეპისკოპოსად ხელი დასახეს მაღალღირს იონანეს. ჭყონდიდელმა მეუფემ პირველად დლოცა სამწყისო თავისი მღვდელთმთავრული ლოცვა-კურთხევით.

ეპისკოპოსი იონანე ჭყონდიდელი (ერისკაცობაში: ცეზარ ანანიაშვილი) დაიბადა 1948 წ. 5 იანვარს გორის რაიონის სოფ. კირბალაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ მისი ცხოვრება განუყოფლად დაუკავშირდა ეკლესიას. 1971—72 წწ. იგი სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, რის შემდეგაც, 1973 წ. ოქტომბერში ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის რომანოზის ლოცვა-კურთხევით ცხაკაიას ღვთაა მონასტრის ტაძრის მწირველის — არქიმანდრიტ კონსტანტინეს მიერ აღკვეცილ იქმნა ბერად. შემდეგ კი ეკურთხა ჯერ იეროდიაკონის, შემდეგ მღვდელმონაზვნის ხარისხში. იმავე წლის მიწურულში მღვდელმონაზონი იონანე განწესებულ იქმნა ცხაკაიას მთავარანგელოსთა ეკლესიის წინამძღვრად, სადაც მსახურობდა ეპისკოპოსად კურთხევამდე.

საქართველოს ეკლესიის წინაშე დამსა-

ხურებისათვის მღვდელმონაზონი იონანე მალე დაჯილდოვდა ჯერ ილუმენის, შემდეგ კი არქიმანდრიტის ხარისხით, ხოლო 1978 წ. თებერვალში საქართველოს წმ. ეკლესიის სინოდმა ჯერ-იონანე მისი დადგინება ჭყონდიდელ ეპისკოპოსად.

გაზაფხულის პირველ დღეებში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, მისი უწმიდესობის, — პიმენის პირადი მიწვევით მოსკოვს, ზაგორსკს, ლენინგრადსა და რიგას ეწვია მისი უწმიდესობა და უნეტარესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II.

მას მერე, რაც იგი ქართულ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა, ეს იყო პატრიარქის პირველი ოფიციალური ვიზიტი სამეგობრო გზებით. მოსკოვის დომოდოვოვს აეროდრომზე დახვედრით დიდი პატივი და გულთბილება მიაგებეს ქართული ეკლესიის მეუფესა და მის თანმხლებ პირთა: თეოტიწყაროელ მიტროპოლიტ ზინობს, ყოვლასამღვდელო, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს ნიკოლოზს, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორს, დეკანოზ გურამ შალაბერიძეს. დეკანოზ პაულე კოსახს, მღვდელ ალექსანდრე გულიაშვილს — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, მისმა უწმიდესობამ — პიმენმა, კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტმა, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარემ იუვენალმა, მისმა მოადგილემ, კურსიკისა და ბელგოროდის მთავარეპისკოპოსმა ქიზონს-ტომოსმა, ზარაის ეპისკოპოსმა იობმა, მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტმა ანტონიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვასილ ფუროვმა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, მისმა უწმიდესობამ პიმენმა გულთბილი, ღრმა შინაარსიანი სიტყვით მიმართა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მამათმთავარს; აღნიშნა პირადი სიხარული უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების გამო; შეეხო ილია II-ის გამოცხადება ზაგორსკში ეკლესიათა მეთაურების ამასწინანდელ შეხვედრაზე; მწვიდლობს, მეგობრობის, თანამშრომლობის, სიკეთის მაღალი გრძნობით გამთბარი მისი სიტყვის უთამაგონებელ ძალას. მისმა უწმიდესობამ აღნიშნა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია საიმედო ხელშია.

მეორე დღეს ზაგორსკში გამართა საზეიმო შეხვედრა პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. სასულიერო აკადემიის რექტორმა, არქიეპისკოპოსმა ვლადიმერმა ქართული ეკლესიის მეთაურს გადასცა დიპლომი იმისა, რომ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II არჩეულია მოსკოვის სასულიერო აკადემიის საპატიო წევ-

რად. საპასუხო სიტყვაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, რჩევა-დარიგებით მიმართა სტუდენტებს, მოსკოვის სასულიერო აკადემიის ბიბლიოთეკას კი საჩუქრად მიართვა აკადემიკოს აკაკი შანიძის მიერ აღდგენილი ვანტანგისეული „გეფხის ტყაოსანი“.


დარბაზობის შემდეგ ქართველი მღვდელთმთავარი გაემგზავრნენ ლენინგრადს, სადაც სტუმრებს დახვდნენ ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი, მსოფლიო საეკლესიო საბჭოს პრეზიდენტი, ქრისტიანული ერთიანობისა და საეკლესიათაშორისო ურთიერთობათა საკითხების წმიდა სინოდის კომისიის თავმჯდომარე და დასავლეთ ევროპის ეგზარქოსი ნიკოდიმოსი, ლენინგრადის სასულიერო სემინარიის რექტორი, ვიბორგის მთავარეპისკოპოსი კირილე, ტიხვინის ეპისკოპოსი მელიტონი და სხვა ოფიციალური პირნი. ნიკოდიმოსის კარის ეკლესიაში შედგა წირვა. მეორე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეწვია პისკარიოვის ცნობილ სასაფლაოს და გვირგვინებით შეამკო დიდ სამამულო ომში დაღუპულ უცნობ ჯარისკაცთა საფლავები, საუკუნო განსვენება უსურვა სამშობლოსათვის დაცემულ გმირებს. საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს ერმთაქი და გაემგზავრნენ რიგას.

ქართველი მღვდელთმთავრების პატივსაცემად ლატვიის მთავარეპისკოპოსმა ლეონილემ საზეიმო პარაკლისი გადაიხადა რიგის საკათედრო ტაძარში. საზეიმო მიღებას დაესწრნენ ლატვიაში არსებულ ქრისტიანულ ეკლესიათა მეთაურები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II რიგდამ კვლავ მოსკოვს დაბრუნდა, სადაც ელხოვის საპატრიარქო ტაძარში შედგა მწუხრის ღოცვა: ერთობლივად ღოცულობდა საქართველოსა და რუსეთის სამღვდელთმთავრებს, ერთად სწირავდა ძმურ ეკლესიათა წარმომადგენლობა. ამ ღირსსახსოვარმა დღესასწაულმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. დასასრულს საქართველოსა და რუსეთის პატრიარქებმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს; აღნიშნეს რუსეთ-საქართველოს, — ამ ორი მოქმე ქვეყნის ტრადიციული ურთიერთობანი, მათი ეკლესიების საუკუნეობრივი კავშირი, ზრუნვა და ცდა მომავალშიც მშვიდობის, ხალხთა შორის სიკეთის თვისებისა და ურთიერთსიყვარულის მსახურებისა.

შემდგომ ამისა, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოსა და ყოველთა ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II და მისი თანმხლები მღვდელთმთავარი სამშობლოში დაბრუნდნენ.

საღვთისმეტყველო ღაქსიკონი და განმარტებანი



სასულიერო ნოღაზანი

მართლმადიდებელ ეკლესიაში დაღვინილია სამი ძირითადი სასულიერო წოდება: დიაკონი, მღვდელი და მღვდელთმთავარი. ამის შესაბამისად არსებობს დიაკონის, მღვდლისა და მღვდელთმთავრის კურთხევის (ანუ ხელდასმის) წესები. რაც შეეხება დანარჩენ სასულიერო წოდებებს, ისინი წარმოადგენენ ჯილდოებს და სასულიერო პირთ მიენიჭებათ არა კურთხევის (ხელდასმის) საშუალებით, არამედ, დაჯილდოების სახით.

სანამ განვიხილავდეთ თითოეულ სასულიერო წოდებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამღვდელთმთავრობა პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: თეთრად და შავად. თეთრი სამღვდელთმთავრობის წარმომადგენელი არიან დაქორწინებულნი და აქეთ ოჯახები, ხოლო შავ სამღვდელთმთავრობის ოჯახები არა აქეთ. ისინი აღკვეცილი არიან ბერად.

დიაკონისა და მღვდლის კურთხევის (ხელდასმის) უფლება აქეთ მღვდელთმთავრებს (ეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებსა და კათოლიკოს-პატრიარქს), ხოლო ახალი მღვდელთმთავრის (ეპისკოპოსის) კურთხევა შეუძლია სამ მღვდელთმთავრს, კათოლიკოს-პატრიარქის თანხმობით, ან პირადი მონაწილეობით.

დიაკონად კურთხევამდე ხდება მორწმუნე ქრისტიანის დაღვინება წიგნის მკითხველად, მაგალითად და მნათად, რასაც მოსდევს აღკვეცა ქრძო-დიაკონის ხარისხში. ეს ხდება მღვდელთმთავრის მიერ, საღმრთო წირვის დაწყების წინ, ანაზობის დროს.

დიაკონობის შემდეგი საფეხურია მთავარ დიაკონი. მისი კურთხევა ხდება მღვდელთმთავრის წირვაზე, „დიკონის“ შემდეგ.

დიაკონობის უმაღლესი საფეხური არის პროტო დიაკონი (პირველი დიაკონი) ეს წოდება ენიჭება მღვდელთმთავრის საუკეთესო დიაკონს.

თუ დიაკონად ეკურთხება ბერი, ანდა დიაკონი ბერად აღიკვეცება, იგი მიიღებს იეროდიაკონის წოდებას.

ასეთია დიაკონობის ხარისხები.

დიაკონის მოვალეობაა თანამსახურება მღვდელთან, ან მღვდელთმთავართან საღმრთო წირვა-ლოცვაზე. წირვა-ლოცვის დამოუკიდებლად შესრულების ნება დიაკონს არა აქვს.

მღვდლად შეიძლება იკურთხოს მხოლოდ ისეთი მორწმუნე ქრისტიანი, რომელიც აღრე ნაქურთხი იყო მთავარდიაკონის ხა-

რისხში, და ამასთან ერთად, თავი გამოიჩინა წმიდა სულიერა ცხოვრებით.

მღვდლის კურთხევა (ხელდასმა) ხდება საღმრთო წირვაზე ე. წ. დიდი გამოცვლის (ბარძიმ-ფეშუხებით გამოცვლის) შემდეგ.

თუ მღვდლად ეკურთხება იეროდიაკონი, ანდა მღვდელი ბერად აღიკვეცება, იგი მიიღებს მღვდელმონაზონის წოდებას.

მღვდელი შეიძლება დაჯილდოვდეს კენტულით (წირვა-ლოცვაზე სახმარებელი თავსამკაული), სკუფით (ჯვრის ფორმის სამღვდლო ქუდი) და ოქროს ჯვრით.

ოქროს ჯვრით დაჯილდოების შემდეგ მღვდელს ენიჭება დეკანოზის წოდება. დეკანოზი შეიძლება დაჯილდოვდეს ოქროს მოქვილი ჯვრით, სავერდულითა და ენქერით, მიტრით (წირვა-ლოცვაზე სახმარებელი მოქვილი თავსამკაული), ორი ჯვრის ტარების უფლებით და პროტორესვიტერის (პირველი მღვდლის) წოდებით.

პროტორესვიტერი არის უმაღლესი სამღვდლო წოდება, და როგორც წესი, ენიჭება საპატრიარქო ტაძრის-პირველ მღვდელს.

საბერო სამღვდლოებაში დეკანოზის შესატყვისია ილუმენის წოდება. ისტორიულად ეს წოდება გამოხატავს მონასტრის წინამძღვარს, მაგრამ ამჟამად დარჩენილია, როგორც სამღვდლო ხარისხი.

ილუმენი შეიძლება დაჯილდოვდეს არქიმანდრიტის წოდებით. არქიმანდრიტი იმისება ოქროს მოქვილი ჯვრით, სავერდულით, ენქერით და მიტრით (ე. ი. იმ შესამოსელით); რაც დეკანოზისათვის ითვლება ჯილდოდ.

უმაღლესი სასულიერო ხარისხი არის მღვდელთმთავარი, ანუ ეპისკოპოსი. ეპისკოპოსის კურთხევა ხდება სამი ეპისკოპოსის მიერ სამღვდელთმთავრო წირვაზე. ეპისკოპოსი აუცილებლად ეკუთვნის საბერო სამღვდლოებას.

ეპისკოპოსი შეიძლება დაჯილდოვდეს ბრილიანტის ჯვრით, ორი პანდიის (მოქვილი სამქვერდო ხატი) ტარების უფლებით და მიტროპოლიტის წოდებით.

დიაკონისა და მღვდელს მორწმუნე უწოდებენ „მამას“, რადგანაც ისინი არიან მათი სულიერი ხელმძღვანელები, ხოლო ეპისკოპოსი იწოდება „მეუფედ“. იგი განაგებს ეკლესიის ცხოვრებას, მღვდლებისა და დიაკონების განწესებას.

დიაკონის ეპითეტია „სამღვდლო დიაკონი“, მღვდელი და დეკანოზი იწოდებიან „პატრიარქ მამებად“, მღვდელ-მონაზონი

სიბრძნე ახალი აღთქმისა.
მარცხნივ — ალავერდელი ეპისკოპოსი გიორგი.
მარჯვნივ — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქი ილია II.



სამი პატრიარქი.





მარტვილი.

და ილუმენი — „ღირს მამებად“, არქიმანდრიტი — „მალაღირს მამადა“.

ეპისკოპოსზე ითქმის — „ყოვლად უსამღვდელოესი მეუფე“, მიტროპოლიტზე — „მალაყოვლადუსამღვდელოესი მეუფე“, კათოლიკოს-პატრიარქზე — „უწმიდესი და უნეტარესი მეუფე“.

ვაძარი და შიში შევედგენლობა

ტაძარი არის უფლის სახლი, სადაც მორწმუნე ერი იკრიბება ქრისტეს სახელით და სადაც სრულდება მღვდელმსახურება. პირობითად იგი იყოფა, სამ ნაწილად: საკურთხეველი, ტაძრის შუა ნაწილი და ტაძრის უკანა ნაწილი.

საკურთხეველი მოთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში (აღმოსავლეთი კონქის ქვეშ) და ტაძრის შუა ნაწილისაგან გამოყოფილია ზღუდით, რომელსაც კანკელი ეწოდება.

საკურთხეველში განლაგებულია მღვდელმთავრებისათვის საჭირო მოწყობილობა და სრულდება მღვდელმოქმედება (უსისხლო მსხვერპლის შეწირვა).

ცენტრში დგას ტრაპეზი (მაგიდა, რომელზედაც სრულდება მსხვერპლის შეწირვა), რომელზედაც დასვენებულია:

1. **ოდიკი**, — ტილოზე შესრულებული გარდამოსხნის ხატი. ჩვეულებრივ, იგი დაკეცილია და ტრაპეზის წინა (დასავლეთ) ნაწილში ასვენია. წირვის დროს ოდიკი იხსნება და ზედ დასვენდება ბარძიმი და ფეშხუმი (იხ. ქვემოთ).

2. **წმიდა სახარება**, — დასვენებულია ოდიკზე.

3. **სანაწილე**, — ტაძრის ფორმის ლითონის ჭურჭელი, სადაც ინახება ზიარება ავადმყოფთათვის... იგი მოთავსებულია ტრაპეზის უკანა (აღმოსავლეთ) ნაწილში.

4. **ჯვრები**, — დასვენებულია წმ. სახარების მარჯვნივ და მარცხნივ.

5. **სანთლები**, — დგას სანაწილეს მარ-

ჯვნივ და მარცხნივ, შანდლებზე (სასანთლებებზე).

ტრაპეზის მარცხნივ საკურთხეველში დგას მეორე, უფრო მცირე ზომის მაგიდაც. მასზე სრულდება სეფისკერის კვეთა და ამიტომ ეწოდება **სამკვეთლო**.

სამკვეთლოზე ინახება მღვდელმსახურებისათვის საჭირო შემდეგი ნივთები:

1) **ბარძიმი**, — ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული მალაყელიანი ჭურჭელი, რომელშიც ჩაისხმება ღვინო და წყალი და შემდეგ ხდება მისი კურთხევა.

2) **ფეშხუმი**, — ისევე ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული წრიული ფორმის ქირიანი (სადგარიანი) ფეშხი, რომელიც ღვთისმსახურების დროს იხმარება ზარძიმიან ერთად და რომელზედაც დასვენებულია ტარიგი — ნაკვეთი სეფისკერი.

3) **ვარსკვლავი**, — ჯვრის ფორმის ლითონის სახურავი, რომელიც ეფარება ფეშხუმს.

4) **მცირე დაფარნები**, — ძვირფასი ქსოვილისაგან, გამოჭრილი, ჯვრის ფორმის დასაფარებლები, რომლებიც განკუთვნილია ბარძიმისა და ფეშხუმის დაბურვისათვის (ცალ-ცალკე).

5) **დიდი დაფარნა**, — ოთხკუთხა ფორმის ქსოვილის დასაფარებელი, რომლითაც იბურება ბარძიმი და ფეშხუმი ერთად.

6) **ლახვარი**, — ჯვრის ფორმის დანა, რომლითაც ხდება სეფისკერის კვეთა (დაჭრა).

7) **ძვირფასი ლითონის კოჯი**, — იხმარება ზიარების მისაღებად.

ტრაპეზის აღმოსავლეთ კედელთან, შემადგენელ ადგილზე დგას სავარძელი, რომელსაც ეწოდება მალაღირსი დასაჯდომელი, ანუ უზედაესი საყდარი. მასზე დაჯდომის უფლება აქვს მხოლოდ მღვდელმთავარს და ისიც წირვის დროს, როდესაც იკითხება სამოციქულო.

მალაღირსი დასაჯდომელის მარცხნივ და მარჯვნივ დგას დიდი ჯვარი და სანთელი, რომლებიც იხმარება ლიტანიის (ეკლესიის გარშემო საზეიმო შემოვლის) დროს. პატრიარქის წირვაზე ისინი დგებიან აღსავლის კარის (იხ. ქვემოთ) მარჯვნივ და მარცხნივ; ამბიონზე (იხ. ქვემოთ). ჯვარსა და სანთელთან ერთად მალაღირსი დასაჯდომელის მარ-

ჯვნივ და მარცხნივ დგანან რიბიდები, ანუ სამწერობლები. ესენია ლითონის ჯოჯები, რომლის თავზეც დამაგრებულია ქერუბინის (ეცხლოვანი ანგელოზის) გამოსახულებები. ისინი უჭირავთ კერძო დიაკონებს და იხმარება, როგორც წირვის, ისე ლიტანიის დროს.

საკურთხეველის მარჯვენა ნაწილში მოთავსებულია სადიაკონე, სადაც ინახება სამღვდელო შესამოსელი.

როგორც ზემოთ ვთქვით, საკურთხეველი შუა ეკლესიისაგან გამოყოფილია კანკელით, რომელზედაც სპეციალური წესით განლაგებულია ხატები. კანკელის შუა კარებს ეწოდება აღსავლის კარები, ანუ სამეუფო კარები. მასზე გამოსახულია ოთხი მოციქული-მხარებელი (წმიდა მოციქულები: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე ღვთისმეტყველი). ამათ გარდა, აღსავლის კარებზე გამოსახულია ხარების ხატი, ე. ი. მოთავარანგელოზი გაბრიელი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. აღსავლის კარების მარჯვნივ მაცხოვრის ხატი, მარცხნივ — ღვთისმშობლისა. მაცხოვრის ხატის მარჯვნივ, ან ღვთისმშობლის ხატის მარცხნივ არის ის ხატი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რომელი წმინდანის, ან რომელი ღვთისმშობლის სახელზეა აშენებული ეს ეკლესია.

გარდა აღსავლის კარებისა, კანკელზე არის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარები, რომელზედაც გამოსახული არიან მოთავარანგელოზნი: მიქელი და გაბრიელი.

კანკელის წინ შემადგენელი ადგილია, რომელსაც ეწოდება ამბიონი. აქ ხდება მრავალი ლოცვის წაკითხვა; აგრეთვე, ქადაგება.

ტაძრის შუა ნაწილში დადგმულია მალაღირსი, პატარა მაგიდა, რომელსაც ეწოდება ანალოდია, და ზედ დასვენებულია ესა თუ ის ხატი, იმისდა მიხედვით, თუ რა დღესასწაულია იმეამად.

ტაძრის მარჯვენა, ან მარცხენა ნაწილში დგას მეორე ანალოდიაც, რომელზედაც საღვთისმსახურო წიგნებია დასვენებული. აქვე დგას გუნდი და მედავითნე.

გუნდის ადგილი შეიძლება მოთავსებული იყოს, აგრეთვე, ტაძრის უკანა ნაწილში, რომელსაც ეწოდება სტოა.



«Д Ж В А Р И В А З И С А»

(Лозовый крест)

1. БУДЬ БЛАГОСЛОВЕН!

Католикос-Патриарх всея Грузии ИЛИЯ II поздравляет грузинский народ с основанием церковного журнала и выражает уверенность в том, что журнал сыграет значительную роль в жизни Грузинской Церкви.

В предисловии Католикоса-Патриарха определяются задачи журнала и основные направления его деятельности: журнал будет освещать церковно-теологические темы, призывать к дружбе между народами, к человеколюбию и к всеобщему миру.

Основание журнала «Джвари Вазиса» приветствуют епископы Иоанн и Фаддей.

2. ГОСУДАРСТВО И ЦЕРКОВЬ

В статье речь идет о тех правах, которые предоставила Грузинской Церкви новая Конституция Грузинской ССР.

3. XII-ый ПОМЕСТНЫЙ СОБОР ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ.

Собор состоялся 23 декабря 1977 года в Тбилисском кафедральном соборе Сиони, (нумерация соборов начинается с 1977 года, со дня возвращения Грузинской Церкви права самоуправления, т. е. автокефалии, незаконно отобранной царской Россией в 1811 году.

Обращение XII-го поместного собора Грузинской Церкви к Совету Министров Грузинской ССР.

В обращении отмечено удовлетворение участников собора той поддержкой, которую Грузинская Церковь всегда чувствовала со стороны грузинского Правительства.

— Биография Католикоса-Патриарха ИЛИИ II-го.

4. ИНТРОНИЗАЦИЯ СВЯТЕЙШЕГО И БЛАЖЕННЕЙШЕГО КАТОЛИКОСА-ПАТРИАРХА ВСЕЯ ГРУЗИИ ИЛИИ II-го.

Публикуются информация об избрании нового Патриарха и произнесенные речи в Кафедральном соборе Светицховели.

— Речь Патриарха ПИМЕНА, (Россия),

— Речь Патриарха Вазгена (Армения).

— Речь Патриарха ИЛИИ II-го (Грузия).

ТОРЖЕСТВЕННЫЙ ПРИЕМ В ЧЕСТЬ КАТОЛИКОСА-ПАТРИАРХА ИЛИИ II-го ПОСЛЕ ИНТРОНИЗАЦИИ.

— Речь Уполномоченного Совета по делам Религии при Совете Министров СССР по Грузинской ССР тов. Т. Онопришвили.

— Речь Патриарха ПИМЕНА,

— Речь Архимандрита НАУМА (Болгария),

— Речь Архимандрита ГРИГОРНОСА (Александрия),

— Речь Патриарха ИЛИИ II-го (Грузия).

5. ИЗВЕСТНАЯ ГРАМОТА КАТАЛИКОСА-ПАТРИАРХА ВСЕЯ ГРУЗИИ ИЛИИ II-го ПРАВОСЛАВНЫМ ПАТРИАРХАМ ВСЕГО МИРА.

6. ПАСХАЛЬНОЕ ПОСЛАНИЕ КАТОЛИКОСА-ПАТРИАРХА ИЛИИ II-го.

Католикос-Патриарх поздравляет грузинский народ с днем Воскресения Христа, призывает верующих к непоколебимой вере, к духовному совершенству.

7. НА ДОРОГАХ ДРУЖБЫ

В июле сего года для укрепления братской связи и сотрудничества между Православными Церквями в Тбилиси прибыли представители Константинопольской и Антиохийской церквей.

Обе делегации провели несколько дней в Грузии. В Кафедральном соборе Светицховели состоялось торжественное Богослужение.

В журнале напечатаны приветственные речи, произнесенные в Кафедральном соборе Светицховели и на торжественном приеме.

8. ДА БУДЕТ МИР

— Обращение к руководителям и верующим религий мира, наряду с другими деятелями церкви ставит свою подпись Сухумский и Абхазский Митрополит ИЛИЯ.

9. С И О Н И.

Во вступительной статье обозревается история Сионского Патриаршего собора. Описывается жизнь святых мучеников, принесших себя в жертву христианской вере.

— В. Беридзе — «Тбилисский Сиони». В статье описывается история архитектуры собора.

10. ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ПИСАНИЯ.

Под этой рубрикой напечатана статья Е. Мачавариани — «Прочтем древние грузинские тексты», излагается история развития грузинской письменности и напечатаны образцы древнегрузинских текстов.

11. БОГОСЛУЖЕНИЕ.

Святой крест.

В статье рассказано об узаконении истории святого креста символом христианства, об его значении и формировании грузинского христианского вероисповедания. Автор статьи Епископ Николай.

12. ЕПИСКОП ФАДДЕЙ — «МАТЕРИ НАШИ».

ХУДОЖЕСТВЕННАЯ ЗАРИСОВКА ПЕВЧИХ МАТЕРЕЙ И НЕСКОЛЬКО СТИХОТВОРЕНИЙ.

13. БОГОРОДИЦА, СТРАНА СΙΑ УДЕЛ ТВОЙ.

В текущем году было отмечено 140-летие со дня рождения великого грузинского писателя Илии Чавчавадзе.

В журнале публикуются речи деятелей Грузинской Церкви.

14. ПЕСНОПЕНИЕ.

Необычны, уникальны, интересны и впечатлительны древнегрузинские церковные гимны. Их корни уходят в далекое прошлое. Об этом рассказывает в своей статье священник Т. Кочламазашвили «Грузинские Церковные гимны», приводятся соответствующие примеры.

15. В СВЯЗИ С ИНТРОНИЗАЦИЕЙ КАТОЛИКОСА-ПАТРИАРХА ВСЕЯ ГРУЗИИ ИЛИИ II-го ПОСТУПИЛИ ПОЗДРАВЛЕНИЯ ИЗ МНОГИХ СТРАН МИРА.

Публикуются некоторые из них.

16. ДВАДЦАТИВЕКОВАЯ ГРУЗИНСКАЯ ЦЕРКОВЬ

В статье коротко обозревается славное прошлое грузинской апостольской Церкви; в ней говорится, что христианскую веру, которая была объявлена в Грузии официальной религией еще в начале IV-го века, впервые проповедовали в I веке святые апостолы Андрей Первозванный и Семеон Кананит. Описано с какой самоотверженностью защищал грузинский народ истинную веру Христа и как свято донес ее до наших дней.

17. ХРОНИКА ЦЕРКОВНОЙ ЖИЗНИ.

18. БОГОСЛОВСКИЙ СЛОВАРЬ.

Толкование слов, сана и понятий.



LET THE «JVARY VAZISA—THE CROSS OF VINE» FULFILS ITS GREAT MISSION

I. Introduction by ILIYA II Catholicos-Patriarch of all GEORGIA

ILIYA II congratulates the believers of Georgia with the foundation of the Church journal and expresses confidence that the journal will play an important role in the spiritual life of the Georgian Church. In the preface Catholicos-Patriarch gives the contents and aim of the journal.

2. THE CHURCH AND THE STATE

The article speaks of the rights given to the Georgian Church by the new Constitution of the Georgian SSR.

3. XII-TH LOCAL COUNCIL OF THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH

The Council was held in Sion Cathedral in Tbilisi on December 23, 1977. (The first Council took place in 1917; from that day the Georgian Church was given its right to self-government Autocephaly of which it had been deprived by the Tsarist Russia in 1801). The message of the XII-th Local Council of the Georgian Orthodox Church to the Council of the Ministers of the Georgian SSR, in which the Council expressed its gratitude for the governments assistance in the convocation of the Council.

4. INTRONIZATION OF ILIYA II CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

The Intronization of His Holiness and Beatitude ILIYA II Catholicos-Patriarch of all Georgia.

Information is given of the Election of the new Patriarch and the speeches in Svetitskhoveli made by:

— Patriarch PIMEN

— Patriarch-Catholicos VAZGEN I

— Catholicos-Patriarch ILIYA II

TRIUMPHANT RECEPTION OF ILIYA II AFTER HIS INTRONIZATION

The speech of Tengiz Onoprishvili, Representative of the Council for Religious Affairs of the USSR Council of Ministers in the Georgian SSR

— The speech of Patriarch PIMEN

— The speech of Patriarch VAZGEN I

— The speech of Archimandrite NAUM

(Bulgaria)

— The speech of Archimandrite GRIGORIOS (Alexandria)

— The speech of Patriarch ILIYA II

5. THE SEEDS OF CLERICAL DEPARTMENT BY CATHOLICOS-PATRIARCH ILIYA II, TO THE ORTHODOX PATRIARCHS OF THE WHOLE WORLD

FROM ALL PARTS OF THE WORLD

In connection of Intronization of ILIYA II, the Patriarch of the Georgian Church received a lot of congratulations from many countries of the World.

6. EASTER EPISTOL BY ILIYA II CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

Catholicos-Patriarch ILIYA II congratulates the Georgian people with the Day of Christ's Ascension and calls them not only to steadfast faith but also to perfect themselves in spirit (or spiritual perfection)

7. ON THE ROADS OF FRIENDSHIP

In July, 1977 a delegation of representatives from Constantinople and Antiochical Churches arrived in Tbilisi for consolidation of brotherly connections, between Orthodox Churches and for improvement of cooperation.

Both delegations spent some days in Georgia. The guests expressed great will and faith for the consolidation of brotherly connections between our churches. In the Cathedral of Svetitskhoveli solemn divine was held.

8. LET THERE BE PEACE FOR ALL

— Appeal to the leaders and believers throughout the world signed by other clergymen and ILIYA Metropolitan of Sukhumi and Apkhazia.

9. SIONY

In the introduction we learn of the importance of SIONY Cathedral to the Georgian people; there is also given a review in the history of the Georgian Cathedral, a description of the martial lives, — who sacrificed themselves to Christian commandment.

— V. BERIDZE—«SIONY OF TBILISI» THE ARTICLE GIVES A DESCRIPTION OF THE ARCHITECTURE OF THE CATHEDRAL.

10. THE ANCIENT GEORGIAN MANUSCRIPTS

Under this heading is published an article by E. Machavariani — «Let Us Read the Ancient Georgian Texts» The history of the development of Georgian writing is also given and some specimens of ancient Georgian texts.

11. THEOLOGY (DIVINITY)

The Holy Cross

The article is about the Holy Cross, and how it became the symbol of Christianity, its importance in forming the Georgian Christian faith. The author—Bishop of Sukhumi and Apkhazia—Nikoloz

12. THE BISHOP TADEOZ—OUR MOTHERS

AN article, sketch of singing Mothers and some poems.

13. THE VIRGIN

Our Lady, this country is of Your own The 10-th anniversary of the great Georgian writer ILIYA Chavchavadze was celebrated this year. In the journal are published some articles and speeches by clergymen of the Georgian Church.

14. CANTICLES

The ancient Georgian canticles are unique, very interesting and impressive, coming from the ancient past. The Priest Tamaz Kochlamazashvily in his article — The Ancient Georgian Hymns—tells us about the canticles and gives some examples.

15. THE TWENTY CENTURY—OLD GEORGIAN CHURCH

The article gives a short review of the glorious past of the Georgian Apostolic Church.

Christianity was declared an official religion already at the beginning of the IV-th century. It describes how the Georgian people defended and brought to us the faith in Christ.

16. THE CHRONICLE OF CHURCH LIFE

17. THE THEOLOGICAL DICTIONARY Interpretation of words, ranks and conceptions.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. კურთხეულ იყავ — კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის შესავალი წერილი	4
2. კურთხეულ იყავ	6
1. ეპისკოპოსი იოანე	6
2. ეპისკოპოსი თადეოზი	6
3. სახელმწიფო და ეკლესია	7
4. საქართველოს ეკლესიის XII ადგილობრივი კრება	8
5. მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სრულიად საქართველოს XII სა- ეკლესიო კრებისაგან	9
6. ბიოგრაფია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა	9
7. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში	10
8. უწმიდესა და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია II-ის აღსაყდრება	10
9. საადღვომო ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კა- თოლიკოს-პატრიარქის — ილია II-ისა	19
10. სამეგობრო გზები. კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოთა დელეგა- ციები თბილისში	21
11. მშვიდობა ყოველთა — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მშვიდობის სადარაჯოზე — მიმართვა მსოფლიოს რელიგიათა ხელმძღვანელებისა და მორწმუნეთადმი	24
12. ნაშრომი განძად დაშთების სიონი	26
ვ. ბერიძე — თბილისის სიონი	28
13. ქეზი და დიდები ქართულისა ენისა — ე. მაჭავარიანი — წავიკითხოთ ძველი ქართული ტექსტები	30
14. დვთისმეტყველება — ნიკოლოზი (მახარაძე) — ეპისკოპოსი ცხუმ-აფხაზეთისა — წმიდა ჯვარი	33
15. დედანი ჩვენნი თადეოზი — ეპისკოპოსი ბოდბელი და წილკნელი	44
— შოგონებუბის ნათელი — ლექსები	
16. დედაც დვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია — ქართული ეკლესიის ჭეშმარიტი, ღვიძლი შვილი	42
18. საჯალობელნი მღვდელი თამაზი (კოჭლამაზიშვილი) — ქართული საეკლესიო გალობა	40
18. ზ. ალექსიძე — ოცსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესია	47
19. მილოცვები	50
20. საეკლესიო ცხოვრება	46
21. საღვთისმეტყველო ლექსიკონი	47

საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1979 წ.
თბილისი. სიონის ქ. № 4. ტ. 99-69-30.

ტირაჟი 1000

შუკ. 91

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

